ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№038 (12 415) 16 თებერვალი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



სეზონი სათასო ბატალიებით განახლდება

## მთავარი ბრძოლა რუსთავშია

მეოთხედფინალის წინასამატჩო 4

## პროტასოვი კობახიძით კმაყოფილია


4

რაგბი. 23 თებერვალი. პორტუგალია-საქართველო

# ისევ პორტუგალია და კიდევ ორი დებიუტანტი



2 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია 31:3

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თავის მორიგ შეხვედრას ერთა თასზე, 23 თებერვალს, ლისაბონში გამართავს პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ. ბორჯღალოსნები ლისაბონში ორშაბათს გამთენიისას გაემგზავრებიან და წინასამატჩო შეკრებასაც იქვე გაივლიან. ჩვენი მორაგბეები, სავარაუდოდ, "ესტადიო უნივერსიტარიოზე" ივარჯიშებენ, სადაც დაუპირისპირდებიან კიდეც მასპინძლებს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** გუნდში ორი დებიუტანტი იხმო. მესამეხაზელი **სიმონ მაისურაძე**, რომელიც "კლერმონის" ახალგაზრდული გუნდის ღირსებას იცავს და "ლელოს" უკანახაზელი **ალექსანდრე თოდუა**. ისინი გუნდში **ზვიად მაისურაძესა** და **ირაკლი გიორგაძეს** ჩაენაცვლებიან. რუმინეთთან მატჩის შემადგენლობიდან დაგვაკლდებიან ასევე **დავით ზირაქაშვილი**, რომელსაც აჟენელი **ანტონ ფეიქრიშვილი** შეცვლის და **გიორგი ჩხაიძე**. მის ნაცვლად ლეინმა "დომონის" მეორეხაზელი **გიორგი ნემსაძე** მოიწვია. პორტუგალიელების წინააღმდეგ არ ითამაშებს **მამუკა გორგოძე**, მის ნაცვლად გუნდს დაუბრუნდება **ლევან დათუნაშვილი**, რომელმაც რუმინელებთან მატჩი გამოტოვა.

მატჩი ლისაბონში თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. არბიტრი კი შოტლანდიელი **ნილ პატერსონი** იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველო პორტუგალიაში

პირველი ხაზი: **გოდერძი შველიძე** (კლერმონი), **დავით ქუბრიაშვილი** (მონპელიე), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული), **ანტონ ფეიქრიშვილი** (აჟენი)

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **გიორგი ნემსაძე** (დომონი), **კახა უჩავა** (ფარული)

მესამე ხაზი: **რატი ურუშაძე** (ლონსი), **შალვა სუთიაშვილი** (ბობინი), **დიმიტრი ბასილაია** (კლერმონი), **სიმონ მაისურაძე** (კლერმონი)

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული)

10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო), **ლაშა მალაღურაძე** (ყოჩები)

12,13: **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **დავით კაჭარავა** (ყოჩები)

11,14: **გიორგი შკინინი** (უგუნდო), **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო)

15: **ოთარ ბარკალაია** (ანდორა)

**16 თებერვალი**

პორტუგალია-ჩეხეთი

# პლატინიმ, უკეთესი არჩევნები შეიძლებოდაო



რაზე ისაუბრეს ლევან ბერძენიშვილმა და მიშელ პლატინიმ ევროსაბჭოში 4



დღეს, ტურინში:

## იუვე და რომა

რეალს ვან ნისტელროი, ბარსას კი ეტოო ვერ დაეხმარება

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები

## 400 ათასი ევრო სირაძეში

### მთავარია იყოს გოლი

**დათო სირაძემ** ნალჩიკის "სპარტაკში" პირველი საკონტროლო შეხვედრა უკვე ჩაატარა. გაზეთი "ტვოი დენ" იუწყება, რომ "პადერბორნთან" ნალჩიკის "სპარტაკს" გარიგება 400 ათასი ევრო დაუჯდება, თუმცა თავდაპირველი ინფორმაციით საუბარი 170 000 ევროზე იყო.

დათოს კონტრაქტი "სპარტაკთან" გამზადებულია, შეთანხმებულია პირობები და მხოლოდ თავდამსხმელის სურვილზეა დამოკიდებული, დარჩება რუსებთან თუ ისევ გერმანიაში გააგრძელებს კარიერას.

"ლელოსთან" ინტერვიუში დათომ ახსენა უკეთეს რუსულ კლუბში გადასვლის პერსპექტივა. ჩვენი ინფორმაციით, საუბარია მოსკოვის "სპარტაკსა" და ცსკა-ზე. თუკი დათო პირველ წრეში 6 ბურთს მაინც გაიტანს, მისი მენეჯერი იმედოვნებს, რომ მერე რუსულ გრანდებს იოლად დააინტერესებს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით სირაძე





კურანიმ (22) კობიაშვილის გადაცემები ვერ გამოიყენა

## შეირგე და მოიგე

**ტრავმით** გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ, **ლევან კობიაშვილი** ჩვეულ ფორმაში შევიდა. ისევე, როგორც წინა მატჩში, ქართველი ნახევარმცველი გუშინაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის. ბუნდესლიგის მორიგ ტურში "შალკემ" გელზენკირხენიდან 3 ქულა გაატანა "ვოლფსბურგს", არადა მარტო **კურანის** ორჯერ მართებდა თავის გამოჩენა ლევანის გადაცემების შემდეგ. ამის გარდა მასპინძლებმა არაერთი კარგი მომენტი გაატანეს ქარს და ამისათვის დაისაჯნენ კიდეც - "შალკემ" 1:2 წააგო.

წააგო მეორებუნდესლიგელმა "კარლ ცაისმაც". იენელები საკუთარ მოედანზე "კიოლნთან" 1:3 შერცხვნენ. ქართველებს მასპინძელთა წაგებაში წვლილი არ მიუძღვით, მოედანზე არც ერთი მათგანი არ ყოფილა.

## ლიცენზირება უმაღლეს ლიგას ახლებურად შეკრეჭს

**2008-09 წლების სეზონში უეფას მოთხოვნით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ლიცენზირებული კლუბები ითამაშებენ, თუმცა კლუბთა ლიცენზირების პროცესი ისე მიდის, რომ შესაძლოა, უმაღლესი ლიგა მკვეთრად შეიცვალოს.**

**ამ საკითხში უკეთ გასარკვევად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების განყოფილების ხელმძღვანელ ბაქარ ჟორდანიას მივმართეთ.**

- ლიცენზირება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპი დოკუმენტაციის შეგროვებას მოიცავს. ამ დოკუმენტაციას განიხილავენ ექსპერტები და ამის შემდეგ ლიცენზირების კომიტეტს გამოაქვს დასკვნა. დოკუმენტაციის მოწოდების ვადა მარტის ბოლომდეა, რაც შეეხება უშუალოდ ლიცენზირებას, უეფაში ლიცენზირებული ქართული კლუბების სია 31 მაისამდე უნდა დაიდოს.

**- რა მთავარ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზირების მოსურნე კლუბი?**

- სულ ხუთი მიმართულებაა - სპორტული, ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, საკადრო და ფინანსური. თითოეული მიმართულება რამდენიმე კრიტერიუმს მოიცავს. სპორტული მიმართულების მთავარი კრიტერიუმი ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაა, კლუბს მინიმუმ ოთხი ასაკობრივი გუნდი უნდა ჰყავდეს. სამართლებრივის მიმართულება ითვალისწინებს კლუბის წესდებას, იურიდიულ საკითხებს. მაგალითად, ეროვნულ ფედერაციას და უეფას უნდა ჰქონდეს კლუბის შემოწმების უფლება. საკადრო მიმართულება ითვალისწინებს, რომ კლუბს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მმართველი, რომ ძირითად გუნდის მთავარ მწვრთნელს მინიმუმ A ლიცენზია უნდა ჰქონდეს, ან მისი კომპეტენტურობა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა აღიაროს. ფინანსური მიმართულება ითვალისწინებს კლუბის შემოსავლის წყაროს არსებობას, რასაც ჩვენ მიერ დაქირავებული აუდიტი შეამოწმებს. ინფრასტრუქტურაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სტადიონი და სავარჯიშო პირობები განიხილება.

**- ამ დროისთვის დაახლოებით რამდენ გუნდს აქვს იმის შანსი, რომ ლიცენზირება გაიაროს?**

- ჯერ დასკვნები არ გაკეთებულა და შესაბამისად ზუსტ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ლიცენზირების პროცესში უმაღლესი და პირველი ლიგის ოცდაერთი გუნდი მონაწილეობს.

**- გასაგებია, მაგრამ რეალური სურათი ალბათ უკვე არსებობს. როგორც შევიტყვეთ, სიტუაცია მაინცდამაინც სახარბიელო არ არის...**

- ზოგიერთი კლუბი მართლაც ძალიან უყურადღებოდ ეკიდება ლიცენზირებას. არ არის გამორიცხული, კლუბი სპორტული შედეგით იმსახურებდეს უმაღლეს ლიგაში ყოფნას, მაგრამ ლიცენზირების ვერმიღების გამო პირველ ლიგაში ჩაქვეითდეს.

**- თქვენი განყოფილების მიერ გაწეული სამუშაო უეფამ უნდა შეამოწმოს?**

- უეფა ყოველწლიურად გვამოწმებს მის მიერ დაქირავებული შვეიცარიული აუდიტორული ფირმით და გვაძლევს შესაბამის სერტიფიკატს. ჩვენს ახლანდელ სერტიფიკატს ვადა 2010 წლის ბოლომდე აქვს. ლიცენზირების პროცესი მხოლოდ შემოწმებას არ მოიცავს. ჩვენ სემინარებსაც ვატარებთ, მაგალითად, სემინარებს ვუტარებთ კლუბების წარმომადგენლებს ფეხბურთის წესებზე, რომელიც ხშირად იცვლება.

**დავით თავართქილაძე**

## დებიუტის მოლოდინში

ამ უქმეებზე ჩეხეთში საფეხბურთო სეზონი განახლდება. მეორე წრის სასტარტო ტურში ბოლესლავის "მლადა", რომელიც 19 ქულით მე-10 ადგილზეა, მე-14 პოზიციაზე მყოფ "იაბლონეცს" უმასპინძლებს. ეს შეხვედრა ხვალ, 17 თებერვალს გაიმართება. "მლადაში" ტესტირებაზე მყოფი ქართველ ნახევარმცველ **გიორგი განუგრავას** საკითხი დადებითად გადაწყდა. მან ახალი კლუბის რიგებში ამხანაგურ მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა. განუგრავა უკვე ბოლესლაველთა გუნდის წევრია და როგორც "მლადას" ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, ის კლუბის განაცხადშიცაა შეყვანილი. "მლადას" სპორტული დირექტორის, **ზდენეკ კუდელამის** თქმით, ქართველი ნახევარმცველის ტრანსფერის დაბლოკვას მისი ყოფილი კლუბი შეეცადა. თუმცა გიორგი განუგრავა თავისუფალი აგენტია და მისი ტრანსფერი მაინც შედგა.

ერთი სიტყვით, ისეა თუ ასე, განუგრავა "მლადაში" ჩაირიცხა. ძნელია ივარაუდო, რომ გიორგი ხვალ "იაბლონეცთან" მატჩში ბოლესლაველთა სასტარტო შემადგენლობაში იქნება. თუმცა იქნებ შეცვლაზე თამაშით მაინც შედგეს მისი დებიუტი.

**დავით ცაბაძე**



გიორგი განუგრავა

## აშვეთიას გოლი და ჯიქიას საგოლე

"ანჟიმ" გუშინ ანთალიურ შეკრებაზე მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **ომარ თეთრაძის** გუნდი უკრაინულ "ზარიას" დაუპირისპირდა და 2:0 მოიგო. ამჯერადაც დაღესტანური გუნდის გამარჯვებაში ქართველებმა ლომის წვლილი შეიტანეს. მე-40 წუთზე **მიხეილ აშვეთიამ** მის მიერვე მოპოვებული პენალტით გახსნა ანგარიში. 82-ე წუთზე **გრიდნევმა** მეორე გოლით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, საგოლე გადაცემა კი მას "ანჟიში" ტესტირებაზე მყოფმა **რევაზ ჯიქიამ** გაუკეთა.

ამ შეხვედრაში ოთხმა ქართველმა ითამაშა. მცველი **ვალერი აბრამიძე**, თავდამსხმელები რევაზ ჯიქია და მიხეილ აშვეთია სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. **აბრამიძემ** და ჯიქიამ შეხვედრა ჩაამთავრეს. აშვეთია კი 46-ე წუთზე **რევაზ ბარაბაძემ** შეცვალა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს "ანჟი", 18 თებერვალს, ლატვიურ "დინაბურგთან" გამართავს. შეგახსენებთ, რომ "დინაბურგის" თავკაცი **თამაზ პერტია** გახლავთ. გუნდში კი ტესტირებაზე ნახევარმცველი **შოთა ბაბუნაშვილი** იმყოფება.

**დავით ცაბაძე**





რევაზ ჯიქია

ლეგიონერები

## შოთას პრეზიდენტი მოუხსნეს



შოთა არველაძე

**შოთა არველაძესა** და "ლევანტეს" პრობლემებზე არაერთხელ თქმულა. გარდა იმისა, რომ "ლევანტე" პრიმერა დივიზიონის აუტსაიდერია, მოთამაშეების მიმართ სახელფასო დავალიანებაც დაუგროვდა. ფეხბურთელები ჩივიან, რომ კლუბს მათი დავალიანების შარშანდელი 60%, წლევანდელი კი 85% მართებს. ამ ცოტა ხნის წინათ, პრესასთან საუბარში "ლევანტეს" ბოსმა **ხორხე რომერომ** საჯაროდ დადო პირობა, რომ კრედიტს აიღებდა და ფეხბურთელთა დავალიანებას დაფარავდა. მოქმედება კი რომერომ იმით დაიწყო, რომ **პედრო ვილიარეალს** პრეზიდენტის თანამდებობა დაატოვებინა გუნდის წარუმატებელი და უშედეგო თამაშისათვის.

"ლევანტეს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური დიდხანს არ იქნება. ხორხე რომერო კი სიტყვას შეასრულებს და ფეხბურთელები კუთვნილ ჯამაგირს ახლო მომავალში მიიღებენ.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

საქართველოს თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# მთავარი რუსთავში, სამი გორში



რუსთავში ოლიმპი-ზესტაფონია

საბედნიეროდ, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ ჩანაფიქრზე ხელი აიღო და იმერული კლუბი ოფიციალურ ტურნირებს დაუბრუნდა. ქართული სეზონი თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ თასის პირველი მეოთხედფინალებით განახლდება. ყველაზე საინტერესო დაპირისპირებაში "ზესტაფონი" მონაწილეობს. ერთადერთი წყვილი, სადაც მაღალი დონის ფეხბურთსა და დაძაბულობას ერთდროულად ველით, "ოლიმპი"-"ზესტაფონია".

**14:00 ოლიმპი-ზესტაფონი**

17 თებერვალი. რუსთავი. ფოლადი.
დისკვალიფიკაცია: ორბელაძე (ოლიმპი)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

პირველი მაღალი დონის ტელეტრანსლაცია, რომელსაც მედიაკომპანია "კოლხიდა" აწარმოებს, რუსთავის "ფოლადის" სტადიონიდან ტელემაყურებელი ხვალ იხილავს. ამ მატჩის პირდაპირს რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს.

ხუთშაბათს ზესტაფონის მუნიციპალიტეტი გუნდის ფეხბურთელებს შეხვდა და წარმატებები უსურვა. მომხდარის მიუხედავად, "ზესტაფონის" წევრთა განწყობა ოპტიმისტურია.

"ოლიმპმა" მეტოქეზე არანაკლებად მრავალფეროვანი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა და მოტივაცია არც მის მწვრთნელ-ფეხბურთელებს აკლიათ. "ზესტაფონისგან" განსხვავებით, "ოლიმპს" საქმეები ჩემპიონატში არცთუ სახარბიელოდ მისდის და საქართველოს თასი რუსთაველთათვის არანაკლებ პრიორიტეტულია.

ვარლამ კილასონია (ოლიმპი): *"ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ ჩვენი მიზნების შესასრულებლად მაქსიმუმს გავიღებ. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი მაღალი დონის ფეხბურთს იხილავს. გელა ხუბუას წითელა შეეყარა და ვერ ითამაშებს, სერგი ორბელაძე კი გარდა იმისა, რომ დისკვალიფიცირებულია, უკრაინულ "ზაკარპატიეში" ისინჯება".*

სერგო ფუტკარაძე (ზესტაფონი): *"პირველ რიგში, ჩვენი კლუბის სახელით დიდ მადლობას ვუხდი ქართულ სპორტულ პრესას ბოლო დღეებში გამოხატული თანადგომისთვის. გუნდი მატჩისთვის ზესტაფონში ემზადება, შაბათს კი თბილისში გადაინაცვლებს. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ ვთამაშობთ და ამით ყველაფერია ნათქვამი. "ზესტაფონის" ახალწვეულის, ნიკა გელაშვილის გარდა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. გელაშვილმა როგორც იცით, თურქულ შეკრებაზე ლავიწის ძვალი გაიტეხა და საუკეთესო შემთხვევაში, მოედანს მიმდინარე სეზონის მიწურულს დაუბრუნდება".*

**14:00 სპარტაკი-დინამო**

17 თებერვალი. გორი. ქართლი.
დისკვალიფიკაცია: კრშკო (დინამო)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

წყვილის აშკარა ფავორიტი "დინამოა", თუმცა ვნახოთ, "სპარტაკი" სეზონის პირველ ნახევარშიც ანგარიშგასაწევი მეტოქე იყო და არც საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდთან აპირებს ფარ-ხმლის დაყრას. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი კვლავ ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. "სპარტაკის" შემადგენლობა ბოლო პერიოდში დიდად არ გადახალისებულა, სამაგიეროდ, მოსამზადებელი ეტაპი ცხინვალურმა კლუბმა ნორმალურად წარმართა.

ბევრი სიახლე არც "დინამოშია". **დუშან უჰრინის** გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელია. გორში სტუმრებს დისკვალიფიცირებული **მილოშ კრშკო** არ ეყოლებათ. დაცვის ცენტრში მას, ალბათ, **გურამ კაშია** შეცვლის.

**14:00 დილა-ბორჯომი**

18 თებერვალი. გორი. თ. ბურჯანაძე.
არბიტრი: ლ. სილაგავა

ყველაზე ულიმღამო წყვილია. "დილაში" პირველი წრის შემდეგ, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, რაც იმას ნიშნავს, რომ გორელებს უმაღლეს ლიგაში დარჩენა ძალიან გაუჭირდებათ. "ბორჯომი" კი მეტისმეტად დასუსტდა. ძნელი წარმოსადგენია, ამ წყვილის გამარჯვებულმა ფინალში გასასვლელად იბრძოლოს. "ბორჯომისა" და "დინამოს" ერთობლივი ტრადიცია გაგრძელდა და სეზონის განახლების წინ დედაქალაქიდან სამხრეთს **გრიშიკაშვილმა, კაკუბავამ, გუგავამ, ქავთარაძემ** და **ჩირიკაშვილმა** მიაშურეს.

ზურაბ ხორგუაშვილი (დილა): *"სეზონის მეორე ნახევრისთვის ნორმალურად მოვემზადეთ. ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, თუმცა თასის ნახევარფინალში გასასვლელადაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა აწუხებს, მაგრამ ალბათ, საუკეთესო შემადგენლობით ვითამაშებთ".*

ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი): *"ყველამ იცის, რამდენი პრობლემა შეექმნა ჩვენს გუნდს პირველი წრის დასრულების შემდეგ. "ბორჯომი" ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. სამწუხაროდ, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ველარ შევძლებთ. პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე არ გვემუქრება, თასის ნახევარფინალში კი აუცილებლად უნდა გავიდეთ და მერე ვნახოთ, რა იქნება".*

**14:00 მალაროელი-ამერი**

19 თებერვალი. გორი. თ. ბურჯანაძე.
დისკვალიფიკაცია: ბრეგვაძე (მალაროელის მთავარი მწვრთნელი); **ქვაჩახია, ელბაქიძე, კაკაშვილი** (ამერი), **ჩიხრაძე** (ამერის მთავარი მწვრთნელი); **კვანტალიანი** (ამერის ადმინისტრატორი)
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

რამდენიმე დღის წინათ გადაწყდა, რომ ჭიათურული დიდთოვლობის გამო, ეს შეხვედრა ქუთაისში გამართულიყო. გუშინ კი გაირკვა, რომ ამავე მიზეზით, მატჩი ვერც იმერეთის მთავარ ქალაქში ჩატარდება. ამის გამო, თამაშის გამართვის ადგილიც შეიცვალა და თარიღიც (კვირისთვის იყო დანიშნული).

"მალაროელი" მეოთხედფინალში გასული პირველლიგელია. ჯგუფური ეტაპი ჭიათურელებმა დამაჯერებლად განვლეს და შესაძლოა, "ამერსაც" მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ.

გლდანელთა ამბავი კი ყველას კარგად მოეხსენება. "ამერი" ამბიციების შესაბამისად ვერ მოემზადა, ვერც უცხოურ შეკრებაზე წავიდა და რამდენიმე ფეხბურთელსაც შეელია. ყველაზე დასანანი კი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის, **დავით ბოლქვაძის** ზაქათალურ "სიმურგში" განათხოვრება იყო.

როგორც ხედავთ, ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი დასჯილია. ამას გარდა, "ამერის" არაერთი წევრია დისკვალიფიცირებული, რაც "ამერი"-"ვიტ ჯორჯიას" სკანდალური მატჩის "დამსახურებაა".

**ლევან ჯანეზაშვილი**



მალხაზ ასათიანი

ლეგიონერი

## ასათიანი რეაბილიტაციას განაგრძობს

გუშინწინ ანთალიაში მოსკოვის "ლოკომოტივისა" და იაპონური "ხიროსიმის" (3:2) ამხანაგურ მატჩში **მალხაზ ასათიანსა** და **დავით მუჯირს** მონაწილეობა არ მიუღიათ. მწვრთნელებმა მუჯირს დასვენების საშუალება მისცეს. ასათიანი კი, როგორც ირკვევა, მკურნალობდა. გუშინ რუსული პრესის მიერ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ირკვევა, რომ მალხაზ ასათიანმა ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმა ჯერ კიდევ ვერ მოირჩინა.

*"ასათიანი კვლავ შეაწუხა ტრავმამ. მართალია, მას აქამდე უნდა დაეწყო გუნდთან ერთად ვარჯიში, მაგრამ ვითარება შეიცვალა. ექიმების თქმით საგანგაშო არაფერია. მალხაზ ასათიანი ამჟამად ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს კი ამ დღეებში დაიწყებს"*, - წერენ რუსები.

**დავით ცაგაძე**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

# რაზე ისაუბრეს ევროსაბჭოში მიშელ პლატინიმ და ლევან ბერძენიშვილმა?

## პრივატულ საუბარში მითხრა, უკეთესი არჩევნები შეიძლებოდაო



ლევან ბერძენიშვილი



მიშელ პლატინი

ქომაგთა ლიგის დამაარსებლები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობის დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ. წლეულსაც ასე მოხდა და ჭადრაკის სასახლეში 18 წლის წინანდელ ისტორიულ მოვლენაზე ისაუბრეს. ეს მართლაც დიდი მოვლენა იყო - ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობამ ქვეყნის დამოუკიდებლობასაც სერიოზული ბიძგი მისცა.

ფეხბურთი და სახელმწიფო პოლიტიკა ერთმანეთზე ყოველთვის გადაჯაჭვული გახლდათ, ადრეც და ახლაც. ფეხბურთი კვლავ იარაღია. ეგაა, ამ იარაღს კარგად ვერ იყენებენ და სწორედ ეს გახდა დამოუკიდებელი ფედერაციის დამაარსებლების წუხილისა და შეკრების მიზეზი.

**მამუკა კვარაცხელიამ** კიდევ ერთხელ დააფიქსირა ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობისადმი შეურიგებელი პოზიცია: *"აქ იკითხეს, რატომ მივიღე 17 მაისის არჩევნებში მონაწილეობა. მე მსურდა იმ დელეგატებისთვის მეთქვა სიმართლე, რომლებმაც საკუთარ არჩევანს უღალატეს და ახალკაცი ტაშის გრიალში აირჩიეს. ეს სამარცხვინო მოვლენა იყო. ამის შედეგია, ტოპმიოლერმა და მისმა გუნდმა ხუთი მილიონი რომ წაიღეს. გერმანიაში ხშირად ვიმყოფები და საფრანგეთი-გერმანიის საზღვართან მაჩვენეს ის ზვრები, რომელიც საქართველოში აღებული ფულით შეიძინა. პარადოქსია, ქართველ გლეხს ვენახის მოვლაში არ ეხმარებიან და ჩვენი ფულით გერმანელს ვენახის შეძენაში ეხმარებიან."*

ქომაგთა ლიგის პრეზიდენტმა **ზურაბ პეტრიაშვილმა** ჯერ 15 თებერვლის დეტალები გაიხსენა, შემდეგ კი დღევანდელ სატკივარზე ისაუბრა: *"მსურს ყველას შევახსენო, რომ ნოდარ ახალკაცი ორჯერ დანიშნეს. პირველად ყველას თხოვეს კანდიდატურის მოხსნა, მეორედ კი არჩეული პრეზიდენტი აიძულეს, პოსტიდან თხუთმეტ წუთში გადამდგარიყო. ამის შემდეგ, რომელ ლეგიტიმურობაზეა საუბარი?*

*ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა დარჩეს კლაუს ტოპმიოლერი ნაკრების მწვრთნელად. მაკლარენმა ინგლისი მესამე ადგილზე გაიყვანა და გადადგა, კლემენტე სერბეთიდან წავიდა, მაკლიში ასევე მესამე ადგილისთვის, ბლოხინმა უკრაინა მეოთხეზე გაიყვანა და გადადგა. ამის შემდეგ გაუგებარია, შვიდგუნდიან ჯგუფში მეექვსე ადგილი უფრო დასაფასებელია?"*

დამოუკიდებელი ფედერაციის ერთ-ერთი იდეური სულისჩამდგმელი, ცნობილი კინორეჟისორი **ალექსანდრე ჟღენტი** (ფილმები "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს", "გურია") დღევანდელი სავალალო მდგომარეობის მთავარ მიზეზად უსამართლობას მიიჩნევს: *"მაკიაველი ამბობდა, თუ გინდა გაიგო, რა მოხდება მომავალში, უნდა იცოდე წარსული. ჩვენ ფეხბურთის დამოუკიდებლობა ჭადრაკის სასახლეში გამოვაცხადეთ, რასაც ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. იმიტომ, რომ ეს ერთიანი პროცესი გახლდათ. სამწუხაროდ, დღეს უმაღლეს ლიგაში აღარ გამოდიან კავკასიის უძველესი კლუბი "შევარდენი-1906", უძველესი ქართული გუნდები "გურია", "კოლხეთი", "ტორპედო".*

*ქართული ფეხბურთის აღორძინება ჩვენი ღირსების საქმეა და სხვათა შორის, დღესაც ქვეყნის განვითარებას უსწრებს. თუმცა, სანამ არ იქნება ლეგიტიმური ხელისუფლება, მანამდე არ იქნება ქართული ფეხბურთიც."*

ლევან ბერძენიშვილმა უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინისთან** ევროსაბჭოში შეხვედრა გაიხსენა: *"ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა იყო ის ბედნიერება, რომელზეც თითეული ჩვენგანი ოცნებობდა. თუმცა დამოუკიდებელ ფეხბურთს გაფრთხილება და პროფესიონალების მართვა სჭირდება. 13 მაისის შედეგია, პროცესები 7 ნოემბრამდე რომ მივიდა. მაშინ სახელმწიფოს უხეში ჩარევა რომ არ დაგვეშვა, ძალადობის ესკალაცია აღარ მოხდებოდა. ყველაფრის თავი და თავი ისაა, ორივე კანდიდატურას სამთავრობო წრეები რომ უჭერდნენ მხარს. კირკიტაძე და ბოკერია არ უნდა წყვეტდნენ ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობას. ამიტომ, საფეხბურთო საზოგადოებამ სამართლიანობის აღდგენა უნდა მოითხოვოს. ეს არის ბრძოლა სიმართლისთვის. როგორც გია მაისაშვილმა თქვა - თუ არაა სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა.*

*ჩემთვის გაუგებარია, რა უფლება გააჩნია დაქირავებულ მწვრთნელს კლაუს ტოპმიოლერს, ქვეყანას ულტიმატუმი წამოუყენოს. ის ფეხბურთში მუშაობს და არა ვიღაცის მხარდამჭერად. ორი აზრი არაა, მან ნაკრებისთვის ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ შედეგი არ აქვს. როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ, ფეხბურთის საკანონმდებლო დონეზე უფრო სწორად და მეტად დავაფინანსებთ.*

*სხვათა შორის, ევროსაბჭოში უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ვნახე და ვკითხე, საქართველოს ფედერაციაში ჩატარებულ არჩევნებს უეფა რეალურად როგორ აფასებდა. ეს იყო პრივატული საუბარი და არ დაუმალავს - მისაბაძი არჩევნები არ ყოფილაო. მეტი რა უნდა ეთქვა, სხვაგვარად ამ რანგის ადამიანები არც საუბრობენ, მაგრამ ისედაც ყველაფერი გასაგებად მითხრა.*

*ჩათვალეთ, რომ თქვენს გვერდითაა ოპოზიციის ის ნაწილი, რომელთაც ფეხბურთი გვიყვარს და ეს საკმაოდ დიდი ნაწილია."*

ჭადრაკის სასახლეში შეკრებილმა საზოგადოებამ (ვეტერანმა ფეხბურთელებმა, გულშემატკივრებმა, პოლიტიკოსებმა) მხარი დაუჭირეს რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც, ფედერაციის ხელმძღვანელობა არალეგიტიმურად გამოაცხადეს. მეორე მოთხოვნად კი რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა წამოაყენეს.

შეგახსენებთ, რომ **ვლადიმერ გუცაევმა** ზუსტად იგივე ცოტა ხნის წინათ ბრძანა. ქართული ფეხბურთის ექსვარსკვლავმა ერთი კვირის წინათ მიცემულ ინტერვიუში სფფ-ის პრეზიდენტი არალეგიტიმურად გამოაცხადა და ყველას პოზიციის აქტიური გამოხატვა ურჩია.

საერთოდ, ფეხბურთის ფედერაციას ბოლო დროს მოწინააღმდეგენი მოუმრავლდა - მამუკა კვარაცხელია დიდი ხანია ახალკაცის წინააღმდეგ იბრძვის. **მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული და ლევან ყიფიანი**, ბრძოლის დაწყებას, ვეტერანი ფეხბურთელების დიდ ჯგუფთან ერთად აპირებენ. უკვე თქვენთვის ცნობილია ქომაგთა ლიგის პოზიცია.

ასე რომ, პროცესი დაიწყო. ეს ბრძოლა გაცილებით მძიმე და დაუნდობელი იქნება, ვიდრე აქამდე გამართული ყველა ბრძოლა. ეს ფეხბურთია - პოლიტიკური თამაშების განუყოფელი ნაწილი. ყაველაშვილის ჯგუფი პოლიტიკას მკვეთრად ემიჯნება, ასევე არიან განწყობილი კვარაცხელია და ქომაგთა ლიგა. თუმცა ძნელი სათქმელია, საბოლოოდ ასე გაგრძელდება თუ საქმეში მძიმე არტილერიაც ჩაერთვება.

თუკი ფიზიკის კანონს გავითვალისწინებთ, ქმედება უკუქმედებას გამოიწვევს. სახელისუფლებო ელიტისგან მხარდაჭერილი ახალკაცი ოპოზიციისთვის მიულებელია, ისევე, როგორც ხელისუფლების ნებისმიერი კადიდატი. ნაკრების უსახური თამაშიც მათ წისქვილზე ასხამს წყალს. შვიდგუნდიან ჯგუფში მეექვსე ადგილის დაკავების მერე არ შეიძლება მწვრთნელმა თქვას, ფანტასტიკური გუნდი მყავსო.

ერთი რამ კი ცხადია, მომავალ ბრძოლებში აღარ ჩაერთვება **გიორგი ნემსაძე**. ის საკუთარ თავს ფედერაციაში აღარ და ველარ მოიაზრებს. არჩევნებმა ნერვები ისედაც დააწყვიტა და მეორედ ერთი და იგივე მდინარეში შესვლა არ სურს. თუმცა მისი სიმპათიები ისედაც ცხადია.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაჰყვა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამზრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ლეგიონერი

# პროტასოვი კობახიძით კმაყოფილია



სანდრო კობახიძე

დნეპროპეტროვსკის '"დნეპრმა" კვიპროსში მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა. უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" შეკრების შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელ **ოლეგ პროტასოვს** ესაუბრა. ერთ-ერთი კითხვა ახალწვეულებს შეეხებოდა, მათ შორის, **სანდრო კობახიძესაც** - როგორ გამოამჟღავნეს მათ თავი?

*"ახალწვეულებით კმაყოფილი დავრჩი, თითოეულმა მათგანმა კარგად იმუშავა. სხვა საქმეა, რომ თითოეული ახალწვეული ახალი გუნდის მოთხოვნებზე თავისებურად რეაგირებს. ბუნებრივია, საგაზაფხულო ეტაპს ყველა თანაბარ დონეზე ვერ ეგებება. ამ ეტაპზე სხვაგვარი შედეგი უფრო გამაოცებდა. რაც უფრო მალე გაუშინაურდებიან "დნეპრს", ყველასათვის უკეთესი იქნება." - აღნიშნა პროტასოვმა.*

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge


გიორგი ციმაკურიძე

ლეგიონერები

# ისევ ორი ქართველი

უჟგოროდის "ზაკარპატიე" გუშინ დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპის ჩასატარებლად თურქეთში გაემგზავრა.

უჟგოროდელები პირველი წრის შემდეგ ორ ქართველს - **კახა ალადაშვილსა** და **ოთარ მარცვალაძეს** დაემშვიდობნენ. თუმცა, როგორც გაირკვა, "ზაკარპატიეს" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ შარანმა** სხვა ორს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ესენი არიან **სერგო ორბელაძე** და **გიორგი ციმაკურიძე**.

ორბელაძე რუსთავის "ოლიმპიდან" უცხოეთში წასვლაზე დიდი ხანია ფიქრობდა. ციმაკურიძე კი ზამთარში სიმფეროპოლის "ტავრიაში" გასინჯეს, სამ შეხვედრაში მცველისთვის უჩვეულო შედეგიანობით გამოიჩინა თავი (ორი გოლი), მაგრამ **მიხაილ ფომენკომ** მაინც გაუშვა გუნდიდან.

მერაბ მამულაშვილი

## დემეტრაძეს ჩახლაული დაუზავდა

**გიორგი დემეტრაძის** კიევის "არსენალმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. კიეველმა "მეთოფეებმა" საკონტროლო შეხვედრა რუმინულ "ჩახლაულთან" გამართეს. თამაში ფრედ, 0:0 დასრულდა. დემეტრაძემ 46-ე წუთზე **პოშკუსი** შეცვალა და თამაშიც გაამწვავა, მაგრამ მოედნის დატოვება უგოლოდ მოუწია.

## ლომიძე ვოლინთან დამარცხდა

მოლდოვაში, "შერიფისა" და "დაჩიას" გარდა "ზიმბრუშიც" ასპარეზობს ქართველი – მცველი **მამუკა ლომიძე**. ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა კიშინიოველებმა ამხანაგური მატჩი უკრაინულ "ვოლინთან" გამართეს და 1:2 წააგეს. ქართველი მცველი სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრაც ჩამთავრა, მაგრამ მისი გუნდი მარცხს ვერ გადაურჩა.

მორიგ საკონტროლო მატჩს "ზიმბრუ" კიდევ ერთ უკრაინულ კლუბთან, **ლაშა ჯაკობიას** პოლტავის "ვორსკლასთან" გამართავს.

დავით ცაბაძე

# მოდებაძე რუსეთიდან უკრაინაში დაბრუნდა

## კრივბასის მწვრთნელმა, ირაკლის მშვენივრად ვიცნობო

**ირაკლი მოდებაძემ** თავი რუსეთში გამოცადა, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა. სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენილმა ზაპოროჟიეს "მეტალურგის" თავდამსხმელმა ვერც პერმის "ამკარის" მწვრთნელს მოაწონა თავი და შემდეგ უკვე ვერც "ტომის" დამრიგებელს.

თუმცა ირაკლი უგუნდოდ რომ არ დარჩებოდა, ამის იმედი არსებობდა და ასეც მოხდება. გუშინ უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" კრივოი როგის "კრივბასის" მთავარ მწვრთნელ **ოლეგ ტარანს** ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც მან ქართველი ფეხბურთელის მიწვევაზე ისაუბრა.

კრივოიროგელები თურქეთში მესამე შეკრების ჩასატარებლად გაემგზავრნენ. ტარანმა გამგზავრებამდე კლუბის შესაძლო ახალწვეულზე ისაუბრა..

*"ირაკლი მოდებაძის გასინჯვას ვაპირებ, რომელიც ზაპოროჟიეს "მეტალურგში" გამოსვლითაა ცნობილი. ამ ბიჭის შესაძლებლობებს სხვებისგან არ ვიცნობ, ექვსი წლის წინათ თავად აღმოვაჩინე. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, მოდებაძის "კრივბასში" დატოვებას არ გამოვრიცხავ. მითი უმეტეს, რომ*


ირაკლი მოდებაძე

*ირაკლი თავისუფალი აგენტია და ჩემი ხელმძღვანელობით ვარჯიში თავად მთხოვა. ვფიქრობ, ჩვენი სატრანსფერო მადა ამით ამოიწურება,"* - განაცხადა ტარანმა.

მერაბ მამულაშვილი

საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და ქველმოქმედის

**ბადრი პატარკაციშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ქართული ტრანსფერები

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| დინამო | კობახიძე (დნეპრი), გონჩაროვი, გრიშიკაშვილი, ფეიქრიშვილი | ნერგაძე, გრიგალაშვილი (ორივე ბორჯომი) |
| ზესტაფონი | კ. ჩხეტიანი (სიონი), გ.ნოდ. ჭელიძე (იჯარა დასრულდა), სანტოსი | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) |
| ვიტ ჯორჯია | გელაშვილი (ზესტაფონი), პ. დათუნაიშვილი | ბ. ცხადაძე (ამერი), ყველაშვილი (ბორჯომი) |
| ბორჯომი | შეყრილაძე (ოლიმპი), აკობია (ულისე, სომხეთი), ლ. მერებაშვილი (მესხეთი), გრიგალაშვილი, ნერგაძე (ორივე დინამო), შ. ჯიქია (სიონი), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), მემარნიშვილი | გრიშიკაშვილი, ქავთარაძე, გუგავა, კაკუბავა (ყველა დინამო) ჩირიკაშვილი (სპარტაკი) |
| ოლიმპი | მ. ალავიძე (ლოკომოტივი), ნავალოვსკი, რ. ჯიქია (ორივე ანჟი), დვალიშვილი, ქებაძე, ჯილდასი, ჟივკოვიჩი, კოშკაძე (მესხეთი), ორბელაძე (ზაკარპატიე) | ომელიანოვი, შეყრილაძე (ბორჯომი), ხუბუა, ფარულავა (ორივე მგლები) |
| ამერი | ბ. ცხადაძე (ვიტ ჯორჯია), კობაური (სიონი), ბოლქვაძე (სიმურგი), ჯელაძე (ვოსტოკი), ვარდოსანიძე | - |
| მესხეთი | კაიდარაშვილი ზ. ჩხეტიანი (ორივე ლოკომოტივი), გ. თურმანიძე (ბათუმი), პ. აკოფიანი, ჟვანია | ლ. მერებაშვილი (ბორჯომი), კოშკაძე (ოლიმპი) |
| მგლები | ხუბუა, ფარულავა (ორივე ოლიმპი), ჭედია (ბელარუსი) | - |
| სიონი | სტურუა, თავბერიძე, ევოჩე, რაქვიაშვილი (მესხეთი), ქუთათელაძე, ა. ნოზაძე, მენთესაშვილი, კვიციანი, კოსტავა, ვაშაკიძე, გაგუა | კ. ჩხეტიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (ორივე მერანი), შ. ჯიქია (ბორჯომი), შავგულიძე (ტორპედო), კობაური (ამერი) |
| სპარტაკი | პარამონოვი, ჩირიკაშვილი, ტატაევი, კეტაშვილი, გოგოლაძე | - |
| მერანი | ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (ორივე სიონი), სევასტოპულო, მამარდაშვილი (ორივე მალაროელი), სირბილაძე | - |
| ლოკომოტივი | ყენია (შალკე), გვარამაძე (კარიერა დაასრულა), ბობოხიძე | კაიდარაშვილი (მესხეთი), მ. ალავიძე (ოლიმპი) |
| დილა | - | - |
| ბათუმი | მამინაშვილი (რუსეთი), დარჩიძე | გ. თურმანიძე (მესხეთი) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის წინ

# სადამდე, კარლსრუე?

## ლევერკუზენთანაც მაგრად დადგებიან?

**გუშინ**

| | |
|---|---|
| შალკე-ვოლფსბურგი | 1:2 |

**დღეს**

დუისბურგი-შტუტგარტი
კარლსრუე-ლევერკუზენი
ვერდერი-ნიურნბერგი
კოტბუსი-ბორუსია (დ)
ჰერტა-არმინია
ჰანზა-აინტრახტი

**ხვალ**

ჰანოვერი-ბაიერნი
ჰამბურგი-ბოხუმი

ბუნდესლიგის მე-20 ტური გუშინ "შალკესა" და "ვოლფსბურგის" მატჩმა გახსნა, ანუ, იმ გუნდების დაპირისპირებამ, რომლებმაც მეორე წრე ოპტიმალურად დაიწყეს. დღევანდელი მატჩებიდან კი ყველაზე საინტერესო "კარლსრუესა" და "ლევერკუზენის" დაპირისპირებაა. "ფარმაცევტებს" შუა კვირაში უეფას თასის შეხვედრა ჰქონდათ და ცოტა არ იყოს, გადაღლილები არიან. "ლევერკუზენი" "გალათასარაის" ესტუმრა და რომ არ წააგო (0:0), ეს მეკარე **რენე ადლერის** დამსახურებაა. ახლა კი, **მიხაელ სკიბეს** ბიჭებს კიდევ ერთი მძიმე გასვლითი მატჩი ელით - "ვილდპარკშტადიონზე", **ალექსანდრე იაშვილის** გუნდთან. ექსპერტების უდიდესი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ მეორე წრიდან KSC-ს ჩავარდნა დაეწყებოდა, მაგრამ ბადენურ კლუბში კრიზისის ნასახიც კი არ მოჩანს - იაშვილმა და კომპანიამ ჯერ "ნიურნბერგი" დაამარცხეს (2:0), მერე კი "ჰანოვერშიც" მაგრად დადგნენ (2:2). ასე რომ, "ლევერკუზენს" სულაც არ აქვს საქმე მარტივად. ამბობენ, "კარლსრუეს" მარცხენა მცველი **აიხნერი "ბაიერს"** უნდაო და აი, დღეს ამ ფეხბურთელს თვითრეკლამირების საუკეთესო შანსი მიეცემა. აღსანიშნავია, რომ რაინელებს ბადენელებთან 10 თამაშია არ წაუგიათ. "კიკერი" იაშვილს ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებს.

ასევე ძალიან საინტერესოა, თუ როგორ წარმოაჩენს თავს "ნიურნბერგი", რომელსაც კვირის დასაწყისში მწვრთნელი შეუცვალეს. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ფრანკები "ვერდერს" სტუმრობენ, შანსი იმისა, რომ "ნიურნბერგის" ახალი მწვრთნელის, **თომას ფონ ჰეეზენის** ბუნდესლიგური დებიუტი წარმატებული გამოვიდეს (უეფას თასზე უკვე ჰქონდა), ძალიან მცირეა. თანაც, ამ ორ გუნდს შორის "ვეზერშტადიონზე" გამართული ბოლო 5 დაპირისპირებიდან ხუთივე "მუსიკოსებს" აქვთ მოგებული. ბრემენელებიცა და ნიურნბერგელებიც უეფას თასზე ასპარეზობენ - თუკი "ვერდერმა" ოთხშაბათს "ბრაგა" 3:0 დაამარცხა და მერვედფინალში გასვლა ფაქტობრივად გაინაღდა, "ნიურნბერგმა" ხუთშაბათს ლისაბონის "ბენფიკასთან" 0:1 წააგო. ასე რომ, ფრანკები უფრო დაღლილები არიან, ვიდრე ბრემენელები. ფონ ჰეეზენმა **ჰანს მაიერი** სამშაბათს შეცვალა და მას მერე გაიძახის, ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლაო. ვნახოთ, როგორ იბრძოლებს დღეს გერმანიის თასის მფლობელი კაპიტან **გალაშეკის** გარეშე (ტრავმა)...

დღესვე, გერმანიის ჩემპიონატის ორ აუტსაიდერს მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი უჩნდება. ბოლოსწინა ადგილზე მყოფი "კოტბუსი" დორტმუნდის "ბორუსიას" მასპინძლობს და აღარც კი ვიცით, რა ვიფიქროთ BVB-ზე, რადგან ამ გუნდისგან უკვე არაფერი აღარაა გამორიცხული. დორტმუნდელები საშინლად არასტაბილურები არიან - შეიძლება ერთი თამაში 3:0 მოიგონ და მეორე 0:4 წააგონ. მთავარი მწვრთნელის, **თომას დოლის** თქმით, დღეს სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს **მატს ჰუმელსი**, ცენტრალური მცველი, რომელიც BVB-მ "ბაიერნიდან" ინათხოვრა. ბოლოადგილოსან "დუისბურგს" კი "კოტბუსის" დარი შანსი "შტუტგარტთან" მატჩში უჩნდება. "დორტმუნდისა" არ იყოს, სრულ ჭკუას არც შვაბები ემსახურებიან და...

"აინტრახტი" რომ აღარ ხუმრობს, ამის შესახებ წერა ჯერ კიდევ მაშინ დავიწყეთ, როცა "არწივებმა" **კაიო** და **მარტინ ფენინი** შეიძინეს. ფრანკფურტელებმა მეორე წრის პირველი ორი თამაში თითქმის უპრობლემოდ მოიგეს და ჯერჯერობით სეზონის მეორე ნახევრის აღმოჩენად მიიჩნევიან. **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდი წარმატებული სვლის შეწყვეტას არ აპირებს - დღეს "აინტრახტი" როსტოკში "ჰანზას" სტუმრობს. მეკლენბურგელთა მთავარი მწვრთნელი **ფრანკ პაგელსდორფი** ბრაზილიელ მცველ **გლედსონს** კვლავ ვერ დაიხმარს (ტრავმა), სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია გაუვიდა და ბრუნდება **ვიქტორ აგალი**, თუმცა ამ უკანასკნელმა უკვე დაამტკიცა, რომ დიდი ვერაფერი ხვითოა. გლედსონის გარეშე როსტოკელებს ფრანკფურტელთა თავდასხმის სუპერდუეტის **(ამანატიდისი/ფენინი)** შეჩერება ძალიან გაუჭირდებათ.

ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" ერთმანეთის წინააღმდეგ ადგილობრივი "ჰერტა" და ბილეფელდის "არმინია" წარდგებიან და შეიძლება ითქვას, რომ ეს შაბათის ყველაზე უინტერესო ჯახია. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში "ჰერტამ", ყველასათვის მოულოდნელად, "შტუტგარტში" 3:1 მოიგო და ამ შეხვედრაში ბერლინელთა თავდამსხმელი **მარკო პანტელიჩი** შეუჩერებელი იყო. სერბს "არმინიასთანაც" სურს თავის გამოჩენა, რადგან ეს კიდევ ერთი არგუმენტი იქნება იმისა, რომ კონტრაქტის გაგრძელების ღირსია. სხვა საქმეა ის, რომ პანტელიჩს გოლების გატანა მაშინღა გაახსენდა, როცა კონტრაქტის ამოწურვამდე ცოტა დრო დარჩა და როცა არავინ არაფერს სთავაზობს.

"ბაიერნმა" ხუთშაბათს იმ ტურნირზე ითამაშა, სადაც რეკორდმაისტერის ხვალინდელ მეტოქე "ჰანოვერს" გაისად სურს ასპარეზობა: უეფას თასზე. ბავარიელებმა "აბერდინთან" ერთობ ინვალეს და 2:2-ს დასჯერდნენ. "ჰანოვერის" რიგებში ალბათ პირველად ვიხილავთ ფრანგ მცველ **ვალერიან ისმაელს**, რომელმაც "96-ს" სწორედ "ბაიერნიდან" მიაშურა. ამრიგად, ისმაელი ყოფილი გუნდის წინააღმდეგაა ალესილი. ბავარიელებს ისევ არ ეყოლებათ **ფრანკ რიბერი**, რომელსაც სავარაუდოდ ისევ **შვაინშტაიგერი** შეცვლის. **ოტმარ ჰიტცფელდი** ვერც **მარტინ დემიკელისს** დაიხმარს.

ხვალვე, "ჰამბურგი", რომელმაც მეორე წრე უხეიროდ დაიწყო და ლიდერებს მნიშვნელოვნად ჩამორჩა, "ბოხუმს" დაუპირისპირდება. უეფას თასზე HSV-მაც ითამაშა (3:1 ციურიხთან). **ჰუუბ სტევენსმა** მარცხენა მცველი **ტიმოთი ატუბა** გუნდიდან მოკვეთა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ უკანასკნელმა აფრიკის თასიდან ჰამბურგში დაბრუნება ერთი დღით დააგვიანა. შეგახსენებთ, რომ "ჰამბურგს" ბუნდესლიგაში ბოლო 4 (!) თამაში ფრედ აქვს დასრულებული. სტევენსი ამბობს, ბოლოს და ბოლოს მოგების დრო დადგაო. HSV-ს **რაფაელ ვან დერ ვაარტი** არ ეყოლება - ჰოლანდიელი "ციურიხთან" დაშავდა და უკვე ცნობილია, რომ ფეხბურთს ორი კვირით ჩამოშორდება, რაც ჩრდილოგერმანული კლუბისთვის უდიდესი დანაკლისია.




ალექსანდრე იაშვილი და კრისტიან ტიმი. სადამდე გაგრძელდება სასწაული სახელწოდებით "კარლსრუე"?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 11 | 7 | 1 | 34-10 | 40 |
| 2. ვერდერი | 19 | 11 | 4 | 4 | 44-27 | 37 |
| 3. შალკე | 20 | 9 | 8 | 3 | 34-22 | 35 |
| 4. ლევერკუზენი | 19 | 10 | 4 | 5 | 36-19 | 34 |
| 5. ჰამბურგი | 19 | 9 | 7 | 3 | 26-15 | 34 |
| 6. კარლსრუე | 19 | 9 | 5 | 5 | 23-23 | 32 |
| 7. ვოლფსბურგი | 20 | 8 | 5 | 7 | 35-32 | 29 |
| 8. აინტრახტი | 19 | 7 | 8 | 4 | 24-24 | 29 |
| 9. ჰანოვერი | 19 | 8 | 5 | 6 | 30-31 | 29 |
| 10. შტუტგარტი | 19 | 8 | 1 | 10 | 26-32 | 25 |
| 11. ბოხუმი | 19 | 6 | 5 | 8 | 30-31 | 23 |
| 12. ჰერტა | 19 | 7 | 2 | 10 | 22-28 | 23 |
| 13. ბორუსია (დ) | 19 | 6 | 4 | 9 | 31-36 | 22 |
| 14. ჰანზა | 19 | 5 | 3 | 11 | 18-29 | 18 |
| 15. არმინია | 19 | 5 | 3 | 11 | 20-41 | 18 |
| 16. ნიურნბერგი | 19 | 4 | 4 | 11 | 22-31 | 16 |
| 17. კოტბუსი | 19 | 3 | 7 | 9 | 22-33 | 16 |
| 18. დუისბურგი | 19 | 4 | 2 | 13 | 18-31 | 14 |



ლუჩანო სპალეტი



კლაუდიო რანიერი

იტალია. სერია A. XXIII ტურის წინ

# მთავარი ტურინში: იუვე vs რომა

**დღეს**

ინტერი-ლივორნო
პარმა-მილანი
იუვენტუსი-რომა

**ხვალ**

ფიორენტინა-კატანია
ჯენოა-სამპდორია
ლაციო-ატალანტა
ნაპოლი-ემპოლი
პალერმო-კალიარი
რეჯინა-უდინეზე
სიენა-ტორინო

რაკი მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგა განახლდება, მერვედფინალის მონაწილე იტალიური კლუბები სერია A-ს მატჩებს შაბათს გამართავენ. ტურის ცენტრალური დაპირისპირებაც შაბათს შედგება. ტურინის "ოლიმპიკოზე" "იუვენტუსი" "რომას" უმასპინძლებს. პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირება უდიდეს ინტერესს იწვევს. "ჯალოროსის" სკუდეტოს შანსი აქვს და ახლა, თითოეული შეფერხება, შეიძლება, ძვირად დაუჯდეს. "იუვეს" მიზანია, მინიმუმ ოთხეულში მოხვდეს, მაგრამ არც მეორე ადგილზე იტყვის უარს. ეს მას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს მოუტანს. ასე რომ, "სინიორასაც" ბევრი რამ აქვს დასაკარგი.

ტურინში ისინი 73-ედ ხვდებიან ერთმანეთს. მასპინძლებს დიდი უპირატესობა აქვთ: 46 გამარჯვება, 20 ფრე და 7 მარცხი. ბურთების ბალანსიც სუპერსოლიდურია: 141-53. ბოლო 5 ტურინული ორთაბრძოლიდან "რომა" მხოლოდ ერთხელ გამოვიდა გამარჯვებული. ეს იყო 6 წლის წინ, როცა "ჯალოროსიმ" "დელე ალპიზე" 2:0 მოიგო. მაშინ, ერთმანეთის პირისპირ **მარჩელო ლიპი** და **ფაბიო კაპელო** იდგნენ. "რომას" იმ შემადგენლობიდან კი **ჯონათან ზებინა** დღეს "იუვენტუსის" ღირსებას იცავს. რაც შეეხება დარჩენილ ოთხ მატჩს, აქედან ორი "ბებერმა ქალბატონმა" მოიგო, ორიც ფრედ დასრულდა. პირველი წრის დაპირისპირება 2:2 დასრულდა. "ბიანკონერი" **დავიდ ტრეზეგეს** გოლით იგებდა, მერე ამას **ფრანჩესკო ტოტის** დუბლი მოჰყვა, წერტილი კი, 89-ე წუთზე, **ვინჩენცო იაკვინტას** თავურმა დასვა.

გადავიდეთ დღევანდელ სიტუაციაზე. "რომას" უკანასკნელი გასვლითი მატჩი წაგებული აქვს - 0:3 "სიენასთან". მაგრამ ის კოშმარი მეტ-ნაკლებად დავიწყებულია. შესაბამისად, დედაქალაქელებს ფსიქოლოგიური პრობლემები მაინცდამაინც არ შეაწუხებთ. თანაც, "იუვენტუსის" ფაქტორი განსაკუთრებული მოტივაციის მატარებულია. ცოტა უცნაურია ტურინელთა მდგომარეობა. ამ წელს, მათ საშინაო მატჩი არ მოუგიათ. **კლაუდიო რანიერი** სწორედ ამ ფრონტზე უნდა ელოდოს პრობლემას. მას თვალწინ აქვს "მილანის" მაგალითი. გავიხსენოთ, რომ "როსონერიმ" საკუთარ კედლებში პირველი გამარჯვება ერთი თვის წინ მოიპოვა. ამდენად, შესაძლოა, საქმე ერთგვარ სინდრომთანაც გვქონდეს...

**ლუჩანო სპალეტისთვის** კი მთავარი პრობლემა მცველ **ჟუანის** ტრავმა იქნება. ბრაზილიელს **მატეო ფერარი** შეცვლის. ნახევარდაცვაში დაბრუნდება **სიმონე პეროტა**, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო. თავდასხმაში კი სპალეტი ტოტისა და ორ გარემარბს - **როდრიგო ტადეისა** და **ამანტინო მანსინის** გაამწესებს.

"იუვენტუსის" სატრავმო კრიზისი კი დასასრულს უახლოვდება. დღესდღეობით, მხოლოდ მცველი **ჟორჟე ანდრადე** და შუახაზელი **მარკო მარკიონი** მკურნალობენ. შესაბამისად, რანიერის არჩევანისა და ვარირების მეტი საშუალება აქვს. ასე მაგალითად, **ანტონიო ნოჩერინოს** ნაცვლად, ნახევარდაცვაში, შესაძლოა, **მოჰამედ სისოკო** ვიხილოთ. მარჯვენა მცველის პოზიციას ექსრომაელი ზებინა გაამაგრებს. მოიხსნა ეჭვები **მაურო კამორანეზის** ირგვლივ. იტალო-არგენტინელს ტრავმა ჰქონდა, მაგრამ როგორც "გაძეტა დელო სპორტი" გვაუწყებს, "კამომ" პრობლემა დაძლია და "რომასთან" ბრძოლისთვის მზადაა. არაფერი იცვლება შეტევის ხაზზე, სადაც ტრეზეგეს მხარს **ალესანდრო დელ პიერო** და **პაველ ნედვედი** აუბამენ.

### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** ბუფონი, ზებინა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, კამორანეზი, ნოჩერინო, კ. ძანეტი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე.

**რომა:** ა. დონი, პანუჩი, მექსე, ფერარი, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი.

შაბათის პირველი მატჩი კი "ინტერი"-"ლივორნოა". სამიოდ დღის წინ, ამ უკანასკნელმა უკვე ითამაშა "სან სიროზე", სადაც "მილანს" დეკემბრიდან გადმოტანილ მატჩში დაუზავდა (1:1). ხსენებულ თამაშში ტრავმა მიიღო "ლივორნოს" მთავარმა დამრტყმელმა ძალამ **ფრანჩესკო ტავანომ**, რაც მის თამაშს სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს. ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი **ჯულიანო ჯანიკედა**. ლაზარეთში სიხალვათეს არც **რობერტო მანჩინი** უჩივის. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მას ლამის სამი სრულფასოვანი შემადგენლობის დაყენება შეუძლია, **ოლივიე დაკურის**, **ვალტერ სამუელის**, **სეზარ აპარესიდოსა** და ჩილელი **ლუის ხიმენესის** არყოფნა დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. სხვა საქმეა **პატრიკ ვიეირა**, რომელსაც მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გაუცდება.

"მილანი" პარმაში ითამაშებს. "როსონერი" ფავორიტია ისედაც და სხვა გარემოებების გამოც. საქმე ისაა, რომ გავარდნის საფრთხის ქვეშ მყოფ "პარმას" ოთხი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება. ნახევარმცველი **ფრანჩესკო პარავიჩინი** და ფორვარდი **ბერნარდო კორადი** დისკვალიფიცირებულნი არიან, მარჯვენა მცველ **ფერდინანდ კოლისა** და კიდევ ერთ თავდამსხმელ **კრისტიანო ლუკარელის** კი ტრავმები აწუხებთ. შესაბამისად, **მიმო დი კარლო** წინა ხაზზე **რეჟინალდოსა** და **იგორ ბუდანის** ტანდემს გაამწესებს. **რონალდოსა** და **ალეშანდრე პატოს** ტრავმები **კარლო ანჩელოტისაც** უქმნის პრობლემას. მის განკარგულებაში მხოლოდ **ფილიპო ინძაგი** და **ალბერტო ჯილარდინო** რჩებიან. აქედან გამომდინარე, "მილანი", ალბათ, ერთი ფორვარდით ითამაშებს. პრინციპში, გასვლით შეხვედრებში, ანჩელოტი სწორედ ამ მოდელს მიმართავს ხოლმე.

დანაკლისია ნახევარდაცვაშიც: **კლარენს ზეედორფსაც** ტრავმა აწუხებს, სამაგიეროდ, უკეთ იქნება საქმე საყრდენ რგოლში, სადაც **ჯენარო გატუზო** ბრუნდება.

კვირის მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს გენუური დერბი. ორივე გუნდი, ძირითადად, საბრძოლო შემადგენლობითაა, თუ არ ჩავთვლით სამპდორიელ **ვინჩენცო მონტელას**, რომელიც უკვე სამი თვეა, მკურნალობს. რაც შეეხება ასევე სამპდორიელ **პაოლო სამარკოს**, ამ ნახევარმცველის თამაში ეჭვქვეშაა. საგულისხმოა, რომ ბოლო 5 გენუური დერბიდან 4 ფრედ დასრულდა, აქედან, სამი 0:0 დაფიქსირდა, მათ შორის, პირველ წრეშიც.

"ფიორენტინა" ფავორიტია "კატანიასთან" საშინაო მატჩში, რომელშიც მასპინძელს **ადრიან მუტუ** უბრუნდება. თუმცა სერიოზული დანაკლისია მცველ **ტომაშ უიფალუშის** დისკვალიფიკაცია. სიცილიელები საბრძოლო შემადგენლობით არიან.

"ლაციომ" "ატალანტასთან" მატჩშიც უნდა დაამტკიცოს, რომ უფრო მეტი ამბიცია აქვს, ვიდრე გადარჩენისთვის ბრძოლაა. მაგრამ ძნელი იქნება გამარჯვება თამაშში, რომელშიც "ლაციალეს" 4 წამყვანი ფიგურა დააკლდება. დაცვაში არ იქნება სერბი **ალექსანდრ კორალოვი**, ნახევარდაცვას **მასიმო მუტარელისა** და **ლუჩანო ძაურის** ხელი მოაკლდება, თავდასხმაში კი **გორან პანდევი** ვერ ითამაშებს.

რამდენიმე დღის წინ, "პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** თქვა - ბოლო ადგილზე მყოფი "კალიარიც" კი ჩვენზე უკეთ თამაშობსო. **ფრანჩესკო გვიდოლინის** შეგირდებს შანსი აქვთ, კუნძულელთა დერბიში საპირისპირო დაამტკიცონ. მაგრამ როგორ იქნება საქმე წინა ხაზზე **კარვალიო ამაურისა** და **ფაბრიციო მიკოლის** არყოფნაში, ეს უკვე სხვა საკითხია. არადა, გვიდოლინს გადაყენების საფრთხე ემუქრება...

"რეჯინასთან" გასვლით მატჩში "უდინეზეს" ფორვარდ **ფაბიო კვალიარელას** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. "სიენასა" და "ტორინოს" სერიოზული გარღვევა აქვთ ნახევარდაცვაში - აქეთ **სიმონე ვერგასოლა**, იქით **ჯანლუკა კომოტო** და **აიმო დიანა**.

"ნაპოლისთან" საგარეო დაპირისპირებაში "ემპოლის" მთავარი დანაკლისი ნახევარმცველისა და კაპიტნის **ილი ვანუკის** დისკვალიფიკაციაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 17 | 5 | 0 | 46-13 | 56 |
| 2. რომა | 22 | 14 | 6 | 2 | 40-22 | 48 |
| 3. იუვენტუსი | 22 | 12 | 8 | 2 | 42-19 | 44 |
| 4. ფიორენტინა | 22 | 10 | 8 | 4 | 34-21 | 38 |
| 5. მილანი | 22 | 10 | 7 | 5 | 34-17 | 37 |
| 6. უდინეზე | 22 | 9 | 6 | 7 | 25-27 | 33 |
| 7. სამპდორია | 22 | 9 | 4 | 9 | 29-26 | 31 |
| 8. ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 34-32 | 30 |
| 9. ჯენოა | 22 | 7 | 8 | 7 | 23-29 | 28 |
| 10. პალერმო | 22 | 7 | 7 | 8 | 29-37 | 28 |
| 11. ნაპოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 33-34 | 27 |
| 12. ტორინო | 22 | 4 | 12 | 6 | 23-26 | 24 |
| 13. ლაციო | 22 | 5 | 8 | 9 | 24-31 | 23 |
| 14. კატანია | 22 | 5 | 8 | 9 | 19-26 | 23 |
| 15. ლივორნო | 22 | 5 | 8 | 9 | 25-34 | 23 |
| 16. სიენა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-32 | 20 |
| 17. პარმა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-33 | 20 |
| 18. ემპოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 16-29 | 19 |
| 19. რეჯინა | 22 | 3 | 9 | 10 | 18-34 | 18 |
| 20. კალიარი | 22 | 3 | 6 | 13 | 17-39 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჯანლუიჯი ბუფონთან

# მეორე დღეს მივედი რანიერისთან და ბოდიში მოვუხადე...

## სიხარულით ანთებული ქომაგთა თვალები ნებისმიერ გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია



ჯანლუიჯი ბუფონი თავის სტიქიაში

**ბოლო ხანებში ჯანლუიჯი ბუფონი ზურგის ტკივილმა შეაწუხა. ეს მისი ძველი ტრავმაა. თუმცა მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ორ კვირაში დაუბრუნდა მოედანს და კვლავ "იუვენტუსის" სამსახურში დგას. ბუფონი რობერტო დონადონის ერთ-ერთი მთავარი იმედიცაა ევროპის მომავალ ჩემპიონატზე. ასე რომ, მას გაფრთხილება სჭირდება. ჟიჟის "ლა რეპუბლიკის" კორესპონდენტი შეხვდა. ინტერვიუ სწორედ ხსენებულ ტრავმაზე საუბრით დაიწყო...**

**- როგორ გრძნობ თავს? ზურგის ტკივილი აღარ განუხებს?**

- ახლა უკეთ ვარ, ვიდრე ორი კვირის წინ. თუმცა საკვირაო მატჩის შემდეგ ზურგი ცოტა კიდევ მტკივა. საბედნიეროდ, თამაშის დროს ტკივილი საერთოდ მავიწყდება. ზაფხულის პაუზა რომ იყოს, ერთი ოცი დღე მაინც დამჭირდებოდა საკუთარი თავის წესრიგში მოსაყვანად. მაგრამ ახლა გახურებული სეზონია, და ასე ვიტყოდი, ყველაზე მნიშვნელოვანი თვე, ამიტომ, დასვენება კი არა, გაორმაგებული ძალისხმევა გვმართებს. შეიძლება, მცირე შვებულებაც ავიღო, მაგრამ ახლა არა.

**- ხომ არ არის საფრთხე, რომ ევროპის ჩემპიონატი გამოტოვო?**

- მე ოპტიმისტი და ფატალისტი ვარ. თუ ევროპაზე წასვლა დავიმსახურე, მაშინ ჯანმრთელობა საშუალებას მომცემს, რომ ნაკრებს დავეხმარო.

**- დიდი ხანი არაა, რაც 30 წელი შეგისრულდა. ეს ტკივილები ასაკის ბრალი ხომ არ არის?**

- საკუთარ თავს კარგად ვიცნობ. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ძალიან კარგად ვიყავი, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. აკრობატი არ ვარ. ვფიქრობ, 41-42 წლამდე ვითამაშო.

**- არასოდეს დაფიქრებულხარ იმაზე, რომ სერია B-ში ერთი წელი დაკარგე და ევროთასებსაც მოწყდი?**

- არა, იმიტომ, რომ საკუთარ ცხვირს იქით ვიხედები. სერია B და ევროთასების გაცდენა იყო არა მხოლოდ სასჯელი, არამედ გარკვეული გამოცდილებაც, თუ გნებავთ. ამას გადაჭარბების გარეშე ვამბობ...

**- გახსოვს ბოლო შეცდომა?**

- არა, და სწორედ ამის გამო ვნერვიულობ. რატომღაც მგონია, რომ შეცდომა შეიძლება უახლოეს მომავალში დავუშვა.

**- იყო ეპიზოდები ამ სეზონში, როცა "იუვენტუსის" გადარჩენა შეგეძლო, მაგრამ ვერ მოახერხე?**

- რა თქმა უნდა, იყო, მაგალითად, მეორე გოლი "პარმასთან" მატჩში. თამაშის შემდეგ ადგილს ვერ ვპოულობდი. მეორე დღეს მივედი რანიერისთან და ბოდიში მოვუხადე.

**- რა გითხრა რანიერიმ?**

- განსაკუთრებული არაფერი, სიტყვები საჭირო არც იყო. რანიერიმაც იცის, რომ ოსტატობის ამაღლება წვრილმანებზეა დამოკიდებული. უნდა იმუშაო ყველაზე უმნიშვნელო დეტალებზეც კი, უნდა იყო მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ... ამიტომ, ჩემს თავს ხშირად ვეუბნები: "ჰეი, ბრიყვო, თუკი ასეთ გოლებს გაუშვებ, ერთი ჩვეულებრივი მეკარე იქნები".

**- და ახლა ჩვეულებრივი ხარ?**

- შეიძლება, ასეა (იცინის). მაგრამ ამ სიტყვას გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუკი გოლს პირდაპირ კუთხურიდან გავუშვებ, მაშინვე გავწყვეტ კლუბთან კონტრაქტს.

**- თუ დაგითვლია ოდესმე, რამდენი ქულა მოგიტანია გუნდისთვის შენი "სეივებით"?**

- არა, რადგან შემოწმებისთვის ვარიანტები არ არსებობს. შეუძლებელია, განსაზღვრო გუნდისთვის ბუფონისა და ტოტის მნიშვნელობა, რაკი ვერ შეამოწმებ, რამდენი ქულა ექნებოდათ "იუვენტუსსა" და "რომას", ჩვენს კარში ბელარდი რომ მდგარიყო, ტოტის ნაცვლად კი ვუჩინიჩს ეთამაშა. შესაძლოა, ეს ქულები ორივე გუნდისთვის ათით მეტი ყოფილიყო. ბედნიერი ვიქნები, თუ მომავალშიც გავიგებ ამ სიტყვებს: "უკეთესია, ბუფონი იყოს შენთან, ვიდრე მეტოქე გუნდში". ამავე დროს, ხანდახან ვფიქრობ, რომ არის მომენტები, როცა ზოგიერთი მეკარე იღებს ბურთს, რომელსაც მე ვერ ავიღებდი. მაგალითად, "მილანის" მეკარე კალაჩის ამასწინანდელი ნახტომი ავიღოთ. სერია C-შიც კი ძალიან კარგი მეკარეები არიან. იცით, რა "სეივებს" აკეთებენ?

**- მოგწონს სხვა მეკარეების ყურება?**

- მომწონს ლამაზი თამაში. მოდით, გულახდილად ვთქვათ: ხშირად, კოლეგებს შორის არის შურის მომენტებიც. მაგრამ ჩემგან ეს შორს არის. მე ყოველთვის წარმატებას ვუსურვებ სხვა მეკარეებს, თუმც მისმა კარგმა თამაშმა, შეიძლება, ჩემი გუნდი აზარალოს. ფრეი და ჟულიო სეზარი ხშირად ფანტასტიკურა ნახტომებს აკეთებენ, წლების წინ ბრწყინვალე იყო ტოლდოც.

**- ამბობენ, ბუფონი ყველას მოსწონსო. არ მოგბეზრდა ასეთი იმიჯი?**

- ეს ხელს მიწყობს იმაში, რომ ოპონენტებს შორის პატივისცემით ვსარგებლობდე. ვფიქრობ, "ტორინოს" ქომაგებსაც კი არ ვეზიზღები. როცა სერია B-ში თამაშის გადაწყვეტილება მივიღე, აბსოლუტურად ყველა განვაიარალე, ვინც კი მცირედი ზიზღით მაინც მიყურებდა.

**- არ ფიქრობ, რომ ყველაფრისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ზედმეტია?**

- შეიძლება, მაგრამ ჩვენს ყოველდღიურობაში, რომელიც სტრესებითაა სავსე, პოზიტივი ბევრი არც არის.

**- რომელ ფეხბურთელს ჰგავხარ?**

- მალდინი, კაკა, დელ პიერო... ან თუნდაც მატერაცი. არა, არა, მატერაციზე ვიხუმრე.

**- ეთანხმები ტოტის, რომელმაც თქვა, რომ "ინტერი" მსაჯებისგან საჩუქრებს იღებს?**

- გაზეთებს ვკითხულობ და ვხედავ, რომ დღეს "ინტერი" იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ცოტა ხნის წინ ჩვენ ვიყავით. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად მძიმე გრძნობაა, როცა თითოეული შენი გოლი და, მით უმეტეს, გამარჯვება ეჭვის ქვეშ დგება. ძალიან მეცოდება "ინტერი", რომლის ფეხბურთელები დამსახურებული გამარჯვებებისგან ტკბობას ვერ იღებენ. მაგრამ მეორე მხრივ, მიხარია, რომ მათ სასარგებლოდ საკამათო გადაწყვეტილებებს იღებენ, არადა, ამ გადაწყვეტილებების აუცილებლობა არ არსებობს. ამ სეზონშიც, "ინტერის" მომრევი რეალურად არავინაა.

**- ნუთუ, "იუვენტუსს" არ ძალუძს, "ინტერს" რაიმე დაუპირისპიროს?**

- არა; ამ ეტაპზე არა. "რომასთან" მომავალი მატჩი გაგვცემს პასუხს იმაზე, შევძლებთ თუ არა მეორე ადგილისთვის ბრძოლას.

**- "იუვენტუსის" შედეგები არ გიკვირს?**

- სიმართლე გითხრათ, მიკვირს. არ მეგონა, თუ ამხელა ძალის პატრონები ვიქნებოდით. ამიტომაც ვამაყობ იმ პოზიციით, რომელიც ახლა სატურნირო ცხრილში გვიკავია.

**- რით უნდა ავხსნათ ეს წარმატებები?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იტალიაში არც ერთ გუნდს არ აქვს მსგავსი საბრძოლო სულისკვეთება. ჩვენ შევიძინეთ ეს ხასიათი, რადგან ვიცით, რომ ძლიერები ვიქნებით მხოლოდ მაშინ, თუ უფრო მეტ ორთაბრძოლას მოვიგებთ, და რაც ყველაზე მთავარია, დავრწმუნდებით, რომ მეტოქეზე ერთი თავით მაღლა ვდგავართ. ამ სეზონში 120 პროცენტით ვიხარჯებით, თუმც მხოლოდ მეორე ადგილზე შეგვიძლია ვიფიქროთ. ცოტა არ გაგვიმართლა იმაში, რომ "ინტერი" არანორმალურად ძლიერია. სხვა შემთხვევაში, სკუდეტოზე რეალური პრეტენზია გვექნებოდა, უკვე ამ სეზონში...

**- მთელი ამ საუბრის განმავლობაში მაინც ვერ გაიხსენე ბოლო შეცდომა?**

- გავიხსენე "იუვეში" პირველი თვეები, როცა ქომაგები უკმაყოფილონი იყვნენ ჩემი ორი თუ სამი შეცდომის გამო. მომეჩვენა, რომ ფეხქვეშ მიწა გამისკდა. საბედნიეროდ, საკუთარი თავისადმი საკმარისად თვითკრიტიკული ვარ და სხვის აზრებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ.

**- როგორ ფიქრობ, შენი წარმატების საფუძველი ბედის წყალობაა?**

- დიახ... ან შეიძლება, არც კი. რა გითხრათ... უკვე 17 წლისამ სერია A-ში ვითამაშე, თანაც, "პარმის", "მილანისა" და "იუვენტუსის" წინააღმდეგ. არადა, მეკარეობა სულ რაღაც 3 წლის დაწყებული მქონდა.

**- ადრე რომელ პოზიციაზე თამაშობდით?**

- 13 წლამდე კარგი ნახევარმცველი ვიყავი. ამ გზას რომ გავყოლოდი, სერია B-ში ან თუნდაც C-ში თავისუფლად ვითამაშებდი... მაგრამ ერთხელ, მამამ მკითხა - არ გინდა, რაღაც ახალი ისწავლოო? მან მეკარეობა მირჩია. მაშინვე მომეწონა კეპითა და ხელთათმანებით თამაში. იმ პერიოდში აღფრთოვანებული ვიყავი კამერუნელი მეკარე ნკონოთი. ახლა თქვენ გაეცით პასუხი - ბედის წყალობა იყო თუ სხვა რამ.

**- გამოდის, რომ ნკონომ შთაგაგონათ?**

- 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კამერუნის ნაკრების შემადგენლობა ზეპირად ვიცოდი. ვგულშემატკივრობდი ამ გუნდს და განსაკუთრებით, მის მეკარეს. მას შემდეგ, ნკონო ჩემი კუმირია. საერთოდ, ყოველთვის უმცირესობაში ვრჩები ხოლმე. ვქომაგობდი "პესკარას", რომელშიც იმ დროს ჟუნიორი და სლიშკოვიჩი თამაშობდნენ, და ეს მაშინ, როცა მარადონასა და მაშინდელ "ნაპოლიზე" ყველას ჭკუა ეკეტებოდა.

**- ...და ამიტომაც გადაწყვიტე სერია B-ში თამაში?**

- არ ვიცი... შესაძლოა, სხვა შემთხვევაში ასე არ მოვქცეულიყავი...

**- კიდევ რაში არ ეთანხმები უმრავლესობას?**

- ალბათ, ერთადერთი ფეხბურთელი ვარ მსოფლიოში, რომელიც ავტომანქანებით არ არის გატაცებული. უბრალო "ლანჩა" მყავს და სრულიად მაკმაყოფილებს.

**- 30 წლისა მამა გახდი. ამან რაიმენაირად შეგცვალა?**

- დავხურე ფანჯარა წარსულში და გავხსენი მომავლის კარი. ხშირად მქონდა ნოსტალგია სკოლასა და საერთოდ, ბავშვობაზე, 1990 წლის მუნდიალზე... ახლა მყავს შვილი და შემიძლია, საყვარელი მეუღლის დასაყრდენიც ვიყო. ამიტომაც აღარ ვცხოვრობ წარსულით. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში უფრო გაწონასწორებული გავხდი, თუმცა, ხანდახან, ემოციური აფეთქებებიც მახსენებს ხოლმე თავს.

**- ყველაზე მეტად რა გაკმაყოფილებს?**

- გამარჯვების სიხარული. მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ქუჩაში გამოსული ათიათასობით ადამიანი, რომელთაც უდიდესი სიამოვნება მივანიჭეთ. სიხარულით ანთებული ქომაგთა თვალები ნებისმიერ გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIV ტურის წინ

# რეალს ვან ნისტელროი დაუბრუნდა, ბარსას ეტოო ვერ დაეხმარება

**დღეს**

ბეტისი-რეალი

ესპანიოლი-სევილია

სარაგოსა-ბარსელონა

**ხვალ**

ლევანტე-ოსასუნა

ალმერია-მურსია

ვალიადოლიდი-მალიორკა

ვილიარეალი-რასინგი

რეკრეატივო-დეპორტივო

ხეტაფე-ვალენსია

ატლეტიკო-ბილბაო

"ბეტისთან" მატჩის წინ ბერნდ შუსტერს რუუდ ვან ნისტელროი და გაბრიელ ჰაინცე დაუბრუნდნენ. ჰოლანდიელმა ფორვარდმა სამეფო კლუბის ექიმების დახმარებით ტერფის ტრავმა მოიშუშა და პარასკევის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. რუუდი ანდალუსიელებთან შეხვედრას ოპტიმიზმით ხვდება: *"ბედნიერი გახლავართ, რომ წინა ტურში სამეფო კლუბმა ჩემი დახმარების გარეშე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, მართალია, წელს სერიოზულ ტრავმებს არ შევუწუხებივარ, მაგრამ "ვალიადოლიდთან" მატჩის გამოტოვება სერიოზულად განვიცადე. მსურს, მუდამ მოვლენათა ეპიცენტრში ვიყო. მადლობა ღმერთს, ტრავმა ძალიან სერიოზული არ აღმოჩნდა. ექიმებმა სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლება მომცეს. მეც ვემზადები და იმედს ვიტოვებ, რომ ბერნდ შუსტერი "ბეტისთან" ძირითად შემადგენლობაში დამაყენებს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა "რეალს" დავეხმარო. მჯერა, სევილიიდან გამარჯვებულები დავბრუნდებით."*

როგორც გითხარით, შუსტერის განკარგულებაში გაბრიელ ჰაინცეც დაბრუნდა, თუმცა ვან ნისტელროისგან განსხვავებით არგენტინელ მცველს ძირითადში მოხვედრის ნაკლები შანსი აქვს. მიუხედავად ამისა, ჰაინცე მთავარი მწვრთნელის ყველა მითითებას პირნათლად ასრულებს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად **სერხიო რამოსსა** და **მიგელ ტორესს** მიკროტრავმები აწუხებთ. პარასკევს მათ არ უვარჯიშიათ, თუმცა შეუძლებელი სულაც არ არის, ისინი მოედანზე გავიდნენ.

გამალებულ მზადებაშია "ბარსელონაც". მოგეხსენებათ, კატალონიელებს პრიმერა დივიზიონში საქმე ძალიან რთულად აქვთ. **ფრანკ რაიკაარდის** გუნდი "რეალს" რვა ქულით ჩამორჩება. ამიტომ, მათ წაფორხილების უფლება აღარ აქვთ. საპასუხისმგებლო დაპირისპირების წინ "ბარსას" მწვრთნელს ექიმებმა **სამუელ ეტოოს** თამაშზე საბოლოოდ უთხრეს უარი. კამერუნელმა ფორვარდმა აფრიკის თასის ფინალში ბარძაყის კუნთის ტრავმა მიიღო. ახლა მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ ეტოომ "სელტიკთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში მაინც ითამაშოს და საკუთარ კლუბს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმაროს. ფაქტობრივად, ანალოგიური სიტუაციაა **კარლეს პუიოლთან** მიმართებაშიც. კაპიტანი პრაქტიკულად გამოჯანმრთელდა, მაგრამ ექიმები რაიკაარდს ურჩევენ, ის "სარაგოსასთან" არ ათამაშოს და "სელტიკთან" დაპირისპირებისთვის შემოინახოს.

"სარაგოსა" კატალონიური გრანდის დამარცხებას გეგმავს. დაგვეთანხმებით, არაგონელები ძალიან ამბიციურ მიზანს ისახავენ. **ხავიერ ირურეტას** დაძაბული თამაშის წინ **მათუსალემი** დაუბრუნდა. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ხანგრძლივი ტრავმა მოიშუშა. გუშინ მან ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშა და მინიმალური პრობლემაც არ შექმნია. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მოტივირებული **დიეგო მილიტოა**. არგენტინელ ფორვარდს საკუთარი ძმის, **გაბიერლ მილიტოს** წინააღმდეგ მოუწევს თამაში, თუმცა სარაგოსელი პირობას დებს, ყველაფერს გავაკეთებ, რათა გუნდს სამი ქულის მოპოვებაში დავეხმარო, თუნდაც ამისთვის ღვიძლი ძმის გაბითურება დამჭირდესო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 23 | 18 | 2 | 3 | 53-18 | 56 |
| 2. ბარსელონა | 23 | 14 | 6 | 3 | 42-15 | 48 |
| 3. ვილიარეალი | 23 | 13 | 3 | 7 | 41-34 | 42 |
| 4. ატლეტიკო | 23 | 12 | 5 | 6 | 38-23 | 41 |
| 5. ესპანიოლი | 23 | 11 | 6 | 6 | 33-26 | 39 |
| 6. რასინგი | 23 | 9 | 7 | 7 | 23-25 | 34 |
| 7. სევილია | 23 | 10 | 3 | 10 | 42-31 | 33 |
| 8. ალმერია | 23 | 9 | 6 | 8 | 20-21 | 33 |
| 9. ვალენსია | 23 | 10 | 3 | 10 | 27-34 | 33 |
| 10. სარაგოსა | 23 | 7 | 8 | 8 | 35-36 | 29 |
| 11. მალიორკა | 23 | 6 | 10 | 7 | 32-34 | 28 |
| 12. ხეტაფე | 23 | 8 | 4 | 11 | 28-32 | 28 |
| 13. ვალიადოლიდი | 23 | 7 | 6 | 10 | 30-41 | 27 |
| 14. ბილბაო | 23 | 6 | 8 | 9 | 20-23 | 26 |
| 15. ოსასუნა | 23 | 7 | 5 | 11 | 24-28 | 26 |
| 16. ბეტისი | 23 | 6 | 7 | 10 | 24-34 | 25 |
| 17. რეკრეატივო | 23 | 6 | 7 | 10 | 20-31 | 25 |
| 18. დეპორტივო | 23 | 6 | 6 | 11 | 24 -34 | 24 |
| 19. მურსია | 23 | 5 | 8 | 10 | 20-32 | 23 |
| 20. ლევანტე | 23 | 3 | 4 | 16 | 17-41 | 13 |

უეფას თასი. 1/16 ფინალი. ხუთშაბათის მატჩები

# ჰამბურგი თამაშობს, ბაიერნი?

## ფიორენტინა ჩვეულ ამპლუაშია...

უეფას თასის მთავარმა ფავორიტმა "ბაიერნმა" მოკრძალებული "აბერდინი" ვერ დაამარცხა, რაც გერმანიაში სენსაციად აღიქვეს. ის კი არა და, ბავარიელები ორჯერ აგებდნენ, მაგრამ კლოზესა და ჰამით ალთინთოფის გოლებით გადარჩნენ. სამაგიეროდ, მეორე გერმანულმა კლუბმა "ჰამბურგმა" უპრობლემოდ გაიმარჯვა, რასაც ვერ ვიტყვით ბუნდესლიგის კიდევ ერთ წარმომადგენელ "ნიურნბერგზე" - ფრანკები ლისაბონში დაეცნენ და უნდა ითქვას, რომ ეს "ნიურნბერგის" ახალი მწვრთნელის, თომას ფონ ჰეეზენის დებიუტი გახლდათ. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა "ფიორენტინამ", "ბოლტონმა" მადრიდის "ატლეტიკო" დაამარცხა, ხოლო "ტოტენჰემმა" კი პრალაში სლავია ჩაკლა.

ხუთშაბათის პირველი მატჩი "აბერდინისა" და "ბაიერნის" დაპირისპირება გახლდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოტლანდიურმა კლუბმა ბავარიულ გიგანტთან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ოდნავ უფრო მეტად რომ გამართლებოდა, რეკორდმაისტერს ბავარიაში დამარცხებულს გაუშვებდა. მიუნხენურ კლუბს პრობლემები მატჩის დაწყებამდეც არ აკლდა - **კანი, რიბერი** და **ვან ბომელი** სხვადასხვა მიზეზებით ვერ თამაშობდნენ - და როცა თამაში დაიწყო, მერე უფრო გაუჭირდა. აღსანიშნავია, რომ სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ FCB-ს **მარსელ იანსენი** დაუბრუნდა და ეს ერთადერთი სასიხარულო ინფორმაცია გახლდათ ჰიტცფელდისთვის, რომელმაც **ფილიპ ლამი** სკამზე დატოვა. "პიტოდრი სთედიუმზე" შეკრებილი გულშემატკივრები (21 500) პირველიდან ბოლო წუთამდე არ გაჩერებულან. თურმე მანამდე კლუბის ბოსებმა სტადიონზე 5 000 საყვირის უფასოდ დარიგება გადაწყვიტეს და ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, "აბერდინის" ამ მომცრო სტადიონზე იმდენად შესანიშნავი ატმოსფერო შეიქმნა, რომ "ბაიერნის" ქომაგებს აუცილებლად შეშურდებოდათ - მათ "ალიანს არენაზე" ასეთი ხმაური მხოლოდ მაშინაა ხოლმე, როცა ბავარიელები მადრიდის "რეალს" მასპინძლობენ...

24-ე წუთზე "აბერდინი" დაწინაურდა - **ალუკომ უოლკერს** უპასა, ამ უკანასკნელმა კი 20 მეტრიდან დააქუხა და კანის შემცვლელი **მიხაელ რენზინგი** უშანსოდ დატოვა. დარტყმა ისეთი გახლდათ, რომ რენზინგი კი არა, თვით ეშმაკიც ვერ აიღებდ სავარაუდოდ. მიუნხენელებმა პასუხი არ დააგვიანეს - 29-ე წუთზე **ლუსიომ ტონი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა ბურთს თავით **მიმართულება კლოზესკენ** შეუცვალა, ხოლო მირომ კი 6 მეტრიდან ანგარიში გაათანაბრა. კლოზესთვის ეს 2008 წელს გატანილი პირველი გოლი გამოდგა - გაგიკვირდებათ და, ბუნდესლიგაში ბოლოს 24 ნოემბერს (!) ჰქონდა გატანილი, უეფას თასზე კი 29 ნოემბერს.

41-ე წუთზე ბავარიელმა მცველებმა ისევ მიჰქარეს და ამჯერად **ალუკოს** გაატანინეს, რომელმაც **დემიკელისი** და **ლელი** ერთმანეთის მიყოლებით, მიჯრით მიაწვინა და მერე **რენზინგიც** ზედ მიაყოლა. ცნობისთვის, ალუკოს ფასი სატრანსფერო ბაზარზე 50 000 ევროა. აი, ამ შემთხვევაში კი, რენზინგი საყვედურის ღირსია...

ბავარიული კლუბის მენეჯერი **ული ჰიონესი** ბოლო დროს მსაჯებზე ბრაზობდა, როცა სიტუაცია საკამათოა, არც კი უფიქრდებიან, მაშინვე "ბაიერნის" საწინააღმდეგოდ უსტვენენო. "აბერდინთან" პირიქით მოხდა - მსაჯმა მიუნხენელებს თერთმეტმეტრიანი აჩუქა: თუკი ბუნდესლიგის გასულ ტურში ტონიმ ვერ გაიტანა, პენალტი ახლა **ჰამით ალთინთოფმა** დაარტყა ცუდად, მაგრამ შეცდომა დამატებაზე გამოასწორა და ანგარიში მაინც გაათანაბრა. საერთო ჯამში, ბავარიელებს სასაყვედურო არაფერი აქვთ: მეტიც, თუკი რომელიმე გუნდი მოგებას იმსახურებდა, პირველ რიგში, ეს "აბერდინზე" ითქმის.

ციურიხში "ჰამბურგმა" იბატონა და ეს უკვე მეორე შემთხვევაა ამ სეზონში, როცა გერმანული კლუბი "ციურიხს" არცხვენს (მანამდე "ლევერკუზენმა" გაამწარა). მართალია, პირველ ტაიმი უგოლო გახლდათ, მაგრამ ერთი ისეთი რამ მოხდა, რომ ჰამბურგელებს ალბათ ერჩივნათ, გოლი გაეშვათ, ოღონდაც ეს არ მომხდარიყო: **რაფაელ ვან დერ ვაარტი** დაშავდა და შესაცვლელი გახდა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ჰოლანდიელის ტრავმა არც ისე სერიოზულია და რომ რაფა 2 კვირას დაისვენებს, მაგრამ ვან დერ ვაარტის გარეშე ჩატარებული ერთი თამაშიც კი HSV-სთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სტევენსის ბიჭები მეორე ტაიმის დაწყებიდან 4 წუთში დაწინაურდნენ - **დავიდ იაროლიმმა გერეროს** პასით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მერე **ოლიჩმაც** გერეროს პასით გაიტანა, რითაც, ფაქტობრივად, ნაადრევად გადაწყვიტა არა მხოლოდ უშუალოდ ამ მატჩის, არამედ მთლიანად წყვილის ბედი. მალევე, 77-ე წუთზე ციურიხის მეკარე **ლეონიმ** სასტიკი შეცდომა დაუშვა და ანგარიში სულაც 0:3 გახდა. ერთადერთი, რაც შვეიცარიელებმა მოახერხეს, საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე **ვასკესის** მიერ გატანილი კინკილა გოლი გახლდათ. ამრიგად, HSV ცალი ფეხით მერვედფინალშია, სადაც "გალათასარაისა" და "ლევერკუზენს" შორის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს. ასე რომ, შესაძლოა, მომდევნო რაუნდში გერმანული ჯახი ვიხილოთ.

"ტოტენჰემმა" პრემიერლიგაში ბოლო დროს ერთობ მოუმატა და ბოლო 4 თამაშში 8 ქულას მოუყარა თავი (2/2/0). ასე რომ, "სპურზმა" ალმასვლა არ შეწყვიტა და უეფას თასზეც იმარჯვა - 2:1 პრალაში, "სლავიასთან". პირველი გოლი მე-4 წუთზე **დიმიტარ ბერბატოვმა** გაიტანა, ზუსტან ნახევარი საათის შემდეგ **რობი კინმა** სხვაობა ორამდე გაზარდა. ჩეხებს იმედის ნაპერწკალი 69-ე წუთზე გაუღვივდათ, როცა **სტრიჰავკამ** სხვაობა შეამცირა, მაგრამ ეს იყო და ეს - "ტოტენჰემმა" "სლავიას" მეტი აღარაფერი გააბედინა.

სათამაშო პრაქტიკის არმქონე "რუსენბორგი" "ფიორენტინას" მასპინძლობდა და 0:1 დამარცხდა. თუ თამაშის ხარისხით ვიმსჯელებთ, იტალიელებმა გრანდიოზული ვერაფერი შემოგვთავაზეს, უფრო ტიპურ იტალიურ სტილში იმარჯვეს. შეგახსენებთ, რომ "ფიორენტინა" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში დაუმარცხებლად ასპარეზობს. **ადრიან მუტუმ** ერთადერთი გოლი მე-16 წუთზე გაიტანა. "ბოლტონისა" და "ატლეტიკოს" შეხვედრაში კი პირიქით მოხდა - ჯერ დიდი ხნის განმავლობაში საინტერესო არაფერი ხდებოდა, მერე კი, 73-ე წუთზე მსაჯმა **სერხიო აგუერო** გააძევა. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ დიუფმა ინგლისელები დააწინაურა. 1:0 და "ბოლტონს" მერვედფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს.




დაიმონდი უყურებს და ტონისგან სწავლობს, როგორ უნდა მაღალი ბურთის გაჩერება


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბერტო აკვილანიზე მოთხოვნა გაიზარდა

იუვენტუსი. ტრანსფერები

# იუვე ინტერს აკვილანიში შეეცილება

„იუვენტუსი" „ინტერს" **ალბერტო აკვილანის** ადვილად არ დაანებებს. რომაელი ვარსკვლავი ტურინელებსაც სურთ. რამდენიმე დღის წინათ ფეხბურთელმა თქვა, რომ მზადაა, მილანში გაემგზავროს. მაგრამ ეს იქამდე იყო, სანამ „იუვე" გააქტიურდებოდა. „ქალბატონი" მას უკეთეს კონტრაქტს უმზადებს. რომაელთა თავაკცმა **ლუჩანო სპალეტიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თუ ფეხბურთელი სარფიან შეთავაზებას მიიღებს, ტრანსფერში ხელს არ შეუშლის. თუმცა **ჯალოროსი** ცდას არ დააკლებს, რომ ფეხბურთელი შეინარჩუნოს. სეზონის დასრულებისთანავე მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ და თუ უარი მიიღეს, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავენ „ინტერისა" და „იუვენტუსის" წინადადებებს.

„იუვენტუსზე" საუბარს სხვა სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. ზაფხულში "ბიანკონერი " "ატლეტიკოს" ორი ფეხბურთელის შეძენას ეცდება. ტურინელები, დიდი ხანია, აკვირდებიან ახალგაზრდა არგენტინელ თავდამსხმელ სერხიო აგუეროს. ახლა მათ მისი თანამემამულის, **მაქსი როდრიგესის** შეძენაც გადაწყვიტეს. ამ ინფორმაციას "ტუტოსპორტი" ავრცელებს. პოპულარული გამოცემა წერს, რომ "იუვემ" ბრემენელი დიეგოს ტრანსფერზე ხელი ჩაიქნია. "ქალბატონი" მთელ ყურადღებას მადრიდელთა კაპიტნისკენ გადაიტანს. "ტუტოსპორტის" ცნობით, ესპანელებს გარიგების სანაცვლოდ თანხის გარდა, 27 წლის პორტუგალიელ ნახევარმცველ **ტიაგო მენდეშსაც** შესთავაზებენ. მადრიდელებს მენდეში დიახაც სურთ, მაგრამ არა მაქსი როდრიგესის ხარჯზე. მათ მაქსიც ძალიან სჭირდებათ და მის შესანარჩუნებლად ყველაფერს ილონებენ.

ინგლისური სააგენტოების ცნობით, "იუვენტუსმა" "არსენალის" მარცხენა მცველი **გაელ კლიშიც** მოიკითხა. ქალბატონს დაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერება უნდა და ფრანგ ყმაწვილს იდეალურ კანდიდატად მიიჩნევს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ინგლისის ასოციაციის თასი. 1/8 ფინალი

# შესუსტებული არსენალი მანჩესტერში

"არსენალს" ტრავმების ეპიდემიამ გადაუარა. **არსენ ვენგერმა** მანჩესტერში მხოლოდ 14 ფეხბურთელი წაიყვანა. მას ძირითადი შემადგენლობის ცხრა მოთამაშე აკლია. კიდევ ოთხის ასპარეზობა საეჭვოა. ლონდონში დარჩნენ **როსიცკი, ვან პერსი, უოლკოტი, ჯურუ, ალმუნია, დიაბი, დენილსონი**. ოჯახური პრობლემების გამო შინ დარჩა **ბაკარი სანია**. შეღავათი ისაა, რომ **ემანუელ ებუე** და **კოლო ტურე** აფრიკის ერთა თასიდან დაბრუნდნენ და გუნდთან ერთად არიან.

მომავალ კვირაში "არსენალი" "მილანს" შეხვდება. ვენგერმა უნდა გადაწყვიტოს, ათამაშოს თუ არა "ოლდ ტრეფორდზე" სამი წამყვანი ფეხბურთელი - **ადებაიორი, ფლამინი და კლიში**, რომელთაც მსუბუქი ტრავმები აქვთ. მწვრთნელს ყველაზე მეტად ადებაიორის მდგომარეობა აწუხებს. მას მუხლი წამოსტკივდა. მწვრთნელს არჩევანი, ფაქტობრივად, არ გააჩნია. თუ ტოგოელი თავდამსხმელის ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება, ის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. შეგახსენებთ, ემანუელი ზედიზედ ცხრა შეხვედრაა, იტანს. მან ამ ხნის განმავლობაში 12 გოლს მოუყარა თავი.

მაგრამ "მანჩესტერს" ასეთი შედეგიანობით ვერ გააკვირვებ. მას თავისი ბომბარდირი ჰყავს - **რონალდო**. პორტუგალიელმა ნახევარმცველმა მიმდინარე სეზონში უკვე 27 გოლს მოუყარა თავი, მათ შორის, ცხრა გოლი ბოლო შვიდ შეხვედრაში შეაგდო. მომდევნო კვირაში "იუნაიტედს" "ლიონთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის. "მენიუს" დისკვალიფიკაციის შემდეგ **რუნი** და **ევრა** დაუბრუნდა. განაცხადშია **საა**, რომელმაც მუხლის ტრავმა მოიშუშა. დაშავებულები არიან მარჯვენა მცველი **გარი ნევილი** და მარცხენა მცველი **სილვესტრი**.

ცოტა რამ სტატისტიკის მოყვარულთათვის. დღეს **სერ ალექს ფერგიუსონი** და არსენ ვენგერი 35-ედ შეხვდებიან ერთმანეთს. წინა 34 მატჩიდან მანჩესტერმა მოიგო 11, არსენალმა - 13. ათიდან რვა ფრედ დასრულდა, ხოლო ორი მატჩის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. "იუნაიტედმა" მეტოქეს 2003 წლის ქომიუნითი შილდი აართვა, ხოლო "არსენალმა" მას 2005 წლის ასოციაციის თასის ფინალი მოუგო. ბი-ბი-სის მიმომხილველები გვაუწყებენ, რომ "არსენალმა" ვენგერის ხელმძღვანელობით ასოციაციის თასზე 63 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 7 წააგო. მათ არც იმის შეხსენებაავიწყდებათ, რომ სერ ალექს ფერგიუსონმა "მანჩესტერი" რვაჯერ გაიყვანა ასოციაციის თასის ფინალში და ხუთჯერ თასი მოაპოვებინა. გუნდები სავარაუდოდ, ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ:

***მანჩესტერ იუნაიტედი***: ვან დერ სარი, ბრაუნი, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, პარკი, სქოულზი, რონალდო, ანდერსონი, გიგზი, ტევესი.

**არსენალი**: ლემანი, სენდეროსი, ებუე, კოლო ტურე, სონგი, ჯილბერტი (ან ფლამინი), ჟილბერტო, გლები, ფაბრაგესი, ედუარდო, ბენდტნერი (ან ადებაიორი).

ინტერვიუ ტიერი ანრისთან

# რეალის ბევრ გუნდს შურს

## კატალონიელები ამ შურს ან არ აღიარებენ, ან ყურადღებას არ აქცევენ

გასული წლის ზაფხულში "ბარსელონამ" ტიერი ანრი დიდი ზარზეიმით გადაიბირა. შენაძენი გუნდს 30 მილიონი ევრო დაუჯდა. კატალონიელმა გულშემატკივრებმა ფრანგი ფორვარდი უაღრესად გულთბილად მიიღეს. "კამპ ნოუზე" მის პრეზენტაციას სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი დაესწრო. არადა, ვის არ უთამაშია "ბარსელონაში", პირენეული გრანდის ღირსებას სხვადასხვა დროს პლანეტის საუკეთესო მოთამაშეები იცავდნენ, მაგრამ ყველაზე მეტი ინჩასი სწორედ ანრის პრეზენტაციაზე მივიდა. მას შემდეგ მრავალი თვე გავიდა და სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ტიერის არ საყვედურობენ, თუმცა იმას კი ამბობენ, რომ მისგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ფრანგი სუპერ-ფორვარდი, რა თქმა უნდა, გოლების გასატანად იყიდეს. ყველა ფიქრობდა, რომ ის პირველივე სეზონში პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისთვის იბრძოლებდა, მაგრამ მოლოდინი არ მართლდება. სპეციალისტები წარუმატებლობის მიზეზებზე საუბრობენ. ზოგი ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, ზოგი მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ ანრი დაბერდა და მისმა მატარებელმა უკვე ჩაიარა. თავად ფეხბურთელი კი გოლების ნაკლებობას იმ პოზიციაზე თამაშით ხსნის, რომელზეც ფრენკ რაიკაარდმა გაამწესა.

**- ორი კვირის წინათ, "ოსასუნასთან" გამარჯვების შემდეგ "რეალთან" ჰანდიკაპის ექვს ქულამდე შემცირებით გახარებულმა განაცხადეთ, პრიმერა დივიზიონში არაფერი გარკვეულა და ჩემპიონობის მოპოვების შესანიშნავ შანსს ვფლობთო. საინტერესოა, "სევილიასთან" ქულების დაკარგვის შემდეგაც ასევე ფიქრობთ?**

- სამწუხაროდ, სამეფო კლუბმა უპირატესობა რვა ქულამდე გაზარდა. ბუნებრივია, ეს გარემოება ამოცანას ართულებს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ძალიან რთული ბრძოლების გამართვა მოგვიწევს. გულწრფელად ვიტყვი, "რეალს" გაცილებით უკეთესი შანსი აქვს, მაგრამ "ბარსელონა" ფარხმალს ბოლომდე არ დაყრის. მოკლედ, ვიბრძოლებთ მანამ, სანამ ბრძოლას აზრი ექნება. იმედია, მდგომარეობას გავაუმჯობესებთ.

**- "სევილიასთან" მატჩზე რას გვეტყვით? ხომ არ მოგეჩვენათ, რომ ანდალუსიელებმა პირველ ტაიმში აშკარად დაგჩაგრათ?**

- არა, "ბარსელონას" დაჩაგვრა ასეთი იოლი არ არის. უბრალოდ, მასპინძლებს საქმე უკეთ გამოსდიოდათ. დაცვაში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. ფაქტობრივად, არავის წაგვივიდა თამაში. მეორე ტაიმში სიტუაცია საგრძნობლად გამოვასწორეთ, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

**- სხვათა შორის, იოჰან კრუიფმა "სანჩეს პისხუანზე" ორი ქულის დაკარგვაში ნახევარდაცვა დაადანაშაულა...**

- ეს მისი საქმეა. კრუიფს უფლება აქვს, ის თქვას, რასაც მოისურვებს. ვალდებული არ ვარ, საკუთარი აზრი სხვების გავლენით შევიქმნა. ჩემი აზრით, წარუმატებლობა მთელი გუნდის ბრალია. დაუშვებელია, მხოლოდ ერთი რგოლი დავადანაშაულოთ. ამ გზით ერთადერთს მივაღწევთ, გუნდის სრულ დემორალიზაციასა და დაქსაქსულობას. გამარჯვების შემთხვევაში არავინ ამბობს, რომ მხოლოდ ცალკეული ფეხბურთელების წყალობით მოიგეს. ასე რომ, ნებისმიერი გუნდი ნებისმიერ შემთხვევაში ერთიანი უნდა იყოს.

**- "რეალმა" "ვალიადოლიდი" მინასთან გაასწორა. როგორი განწყობა დაგეუფლათ ამ შეხვედრის ხილვის შემდეგ?**

- მხოლოდ მომენტები ვნახე, თუმცა ეს ბევრს არაფერს ცვლის. აქამდეც ნათელი იყო, რომ "რეალი" დიდი გუნდია. ჩვენთვის სამწუხაროდ, მადრიდელები შესანიშნავ ფორმაში არიან. როგორც ვხედავთ, ბერნდ შუსტერმა მცირე დროში საუცხოო კოლექტივი ჩამოაყალიბა. ვფიქრობ, "რეალის" ბევრ გუნდს შურს.

**- თქვენც?**

- ალბათ, გულის სიღრმეში შური ჩვენც გვაქვს, მაგრამ ამას ან არ ვაღიარებთ, ან ყურადღებას არ ვაქცევთ. ალბათ, უფრო მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ "ბარსა" სამეფო კლუბს ახლა რვა ქულით ჩამორჩება, ჩვენ არაფრით ვართ მათზე ნაკლებები. იყო დრო, როცა "ბარსელონა" ბრწყინავდა, "რეალი" კი უმწვავეს კრიზისში იმყოფებოდა. განა მაშინ ვინმე ამბობდა, რომ "რეალი" დიდი გუნდი არ იყო? ფეხბურთი ასეთია, ხან ერთი ბრწყინავს, ხან მეორე. დარწმუნებული ვარ, "ბარსა" მალე დაძლევს პრობლემებს და ყველა გულშემატკივარს უზომოდ გაახარებს.

**- თქვენ ჯერაც ახალი კაცი ხართ და შესაძლოა, კიდევ არ იცით, რომ კატალონიელი გულშემატკივრები ძალიან მომთხოვნები არიან. ისინი ბევრ დროს არ მოგცემენ...**

- დიახ, "ბარსელონაში" ერთი წელიც არაა, რაც გადმოვედი, მაგრამ ამ კლუბის შესახებ ძალიან ბევრი რამ ვიცი. აქაური გულშემატკივრები ინგლისელი ფანებისგან, ფაქტობრივად, 100 პროცენტით განსხვავდებიან. "არსენალმა" ზედიზედ 10 შეხვედრაც რომ წააგოს, ისეთ ობსტრუქციებს არ მოაწყობენ, როგორსაც აქ ერთი წარუმატებლობისთვის მიმართავენ. რა გაეწყობა, ყველა ქვეყანასა თუ საზოგადოებას საკუთარი კულტურა გამოარჩევს. კატალონიელები უფრო მომთხოვნები არიან. ასე რომ, "ბარსელონას" ფეხბურთელებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მათი შეკვეთა შევასრულოთ.

**- მალე ჩემპიონთა ლიგა განახლდება. პრიმერა დივიზიონისგან განსხვავებით, ამ ფრონტზე ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. როგორი განწყობით ხვდებით "სელტიკთან" ორმატჩიან დუელს?**

- ოპტიმიზმით ვართ გამსჭვალულები და გვჯერა, რომ "სელტიკის" ბარიერს გადავლახავთ. დიახ, ჩემპიონთა ლიგაში აბსოლუტურად ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ გლაზგოელების დამარცხებაზე უნდა ვიფიქროთ. ჯერ მომდევნო ეტაპზე უნდა გავაღწიოთ, უფრო ამბიციურ მიზნებზე კი შემდეგ უნდა ვიფიქროთ.

**- ხომ არ შიშობთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის წინ გუნდი არცთუ კარგ ფორმაშია?**

- ყველაფერს დრო დაგვანახებს. გარკვეული პრობლემების მიუხედავად, არ ვფიქრობ, რომ "ბარსელონა" ცუდ ფორმაშია. კონკრეტული მატჩის წინ ყოველთვის შეიძლება ძალების მოკრება და გამარჯვება. მნიშვნელოვანია, რომ "სელტიკთან" ორმატჩიანი დუელი გვექნება. პირველ შეხვედრას სტუმრად გავმართავთ. ჩვენთვის ეს საკმაოდ დიდი უპირატესობაა. მოკლედ, იმედიანად ვარ განწყობილი.

**- ალბათ, დამეთანხმებით, რომ "ბარსელონაში" თქვენი გადმოსვლისას ტიერი ანრის მიერ გატანილ უამრავ გოლზე ფიქრობდნენ... თუმცა თქვენი მონაგარი არ არის შთამბეჭდავი...**

- დიახ, ჩემგან გაცილებით მეტ გოლს ელოდნენ. მეც ვფიქრობდი, რომ უკეთესი შედეგი მექნებოდა, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ვიტან.

**- რა მიზეზს გულისხმობთ?**

- ფრენკ რაიკაარდის მითითებით ძირითადად ფლანგზე მიწევს თამაში. მთავარი მწვრთნელის მითითებას, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ ვასრულებ, მაგრამ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის ფლანგიდან იერიშის მოწყობა და გოლის გატანა უფრო რთულია. მიუხედავად ამისა, სიურპრიზების მოწყობას არ ვაპირებ. იმ პოზიციაზე ვითამაშებ, რომელზეც რაიკაარდი გამამწესებს.

**- ახლა დისკომფორტს გრძნობთ?**

- არა, რადგან პროფესიონალი ვარ და მსიამოვნებს გუნდს რომ ვეხმარები. მთავარია, სადაც ხარ იქ ივარგო. რაიკაარდი მიიჩნევს, რომ ფლანგზე უფრო საჭირო ვარ. ასე რომ, მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილების რევიზიას არ ვაპირებ. ჩვენ ქუჩის ფეხბურთელები არ ვართ, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ ვიმოქმედოთ. ეს დრო ბავშვობაში დარჩა. საკმარისი დრო გვქონდა იმისთვის, რომ ქუჩაში თამაშით ფეხბურთი გვესწავლა და ბავშვობა გაგველამაზებინა. ახლა ისე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც ცივსისხლიანმა პროფესიონალებმა.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- როგორც ჩანს, კარგად არ მიცნობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კითხვას არ დამისვამდით. მაშინაც კი, როცა "არსენალში" ვიყავი და ყველა ხოტბას მასხამდა, ჩემი თამაშით კმაყოფილება არასოდეს მიგრძვნია. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო. კმაყოფილებას ამიტომაც ვერ ვგრძნობდი.

**- ფლანგზე თამაში გოლების გატანაში მაინც რატომ გიშლით ხელს?**

- იმიტომ, რომ კარს საკმაოდ მოშორებული ვარ. მას შემდეგ, რაც "რეალთან" წავაგეთ, დავინახეთ, რომ დაცვას უფრო მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება. ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობა დავიწყეთ და კარგ შედეგსაც მივაღწიეთ. ახლა უფრო ცოტა ბურთს ვუშვებთ. დაცვითი ფუნქციების შესრულება ძალიან ხშირად მიწევს. რის გამოც შეტევისთვის ნაკლები დრო და ენერგია მრჩება. ცხოვრებამ ასეთი საჭიროება მოიტანა და ყველაფერს ვაკეთებ, რათა "ბარსელონას" მაქსიმალურად გამოვადგე.

**- როგორ ფიქრობთ, როდის დაკარგა "ბარსამ" სიტუაციაზე კონტროლი?**

- 2007 წლის 23 დეკემბერს. "რეალთან" რომ მოგვეგო, ახლა ჩვენს შორის მხოლოდ 2-ქულიანი სხვაობა იქნებოდა.

**- რონალდინიოს რა სჭირს?**

- ხომ არ აჯობებდა, ამ კითხვით უშუალოდ მისთვის მიგემართათ? საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. რონალდინიო გენიალური ფეხბურთელია. შესაძლოა, ახლა პრობლემები აწუხებდეს, მაგრამ ამის გამო ბრაზილიელი კი არ უნდა მოვიძულოთ, არამედ პირიქით, მხარში ამოვუდგეთ და დავეხმაროთ...

**ილია ნიკოლაიშვილი**



ტიერი ანრი

რეალი

# რაულისა და კასილიასის შემდეგ გუტის ჯერია

## სამეფო კლუბი ხოსე მარიასაც სამუდამო კონტრაქტს გაუფორმებს




ხოსე მარია გუტიერესი

გუშინწინ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ **რაულსა** და **იკერ კასილიასს** სამუდამო კონტრაქტები გაუფორმა. ხელშეკრულების თანახმად, სამეფო კლუბის ფორვარდი და გოლკიპერი "სანტიაგო ბერნაბეუზე" კარიერის დასრულებამდე ითამაშებენ. სავარაუდოდ, გონსალეს ბლანკო 34 წლის ასაკში ჩამოკიდებს ბუცებს. კასილიასი კი საყვარელ საქმეს იქამდე მოემსახურება, მანამ 36 წელი არ შეუსრულდება. მიმომხილველები აცხადებენ, რომ **რამონ კალდერონმა** ამ ნაბიჯით მადრიდიზმის ერთიანობასა და ღირებულებების ერთგულებას გაუსვა ხაზი. სამეფო კლუბის კულუარებიდან გამოსული ხმების თანახმად, კალდერონი კიდევ ერთ სუპერ კონტრაქტს ამზადებს. ამჯერად საქმე **გუტის** შეეხება. გადაწყვეტილი ყოფილა, რომ მეგობრების მსგავსად, ხოსე მარიასაც სამუდამო ხელშეკრულებას გაუფორმებენ. მოახლოებული ღირშესანიშნავი ფაქტის შესახებ კალდერონმა ჟურნალისტებს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა: "რაულმა და კასილიასმა თავიანთი შრომით, თავდადებითა და პროფესიონალიზმით დაიმსახურეს ასეთი დაფასება. მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით მათ ხოსე მარია გუტიერესიც არ ჩამოუვარდება. გუტის კარიერის განმავლობაში ძალიან რთული დღეები ჰქონდა. იყო დრო, როცა მას სრულიად უსამართლოდ ეპყრობოდნენ და ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდნენ. ამ ბიჭის ადგილზე ბევრი გატყდებოდა, მაგრამ მან ევროპული ფეხბურთის გრანდების შემოთავაზებების ცდუნებას გაუძლო და სამეფო კლუბს უდიდესი ერთგულება დაუმტკიცა. გუტიმ სხვაგან წასვლას აქ დარჩენა და რთული გზის გავლა ამჯობინა. მან ყველაფერს გაუძლო. ახლა ხოსე მარია პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. დირექტორატის წევრებთან ერთად ყველა დეტალი განვიხილე. დავასკვენით, რომ მას რაულისა და კასილიასის მსგავსად, სამუდამო კონტრაქტი უნდა გავუფორმოთ. ვიცი, რომ გუტი თანახმაა. ამ საქმეს მომავალ კვირაში მოვაგვარებთ. ჩვენს ვარსკვლავს პირობებსაც გავუუმჯობესებთ. დარწმუნებული გახლავართ, რომ ამ კონტრაქტით ორივე მხარე მოგებული დარჩება."

გუტი 31 წლისაა. ახლა მოქმედ ხელშეკრულებას 2010 წელს ეწურება ვადა. კონტრაქტი 2011 წლამდე გახანგრძლივდება. იმ შემთხვევაში, თუ 2010 წლიდან მოყოლებული ხოსე მარია სეზონში 30 ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, "რეალის" ხელმძღვანელობა მასთან თანამშრომლობას ყოველ ჯერზე ერთი წლით გააგრძელებს. ასე რომ, გუტის საშუალება აქვს "სანტიაგო ბერნაბეუზე" იქამდე დარჩეს, მანამ მუხლში ძალას არ დაკარგავს.

მადრიდული გრანდის ხელმძღვანელობა არა მარტო ფეხბურთელების, არამედ, მთავარი მწვრთნელის ბედზეც ზრუნავს. რამონ კალდერონის კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ, **პრედრაგ მიატოვიჩმა** ისაუბრა: "გადაწყვეტილია, რომ გუტის საკითხის მოგვარების შემდეგ ბერნდ შუსტერთან დავიწყებთ მოლაპარაკებას. სენიორ კალდერონის წინადადებით, დირექტორატი გერმანელ სპეციალისტთან ხელშეკრულების გახანგრძლივების შესაძლებლობის განხილვას შეუდგა. არასოდეს დაგვიმალავს რომ შუსტერის მუშაობით ძალიან კმაყოფილები გახლავართ. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ სენიორ ბერნდთან თანამშრომლობას კიდევ ორი წლით გავაგრძელებთ. მისი პოზიცია, რა თქმა უნდა, მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ჩვენს წინადადებას მოისმენს. თუ რამე არ მოეწონება, კონტრაქტის პროექტის პირობებს გადავხედავთ და შევეცდებით, ყველა მოთხოვნა გავითვალისწინოთ."

ამასობაში, **მაჰამადუ დიარას** ერთ-ერთმა მენეჯერმა ფედერიკო გუერამ "ტუტო სპორტს" ასეთი რამ განუცხადა: "იანვარში "ინტერის" მესვეურმა დამირეკა და დიარას "სან სიროზე" გადასვლა შემომთავაზა. მაშინ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ ტრანსფერის განხორციელებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, "ნერაძურის" მაჰამადუს გადაბირების სურვილი არ დაუკარგავს. ისინი მზად არიან, მადრიდელ კოლეგებთან ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყონ. თუ ჩემს კლიენტს საინტერესო წინადადებას შეთავაზებენ, ის თანახმა იქნება, კარიერა "ინტერში" გააგრძელოს."

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ანდრეი ვორონინთან

# ენფილდს საუკეთესო გულშემატკივრები ჰყავს

## ლივერპულისა და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელი მარია შარაპოვას ირჩევს



ანდრეი ვორონინი

"ლივერპულისა" და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელმა ანდრეი ვორონინმა ინტერვიუ მისცა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს, სადაც მან მრავალ საინტერესო თემაზე ისაუბრა. სეზონის დასაწყისში ფეხბურთელისგან ძალიან ბევრს ელოდნენ, თუმცა მის ანგარიშზე პრემიერლიგაში ჯერჯერობით მხოლოდ 4 გოლია. იქამდე ვიდრე მის ინტერვიუზე გადავიდოდეთ, მოკლედ შეგახსენებთ იმ გზას, რომელიც მან "ენფილდამდე" გაიარა: ფეხბურთელმა თამაში ოდესის "ჩერნომორეცის" ბავშვთა გუნდში დაიწყო, შემდეგ იყო გუნდი სახელად "ლაზურნოე მორე". 15 წლის ასაკში ის უკვე ლეგიონერი გახდა, ჩაირიცხა რა, მიონხენგლადბახის "ბორუსიის" იუნიორთა გუნდში, სადაც სეზონში 21 გოლის გატანა შეძლო. ამის წყალობით გერმანიის საუკეთესო იუნიორთა ათეულში მოხვდა. სხვათა შორის, იქ მან სებასტიან დაისლერთან დამეგობრება მოახერხა. მათ შორის საუკეთესო ურთიერთობები დღემდე გრძელდება. მისი ბუნდესლიგური დებიუტი 1997 წლის დეკემბერში, მიუნხენში შედგა "ბაიერნთან" მატჩში (3:2 მასპინძელთა სასარგებლოდ). ანდრეი ანჯეი იუსკოვიაკის ნაცვლად მოედანზე 52 წუთზე შემოვიდა და დამთხვევაა თუ რა, მაგრამ ფაქტია, რომ სტუმრებმა ორივე გოლი მისი გამოსვლის შემდეგ გაიტანეს. "გლადბახის" შემდეგ ის მეორებუნდესლიგურ "მაინცში" გადადის. გუნდში იურგენ კლოპის მოსვლის შემდეგ იწყება კიდეც მისი, როგორც ფეხბურთელის, აღმავლობა. პირველ სეზონში მან 33 თამაშში 8 გოლი გაიტანა, მეორეში კი უკვე 31-ში 20. ორივე ამ სეზონში მის გუნდს ერთი ნაბიჯი აკლდებოდა ელიტაში აღზევებისგან. ფეხბურთელის თამაშმა მრავალი კლუბის ყურადღება მიიპყრო: "ბოლონია", "პარმა", "შტუტგარტი", "ჰამბურგი", "კიოლნი", "მიუნხენ 1860". საბოლოოდ მან თავი "კიოლნში" ამოყო. ამ დროსვე ინვევენ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში, სადაც ის იუნიორთა ნაკრებების შემდეგ არავის გახსენებია. "კიოლნთან" ერთად ის ბევრს წვალობს და ბოლოს მაინც ვერ ახერხებს მის გადარჩენას, მით უფრო, იმის გამოისობით, რომ კონტრაქტის თანახმად, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების შემდეგ ის თავისუფალი აგენტი ხდებოდა და ამიტომ ანდრეიმ შუა სეზონშივე სცადა გუნდის მოძებნა, რის გამოც ხელმძღვანელობამ ის დასაჯა და ღრმა თადარიგში დასვა. შემდეგ სეზონში, ის "ლევერკუზენში" გადადის. ვორონინი და ბერბატოვი ბრწყინვალე დუეტს ქმნიან. სეზონში ისინი 35 გოლის გატანას ახერხებენ. ერთი სიტყვით, ფეხბურთელი პიკს აღწევს ბუნდესლიგაში და ამის შემდეგ უკვე მისი ინგლისური თავგადასავლები იწყება.

**- 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უკრაინას ხორვატიასა და ინგლისთან მოუწევს შებმა. რამდენად რთული იქნება მათთან მატჩები?**

- ძალიან რთული იქნება. ორივე ეს ნაკრები ძალიან ძლიერია და ამას დავუმატოთ ბელორუსის, ყაზახეთისა და ანდორის ნაკრებები. თქვენი გუნდი კაპელოს ხელმძღვანელობით ყველასთვის შეეცდება საკუთარი ამბიციების დამტკიცებას, ხორვატებს კიდევ უბრალოდ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავთ, რაც უკანასკნელ შესარჩევშიც დაამტკიცეს. ამის მიუხედავად, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჯგუფიდან გავიდეთ. ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლას შეჩვეულები ვართ. ხომ გახსოვთ, ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენ იტალიასთან, საფრანგეთთან, შოტლანდიასთან მოვხვდით და თავი არ შეგვირცხვენია. ძლიერ გუნდებთან თამაში კარგი გამოწვევაა. მით უფრო დიდი მოტივაციაა "უემბლიზე" ასპარეზობა.

**- ის გოლი, რომელიც "ტულუზს" გაუტანეთ, თქვენს კარიერაში საუკეთესო იყო?**

- "ლივერპულის" მაისურით გატანილი კი, მაგრამ "ალიანს არენაზე" "ბაიერნს" უფრო ლამაზი გოლი გავუტანე. მარცხენა ფეხით, ძალიან მახვილი კუთხიდან დავურტყი კანს, ბურთი მოხვდა ხარიხასა და ძელს, და ისე გავიდა. სამწუხაროდ, მაშინ თამაში 2:1 წავაგეთ.

**- ყველაზე სერიოზული ტრავმა რა მიგიღიათ?**

- 1998-ში, როცა "ბორუსიაში" ვთამაშობდი, ჯვარედინი იოგები დავიზიანე და 5 თვე უფეხბურთოდ ვცხოვრობდი. მას მერე 9 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ დღემდე მახსოვს ის ტკივილი.

**- ყოველთვის ოცნებობდით ფეხბურთელობაზე?**

- დიახ, ყოველთვის. ბავშვობიდან სხვა პროფესიაზე არც კი მიფიქრია. ფეხბურთის თამაში მამამ მაშინ მასწავლა, როცა ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი, 15 წლისა უკვე გერმანიაში გადავედი საცხოვრებლად და ფეხბურთის სათამაშოდ. მშობლებს ჩემი ყოველთვის სჯეროდათ, ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ბავშვს მომცეს იმის უფლება, რომ ამხელა გზას დავდგომოდი. ასეთ ასაკში მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ხომ უაღრესად რთულია. ვინ იცის, რა იქნებოდა სამშობლოში რომ დავრჩენილიყავი. შეიძლება სხვა საქმისთვისაც მომეკიდა ხელი. თუმცა ახლა ყველაფერი კარგადაა და მე აქ ვარ, "ენფილდზე".

**- რომელი სტადიონი მოგეჩვენათ ყველაზე ხმაურიანად?**

- ვიცი, რომ ამ კითხვაზე ბევრი ანალოგიურად პასუხობს, მაგრამ მაინც "ენფილდი". განსაკუთრებით ევროთასების თამაშებისას. უკრაინის ნაკრების თამაშებზე 85-90 ათასი ადამიანიც მინახავს, მაგრამ აქაურ გულშემატკივრებს ვერავინ შეედრება.

**- თვალს თუ ადევნებთ "ლევერკუზენის" თამაშებს?**

- მუდამ ვცდილობ, რომ ჩემი ყოფილი გუნდების თამაშებს ვუყურო ხოლმე. "ლევერკუზენმა" სეზონი კარგად დაიწყო და თუ ცოტა უკეთ განაგრძობს, კარგი შანსი ექნება ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად. ბუნდესლიგის მესამე საგზურისთვის იბრძოლებენ ისინი, "შალკე", "ჰამბურგი", "კარლსრუე" და "ჰანოვერი". ძალიან მომწონდა ამ გუნდში ასპარეზობა. ლევერკუზენში დღემდე დამრჩა უამრავი მეგობარი. ისინი მირეკავენ ხოლმე და მეუბნებიან, რომ მათ ძალიან ვაკლივარ, თუმცა შედეგებიდან გამომდინარე, ამას ვერ ვიტყვი.

**- თქვენ ისე არ იცვამთ, როგორც თქვენი თანაგუნდელები. რატომ?**

- ამაზე არც არასოდეს მიფიქრია. ალბათ, იმიტომ, რომ როცა ადამიანი აღმოსავლეთი ევროპიდან ხარ, ყოველთვის იქნები რაღაცით სხვანაირი. ყველას რომ ერთნაირად ეცვას, ცხოვრება ძალიან მოსაწყენი გახდებოდა. მეჩვენება, რომ აქ ყველა თავისებურად იცვამს და არ მგონია, ამით სხვებისგან ძალიან გამოვირჩეოდე. ჯინსები ჯერ კიდევ იმ დროიდან მიყვარს, როცა ბავშვობაში მათ ძლივს ვშოულობდი ხოლმე.

**- არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელ როკკონცერტზე წახვიდოდით?**

- სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებ კონცერტებზე სიარულს, მაგრამ ასე თუ მიდგება საქმე, ელვის პრესლის კონცერტს ავირჩევდი. ის მართლა მეფე იყო. მშობლები მას ყოველდღე უსმენდნენ ხოლმე და მეც მის მუსიკაზე გავიზარდე. ჩემი აზრით, ამით შესანიშნავი განათლება მივიღე.

**- სპორტის სხვა რომელი სახეობა გიზიდავთ? ოლიმპიადას თუ ადევნებთ ხოლმე თვალს?**

- ოლიმპიადებს ყოველთვის ვუყურებ ხოლმე. განსაკუთრებით რუს და უკრაინელ სპორტსმენებს ვგულშემატკივრობ. ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ჩოგბურთს მივანიჭებდი უპირატესობას, ხოლო ზამთარში, ალბათ, თხილამურებს.

**- ანა კურნიკოვა თუ მარია შარაპოვა?**

- ერთმნიშვნელოვნად შარაპოვა. ჩოგბურთის დიდი ტრფიალი არ ვარ, მაგრამ დიდი სლემის ტურნირებს ვუყურებ ხოლმე. შარაპოვა ბევრად უფრო ნიჭიერია, ვიდრე კურნიკოვა იყო თავის დროზე.

**- "ლივერპულის" რომელ ფეხბურთელს დაასახელებდით საუკეთესო ხუმარებად?**

- კამპანია კარგია, როცა იქ მხიარულება სუფევს. მე თავად არ ვარ ასეთი ტიპის ადამიანი, ამისთვის ძალიან მორიდებული ვარ. ამ სიაში კი, პირველ რიგში, კრაუჩს დავასახელებდი, შემდეგ ჯერმეინ პენანტი, ჰარი კიუელი და პეპე რეინა.

**- ცოტა ხნის წინათ თქვენ შვილი გეყოლათ. ძილში ძალიან ხომ არ გიშლით ხელს?**

- პატარის დაბადება - ეს რაღაც განსაკუთრებულად დადებითი მოვლენაა ცხოვრებაში. პატარა ანდრეისთან დროს ძირითადად ჩემი მეუღლე ატარებს ხოლმე. ის ძალიან მიწყობს ხელს იმაში, რომ ძილში ხელი არ შემეშალოს. ასე რომ, ამ მხრივ გამიმართლა.

**- უკრაინაში ძალიან ცივა ხოლმე?**

- მგონი ამ ზამთარს -13 გრადუსზე დაბლა ტემპერატურა არ დაშვებულა. ეს არაა დიდი ყინვა. აი, ციმბირში კი -55-მდე დაეცა. ასეთ პირობებში ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. არ ვარ ის ადამიანი ვინც ამას აიტანდა. მარტის ბოლომდე ასეთ პირობებში ხომ ვერავინ ივარჯიშებს. თუმცა მოსაწყენად ხანდახან ლივერპულშიც არ მცალია ხოლმე. ხანდახან აქაც დიდი სიცივეები იცის.

არსენალი. ტრანსფერები

# ფაბრეგასი 2016 წლამდე

## ტურამი მოთამაშედ, მწვრთნელად და გურკუფიც ემირიტსზე...



ფრანსესკ ფაბრეგასი

**ფრანსესკ ფაბრეგასი** "არსენალთან" კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. ამ ინფორმაციას "სანი" ავრცელებს. ესპანელი ნახევარმცველის დღევანდელი ხელშეკრულება 2014 წელს იწურება. "მეთოფეებს" სურთ, ის კიდევ ორი წლით გახანგრძლივდეს. შეთანხმების შემთხვევაში, ფეხბურთელის კვირეული ხელფასი 120 ათას ევრომდე გაიზრდება. სწორედ ამდენს უხდიან "არსენალის" კაპიტან **ვილიამ გალასს**. ლონდონურ გრანდს სურს, ერთხელ და საბოლოოდ წერტილი დაუსვას სპეკულაციების ფაბრეგასის "ბარსელონაში" მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით.

გუშინდელ "ტელეგრაფში" საინტერესო ინფორმაცია ამოვიკითხეთ. "არსენალი" **ლილიან ტურამის** მიწვევას აპირებს. არსენ ვენგერმა გადაწყვიტა, "მონაკოში" თავისი ყოფილი შეგირდი მოთამაშე-მწვრთნელად აიყვანოსო. ტურამს ბარსელონური კონტრაქტი ივნისში ეწურება. საეჭვოა, კატალონიელებმა მას თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზონ.

და კიდევ ერთი ინფორმაცია „არსენალის" ბანაკიდან. "მეთოფეები" "მილანს" დაუკავშირდნენ. მოსიე ვენგერმა კიდევ ერთი თანამემამულის გადაბირება მოინადინა. საუბარია ახალგაზრდა ფრანგ ნახევარმცველ **იოან გურკუფზე**. "ტუტოსპორტის" ცნობით, ფეხბურთელმა მილანის ხელმძღვანელობას აცნობა, რომ სეზონის ბოლოს ახალი სამსახურის მოძებნა უნდა. მას საფრანგეთში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. გურკუფით "ლიონია" დაინტერესებული, მაგრამ არსენალის გააქტიურების შემთხვევაში, "ლიონის" შანსები შემცირდება. იგივე "ტუტოსპორტი" გვაუწყებს, რომ "არსენალი" "როსონერის" ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

## ნვანკვო კანუ ნიგერიის ნაკრების მწვრთნელად?

"თაიმსის" ცნობით, "პორტსმუთის" თავდამსხმელი **ნვანკვო კანუ**, შეიძლება, ნიგერიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნონ. 31 წლის ფეხბურთელს ინგლისური კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მასთან დაკავშირება. ნიგერიელები **ბერტი ფოგტსის** დათხოვნას აპირებენ. გუნდმა აფრიკის ერთა თასზე უსუსურად იასპარეზა. ამის გამო პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, გერმანელ სპეციალისტს ეკისრება. კანუს კონტრაქტთან დაკავშირებით გეტყვით, რომ თუ ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში 20 მატჩს ჩაატარებს, "პორტსმუთი" მასთან თანამშრომლობას ავტომატურად ერთი წლით გააგრძელებს. დღეისთვის ნვანკვოს ანგარიშზეა 18 შეხვედრა. იანვრის ტრანსფერებისას კანუს პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. "პორტსმუთმა" კონტრაქტები გაუფორმა **ჯერმეინ დეფოსა და მილან ბაროშს**, რამაც ნიგერიელი ნომინალურ სათადარიგო ფეხბურთელად გადააქცია. ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ინტენსიურად განიხილება დორტმუნდის "ბორუსიისა" და "იუვენტუსის" ყოფილი ვარსკვლავის, **სანდი ოლისეს** კანდიდატურაც.

## ტუნისმა ლემერი დაითხოვა

**როჟე ლემერი** უმუშევარი დარჩა. ტუნისის ფეხბურთის ფედერაციამ მას კარისკენ მიუთითა. ტუნისელები განაში, აფრიკის ერთა თასზე დიდი ამბიციებით ჩავიდნენ, მაგრამ ტურნირს მეოთხედფინალში გამოეთიშნენ. მათ კამერუნთან 2:3 წააგეს. ტუნისურმა სპორტულმა მედიამ ფრანგი მწვრთნელის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბევრი მიმომხილველი ლემერის დათხოვნას ჟურნალისტების ზეწოლას უკავშირებს. 66 წლის მოსიე როჟე საფრანგეთის ნაკრების ყოფილი დამრიგებელია. მან ფრანგებს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. ის ტუნისში 2002 წლიდან მოღვაწეობდა. მან 2004 წლის აფრიკის ერთა თასი დაისაკუთრა. ტუნისელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ივნისში დაიწყებენ. ფედერაცია ახალ მწვრთნელს ზაფხულის დადგომამდე მონახავს.

# ჰერბერტის ფორმულა: 90 ქულაზე მეტს თუ ჩააგდებინებ, აუცილებლად წააგებ!

**ვლადიმერ ბოისას** "არისმა" ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველივე მატჩში გასცა პასუხი კითხვას - გავა თუ არა ფინალურ ოთხეულში. სამწუხაროდ, პასუხი უარყოფითი იყო. "არისმა" შინ თურქულ "ულქერფენერბაჰჩესთან" 88:96 დათმო.

ოთხგუნდიანი ჯგუფიდან ევროლიგის ნახევარფინალში მხოლოდ პირველადგილოსანი გადის და "ულქერთან" საშინაო მარცხის შემდეგ ძნელი სავარაუდოა, "არისმა" სტუმრად "ლიეტუვოს რიტასი" ან ესპანური "ტაუ" დაამარცხოს. თუმცა, ეს ტრაგედია ნამდვილად არ იქნება, რადგან **გორდონ ჰერბერტისა** და ვოვა ბოისას გუნდისთვის ტოპ-16-ში მოხვედრაც წარმატებაა.

ახლა "ულქერთან" მატჩსაც შევეხოთ. საწყის 15 წუთში ბერძნებს თამაშის დალაგება გაუჭირდათ და მეტოქეს ანგარიშით 29:37 ჩამორჩნენ. ჟურნალისტ ხრისტოს ლაზარიუს თუ დავუჯერებთ, მოედანზე ვლადიმერ ბოისას შესვლის შემდეგ "არისმა" თამაში გამოასწორა და სწორედ ქართველის სამქულიანის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი მასპინძელთა 10:2 სპურტს - 39:39.

ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაჩაღდა. მატჩის დასრულებას 4 წუთი უკლდა, როცა ტაბლოზე სამი ერთნაირი ციფრი ციმციმებდა - 77:77. დარჩენილ დროში **ვილი სოლომონის** აქტიურობის შედეგად "ულქერმა" გარდატეხა შეიტანა და პირველი მატჩი 96:88 მოიგო.

მატჩის სნაიპერი სწორედ სოლომონი გახდა. მან 23 ქულა ჩააგდო. ვლადიმერ ბოისამ მასზე 20-ით ნაკლები - 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველს შეიძლება 21 წუთზე მეტიც ეთამაშა, 5 პერსონალური შენიშვნა ნაადრევად რომ არ მიეღო.

"არისის" კანადელმა მწვრთნელმა გორდონ ჰერბერტმა შეგირდთა გარჯა ასე შეაფასა: *"ჩვენი თამაშით გაწბილებული ვარ. მატჩს ვერასოდეს ვერ მოიგებ, როცა მეტოქეს 90 ქულაზე მეტს ჩააგდებინებ. დაცვაში უსუსურად გამოვიყურებოდით. ძალიან ძნელია ტოპ-16-ის საწყის მატჩში წაგება, მაგრამ ვეცდებით, მომდევნო შეხვედრას სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ და დანაკლისი ავინაზღაუროთ."*

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

**არისი (საბერძ.)–ულქერი (თურქ.) 88:96**
**რიტასი (ლიტვა)–ტაუ (ესპანეთი) 81:84**

| E ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ულქერი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. ტაუ | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. რიტასი | 1 | 0 | 1 | 1 |
| 4. არისი | 1 | 0 | 1 | 1 |



ვლადიმერ ბოისა



ნუგზარ ქეიშვილი



დავით უსტიაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. XVII ტური

# თსუ–ენერჯი: ბრძოლა გრძელდება

**კვირას, 17 თებერვალს, საქართველოს პირველობის მე-17 ტურის მატჩები გაიმართება. სამივე შეხვედრა საინტერესო უნდა გამოდგეს, მაგრამ თსუ-"ენერჯის" დაპირისპირება სხვებისგან მაინც გამორჩეულია: წელს სტუდენტები რუსთაველებს ორჯერ შეხვდნენ და ორჯერვე უკანასკნელ წამებზე დაამარცხეს. პირველად საქართველოს თასის გათამაშებაში, მეორედ - მე-11 ტურში.**

**გუშინ, კლუბ "12 მაგიდაში" სწორედ თსუ-სა და "ენერჯის" წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**

**პრესკონფერენცია სტუმართა მწვრთნელმა, დავით უსტიაშვილმა გახსნა:** - პირველ რიგში, გამთამაშებელ ლაშა გამყრელიძეზე მოგახსენებთ. მან ტრავმა უკვე მოიშუშა და ვარჯიშიც განაახლა. თუმცა, ლაშას მოედანზე გაყვანას არ ვჩქარობთ. მთავარია, პლეიოფისთვის იყოს სათანადო ფორმაში. გამყრელიძე თსუ-სთან მატჩში ვერ დაგვეხმარება. გარდა ამისა, სათუოა ჟულიველტ ტუჯანისა და მიხეილ ჩიტიშვილის თამაშის საკითხი, რადგან ისინი გაციებულები არიან და წინასწარ ძნელი სათქმელია, კვირისთვის როგორ მდგომარეობაში იქნებიან.

**უსტიაშვილი მე-16 ტურში "ვითასთან" მარცხსაც შეეხო:** - გასულ ორშაბათს "ვითამ" ჩვენს წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა. სტუმრებმა პირველ ტაიმში სამქულიანების 50 პროცენტი გამოიყენეს. ჩვენ კი ბევრი ტყორცნა აგვიცდა. ჩვენს თამაშზე შეიძლება იმანაც იქონია ფსიქოლოგიური გავლენა, რომ მეტოქის რიგებში არ თამაშობდნენ ლიდერები დავით ბერძენიშვილი და გიორგი მარკოიშვილი. თუმცა, წაგების მიზეზები, პირველ რიგში, ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ.

**"ენერჯის" მსროლელ ბესიკ ლეჟავას მისსავე თამაშზე ვკითხეთ. ზოგიერთ მატჩში იგი თითქმის ყველა ტყორცნას იყენებს, ზოგჯერ კი ბევრი ვერაფერი გამოსდის:** - სპორტში ხშირია ალმავლობა-ჩავარდნები. ხან გამოგივა თამაში, ხან არა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იანვრის შემდეგ ჩავარდნები გახშირდა, ქორქია-საკანდელიძის მემორიალიც წავაგეთ და საქართველოს თასიც. მაგრამ მთავარი თასი წინაა - საქართველოს ჩემპიონობის დათმობას არ ვაპირებთ და ვცდილობთ, პლეიოფს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდეთ.

**თსუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა საუბარი ახალი სპონსორით დაიწყო:** - პრესკონფერენციის დაწყების წინ დამირეკეს და მითხრეს, რომ ახალ სპონსორთან, "სახალხო ბანკთან" ყველა საბუთი შეთანხმებულია. წინასწარ შემიძლია ვივარაუდო, რომ სულ მალე "თსუ-სახალხო ბანკს" დავირქმევთ. ბანკმა უკვე გამოყო თავისი წარმომადგენელი, რომელიც ჩვენს ყოველ მატჩს ესწრება. ეს გახლავთ თსუ-ს ყოფილი კაპიტანი გოჩა არსიაშვილი. ახლა კვირის მატჩზე. "ენერჯისთან" ბოლო ორი მატჩი ფორტუნამ მოგვაგებინა. მესამედ ჩვენც უნდა გავანძრიოთ ხელი და საქმე ბოლო წამებამდე არ მივიყვანოთ. თუმცაღა, ჩვენი მთავარი მიზანი საუკეთესო ოთხეულში შესვლაა.

**თსუ-ს მწვრთნელმა ახალწვეული დავით ბარბაქაძე ორი სიტყვით დაახასიათა - რიჩარდ მათიაშვილის წასვლის შემდეგ დათომ მისი ადგილი კარგად შეავსო. იგი უნივერსალია და რომელ პოზიციაზეც დაგვჭირდება, იქ ვათამაშებთო.**

**პრესკონფერენციის ბოლოს თსუ-ს მეფარემ დავით ბარბაქაძემ ისაუბრა:** - "ენერჯის" ორჯერვე ჩემი ბოლო ტყორცნების წყალობით მოვუგეთ, მაგრამ წარმატება არა ჩემმა სროლებმა, არამედ გუნდურმა თამაშმა და მონდომებამ მოგვიტანა. რუსთაველები გაბრაზებულები არიან და რევანშის აღებას შეეცდებიან. აქედან გამომდინარე, წინასწარ ვიცი, რომ კვირას რთული მატჩი გვექნება. ვინც დაიმსახურებს, ის გაიმარჯვებს. მე კი ორივე გუნდს წარმატებას ვუსურვებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი

# ბოლო ტურის პასიანსი

დღეს თექვსმეტწლამდელები ბოლოჯერ მიუსხდებიან დაფებს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მთავარი, ცხადია, პირველ-მეორე ადგილოსნის გარკვევაა, რომლებიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში თამაშის უფლებას მიიღებენ; მესამე ადგილიც თავისებური მოტივაციაა, თუმცა მცირე, მხოლოდ მედლითა და დიპლომით უნდა შემოიფარგლო.

როგორც წესი, ასეთ ტურნირებში ბოლოსწინა ტური უმთავრეს კითხვაზე პასუხს იძლევა. ცხადია, სხვაგვარადაც ხდება და უკანასკნელ წუთამდე ხშირად ვერაფერს გაარკვევ კაცი, მაგრამ ასეთი სიმჭიდროვე, იშვიათობაა: ჩვენი ყურადღების ქვეშ მყოფი ჩემპიონატი კი სწორედაც რომ ამ იშვიათთა რიგებში ჩაეწერება. გუშინდელმა პარტიებმა გარკვეული სიცხადე კი შეიტანა, მაგრამ არც გოგონებში და არც ვაჟებში ერთპიროვნულ ლიდერებსაც კი არაფერი აქვთ გარანტირებული. თუ რატომ, ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ, ხოლო მანამდე მერვე ტურის მნიშვნელოვან შეხვედრებზე მოგახსენებთ.

გოგონებით დავიწყოთ. პირველ დაფაზე **ფატი რიჟამაძე**, რომელსაც 5 ქულა ჰქონდა, 5.5 ქულიან **მერი არაბიძეს** ხვდებოდა. თეთრებით რიჟამაძე იყო, მაგრამ არაბიძე მეტად გამოცდილია, ტიტულებიც უხვად აქვს და რახან ტურნირის მეორე ნაწილი ფავორიტის დარად წარმართა, ფინიშის ხაზის გადაკვეთა უთუოდ პირველს მოესურვებოდა. ამისთვის კი მოგება იყო საჭირო, რაც აქტიურ თამაშს მოითხოვდა. არაბიძემ კვლავაც შეძლო საკუთარი სცენარით წარემართა ბრძოლა და ალბათ გადამწყვეტი პარტიაც მოიგო. თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარანტირებული პირველი ადგილი მას არც ყაიმის შემთხვევაში არ აქვს - დაბალი კოეფიციენტი ბოლო ტურში მხოლოდ მოგებას ავალდებულებს. მოგებისთვის კი თანაქალაქელ **მარიამ თევზაძის** დამარცხება სჭირდება.

მარიამმა გუშინ თეთრებით ვერ აჯობა **ირმა გელდიაშვილს**, რითაც ჩემპიონობის შანსს გამოეთხოვა, მაგრამ საპრიზოზე გასვლა ჯერაც შეუძლია. ამისთვის მასაც მოგება სჭირდება, - 5.5 ქულა აქვს და არაბიძეს ხომ გადაასწრებს, წინ მყოფ ორ ექვსქულიანსაც გაუთანაბრდება სავარაუდოდ. მისი კოეფიციენტი არაბიძისას სჯობს, მაგრამ ჩამოუვარდება ექვსქულიან ჯალაბაძეს და **ნინო ანაკიძეს**. ესენი, თავის მხრივ, 4.5 ქულიან მეტოქეებს ხვდებიან და მართალია შავებით ითამაშებენ, ალბათ გამარჯვების დიდი შანსი ექნებათ... გამოდის, რომ ხვალ მთელი ყურადღება პირველ სამ დაფაზე იქნება გოგონებში მიპყრობილი, სადაც ექვსივე მოჭადრაკეს თავისი ამოცანები ექნება გადასაწყვეტი. ამიტომ თქვენი ნებართვით ამ დაფებზე მსხდომ წყვილებს შემოგთავაზებთ: **მერი არაბიძე (6.5)-მარიამ თევზაძე (5.5); ლელა უგულავა (4.5)-ნათია ჯალაბაძე (6); ირმა გელდიაშვილი (4.5)-ნინო ანაკიძე (6).**



ლევან ბრეგაძე

კიდევ უფრო დაძაბული ვითარებაა ვაჟთა შორის. აქ პირველ ოთხ დაფაზე მსხდომები იბრძვიან მედლებისთვის და ისეა ჩახლართული ვითარება, მის წვრილად ახსნას არც დრო და ნერვები ეყოფა... მთავარი, მაინც ის არის, რომ **ლევან ბრეგაძემ** გუშინ შავებით დაამარცხა **ნოდარ დავარაშვილი** და ნახევარი ქულით გაუსწრო უახლოეს მდევრებს. არადა, ლევანს აშკარად გაუღიმა ბედმა - უარესი პოზიცია ჰქონდა და დავარაშვილს ობიექტურად უნდა მოეგო, მაგრამ ნოდარმა ნერვები ვერ მოთოკა, უხეში შეცდომა დაუშვა და ინიციატივაც დაკარგა და პარტიის სადავეებიც. ბრეგაძემ შანსი გამოიყენა და მოიგო. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ლევანი არ არის საუკეთესო ფორმაში, მაგრამ კლასის ხარჯზე ფონს მაინც გადის.

კლასის დეფიციტი კი სხვა პარტიებში გამოჩნდა და არ შეიძლება მეორე დაფაზე მიმდინარე პერიპეტიები არ მოვიხილოთ. თეთრებით **ირაკლი ჯანიაშვილი** 12 წლის **ირაკლი ბერაძეს** ხვდებოდა. ჯანიაშვილი კარგ ფორმაში შეხვდა ტურნირს, ხუთიდან ხუთი ქულა ჰქონდა, შემდეგ დავარაშვილთან წააგო, მაგრამ მომდევნო ტურებში ფავორიტის სტატუსი აღიდგინა. ბერაძე კი, მრავალჯერ გვითქვამს, უნიჭიერესი ბავშვია და ქართული ჭადრაკის მომავალ იმედად არის შერაცხული. ასაკის გამო ჯერ დიდოსტატობამდე ბევრი უკლია, მაგრამ უკვე გაეჩვია უფროსი ასაკის ტურნირებში ქულების მოხვეჭას და დასტურად თექვსმეტწლიანებში ბოლო ტურის წინ მეორე დაფაზე მოხვდა. შავი ფერის მიუხედავად, ბერაძემ შეძლო კონტრიერიშის ორგანიზება და მართალია პაიკი აკლდა, მაგრამ შუა თამაშში ორმხრივი შანსები იყო და გარკვეული მანევრების შემდეგ ბერაძის პოზიცია უფრო პერსპექტიული ჩანდა. ეს ეტაპი პატარა პრეტენდენტმა კარგად წარმართა და თეთრები დაცვაზე გადაერთვნენ, მაგრამ ცაიტნოტი წამოეპარა და ალმის ჩამოვარდნამდე სამიოდ წამი რომ რჩებოდა, სიჩქარეში არასწორი სვლა გააკეთა. ამან სულ დაუნგრია ნაშენები და თავად მოუხდა ყრუ დაცვაში ჩადგომა. უკვე ორი პაიკით ჩამორჩა და მეტოქის ერთი, C პაიკი, ეტლის და მხედრის მხარდაჭერით მერვე ჰორიზონტისკენ გაემართა. თითქოს გადარჩენის არავითარი შანსი არ არსებობდა, მაგრამ ჯანიაშვილმა გასაოცრად მცდარი გეგმა აირჩია, რის გამოც მხედრის დათმობა მოუწია. მართალია პაიკები სულ აღარ შერჩენოდა მეტოქეს, მაგრამ მოსაგებად ძალები ალბათ არასაკმარისი იყო. ჯანიაშვილის იმედი სამ გამსვლელ პაიკზე ეკიდა, რომელსაც მეტოქის ეტლი და მხედარი გაასმაგებული ყურადღებით დარაჯობდა. საბოლოოდ ეს საქმე კარგად კი გამოუვიდათ, მაგრამ ერთი დრო ბერაძეც შეცდა და საყაიმო გზა ვერ დაინახა; მისდა ბედად, ვერც ჯანიაშვილმა მოახერხა შანსის გამოყენება და კვლავ საყაიმო პოზიცია დადგა. ამ დროს უკვე ორივე მხარე იყო მწვავე ცაიტნოტში და ერთმანეთის შეცდომასღა თუ ჩაუსაფრდებოდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ კვლავ ჯანიაშვილი შეცდა და ის სამი პაიკიც დაკარგა და სრულიად შესაძლებელი იყო წაეგო კიდეც!

გაკვირვებით იკითხავთ - როგორო? გიპასუხებთ, რომ ეტლითა და მხედრით ეტლის ამარა დარჩენილი მეფის დამათება შესაძლებელია, თუკი მეტოქემ შეცდომა დაუშვა. თეორიულად კი შამათი არ კეთდება. ირაკლი ჯანიაშვილი აშკარად "აჭრილი" იყო და სულაც აღარ ჩანდა უტოპიად მისი ერთი უხეში შეცდომაც, თუმცა საბოლოოდ ყაიმი გაფორმდა, რადგანაც ჭადრაკის ერთი წესის თანახმად, როცა 50 სვლაში შამათს ვერ ჩასვამ, ყაიმი ფიქსირდება. ჯანიაშვილმაც მოითხოვა ყაიმი და ტურნირის მთავარმა მსაჯმა მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ცხადია, ეს პარტია ყველაზე ხანგრძლივი იყო და ლამის ხუთი საათი გაგრძელდა. ჯანიაშვილს ოსტატობა არ ეყო, ბერაძეს კი - მოთმინება და შემართება უნდა შევუქო.

დღევანდელი ტურის შემდეგ კი როგორ დალაგდება ცხრილი, ნამდვილად ვერ ვიწინასწარმეტყველებთ. ამისთვის ეგებ მჩხიბავის მიერ პასიანსის გაშლა მოგვეხმაროს, მაგრამ ახლა არც მაგის დრო და ხალისი მაქვს და, სიმართლე გითხრათ, ძალიანაც არ მჯერა ეგეთი რამეების...

ყველაფერი თავად ტურნირს და მეცხრე ტურს მივანდოთ.

მნიშვნელოვანი პარტიები: **ლევან ბრეგაძე (6.5)-ზურაბ ჯავახაძე (6); ირაკლი ბერაძე (6)-ნოდარ დავარაშვილი (6); ირაკლი ჯანიაშვილი (6)-კახაბერ წერეთელი (5.5); ალექსანდრე მერაბიშვილი (5)-თორნიკე გაბუნია (6).**

**ზვიად შათირიშვილი**

# აეროფლოტის შევაღეთ

ერთი კვირის წინ, მოსკოვის ღია საჭადრაკო ფესტივალი - "მოსკვა-ოუფენი" დასრულდა, სადაც ქართველმა **ბაადურ ჯობავამ** წარმატებით იასპარეზა და ცხრიდან 7 ქულით 2-10 ადგილები გაიყო, კოეფიციენტით კი მეექვსე ადგილზე გავიდა. არც ქართველ ქალებს უთამაშიათ ცუდად - **სალომე მელიამ** მერვე ადგილზე დაასრულა ტურნირი.

ორიოდ დღის წინ კი კიდევ ერთმა დიდმა საჭადრაკო ფესტივალმა აიღო სტარტი რუსთა დედაქალაქში - "აეროფლოტ-ოუფენი". ეს ტურნირი მეექვსე წელია, რაც იმართება და აქამდე ყველაზე დიდ ღია ტურნირად ითვლებოდა მსოფლიოში. წინაპირობა ისეთი გახლდათ, რომ წლევანდელი ტურნირიც შეინარჩუნებდა პირველის სტატუსს, მაგრამ ასე ნამდვილად აღარ არის. საქმე ის არის, რომ "მოსკვა-ოუფენი" წელს არნახულად გაძლიერდა - სერიოზული საპრიზო ფონდი დააწესეს და ამით მაღალი კლასის დიდოსტატები მიიზიდეს. მართალია, არა იმ დონისა და იმ რაოდენობით, როგორც "აეროფლოტზე" იკრიბებოდა, მაგრამ ბევრითაც არ ჩამორჩებოდნენ. ახლა კი, მონაწილეთა სიის გადახედვაც საკმარისია, რომ ალმოაჩინო - "აეროფლოტზე" შეუდარებლად სუსტი შემადგენლობაა, თვით "მოსკოვა-ოუფენსაც" კი ჩამორჩება და ეს იმის მიუხედავად, რომ საპრიზო ფონდით კვლავ "აეროფლოტი" ლიდერობს - 50 ათასი დოლარით მეტი აქვს, ვიდრე მოსკოვის ღია ტურნირს; პირველ ჯგუფში, ანუ უძლიერეს - A1-ში გამარჯვებული 30 000 დოლარს მიიღებს. მოსკოვის ტურნირზე გამარჯვებულის თანხა დაახლოებით 22 ათასი დოლარის ტოლი იყო.

რამ განაპირობა ექსტრაკლასის დიდოსტატთა უარი, უცნობია, მაგრამ როგორც ქართველ მოჭადრაკეთაგან გვსმენია, სათამაშო და საცხოვრებელი პირობები მაღალი დონის არ არის; ყველა ხარჯს - გზა, სასტუმრო, კვება, მონაწილე იღებს და თუკი პირველ ათეულში ვერ მოხვდი, საპრიზოთი ხარჯის დაფარვასაც ვერ ახერხებ. არადა, პირველ ათეულში შეღწევა ურთულესი საქმეა - ამბიციურ დიდოსტატთა და ამ წოდებისთვის მებრძოლთა მთელი არმია იბრძვის მაღალი ადგილებისთვის. ალბათ ორგანიზატორებს მრავალ საკითხზე გადახედვა მოუწევთ, რომ მომდევნო წლებში უარესი სურათი არ მიიღონ; პირველ რიგში საპრიზო თანხის უფრო თანაბრად გადანაწილება იქნება უპრიანი: თქვენ წარმოიდგინეთ, თუკი პირველადგილოსანი 30 000 დოლარს იღებს, მეორეზე მხოლოდ 17 ათასია განკუთვნილი. კიდევ უფრო იკლებს და 12 ათასამდე ჩამოდის მესამე ადგილზე გასულის ჰონორარი. შემდეგში კიდევ უფრო მეტი აკლდება და ისე ჩანს, უკვე ათეულში მოხვედრაც დიდ სარგებელს ვერ გაძლევს.

ამის მიუხედავად, წმინდა საჭადრაკო თვალსაზრისით, - საკუთარი თავის გამოცდისა და პრაქტიკის შეძენისთვის, შესანიშნავი საშუალებაა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მოსკოვის ღია ტურნირზე მყოფი ხუთივე ქართველი - **ჯობავა, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, სოფიო გვეტაძე და ნაზი პაიკიძე** "აეროფლოტზეც" მოსინჯავდნენ ძალებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჯობავამ და პაიკიძემ შეიტანეს განაცხადი. პაიკიძეც იმიტომ, რომ მოსკოვში ცხოვრობს და მისთვის ზედმეტი ხარჯების პრობლემა არ არსებობს. ალბათ გოგონები ხარჯებს თუ მოერიდნენ, - მოსკოვში ერთი კვირით ცხოვრებაც ძალიან ძვირი სიამოვნებაა.

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოდან რამდენიმე ჩვენებურიც უნდა შეერთებოდა მონაწილეებს, მაგრამ მხოლოდ დიდოსტატმა **გიორგი ყაჭეიშვილმა** ისურვა მოსკოვში ჩასვლა. ჯობავასგან განსხვავებით, იგი რანგით მეორე - A2 ტურნირში თამაშობს. საერთოდ, "აეროფლოტი" ოთხ კატეგორიად იყოფა: A1, A2, B და C ტურნირები. A1-ში 2550 და მეტი რეიტინგის მქონენი თამაშობენ; A2-ში, 2400-დან 2550-მდე; B-ში 2200-დან 2400-მდე; C-ში კი 2200-ზე დაბალის მქონენი და მოყვარულები. მოსკოვის ღია ტურნირიდან "აეროფლოტს" ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოარჩევს: აქ ქალები კაცებთან ერთად ასპარეზობენ.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება, ოთხივე კატეგორიაში - 9 ტურად. ბაადურ ჯობავა A1-ის ფავორიტია, მაგრამ პირველი პარტია მისთვის წამგებიანი აღმოჩნდა: როგორც ჩანს რუსი დიდოსტატი **ალექსანდრ ევდოკიმოვი** სათანადოდ არ შეაფასა და დამარცხდა, თანაც - თეთრებით. სამწუხაროდ, ამ პარტიაში ჯობავა თავისი თავის აჩრდილი იყო და ისე სუსტად ითამაშა, პირველთანრიგოსანი გეგონებოდათ. იმედი ვიქონიოთ, რომ ბაადური დაკარგულს აანაზღაურებს.

A2-ში **გიორგი ყაჭეიშვილმა** (2544) წარმატებით აიღო სტარტი: თეთრებით ებრაელი **საშა კაპლანი** (2456) დაამარცხა. ყაჭეიშვილიც თავის კატეგორიაში ფავორიტად ითვლება - მეხუთეა განთესვით და იმედია, ისიც გაამართლებს ფავორიტობას.

**ნაზი პაიკიძე** თავის ჯგუფში ფავორიტი ვერ არის, იმ უბრალო მიზეზით, რომ 2311 აქვს რეიტინგი და მასზე მეტი ბევრ მამაკაც მოჭადრაკეს აქვს, თუმცა წარმატებით გამოსვლის კი გვჯერა და ალბათ ნაზი გულს არ დაწყვეტს ქართველ გულშემატკივარს. პირველ ტურში ნაზიმ თეთრებით აჯობა პოლონელ **ანა გარიკს**, რომელიც მართალია რეიტინგით პაიკიძეს ბევრად ჩამორჩება (2200), მაგრამ საკმაოდ ნიჭიერი გოგონაა და რეგულარულად გამოდის ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში; წარმატებითაც.

მეორე ტურში ჯობავა შავებით რუს დიდოსტატ **სერგეი იონოვს** (2546) ხვდება; ყაჭეიშვილი ისევ შავებით ითამაშებს ფრანგი **ამუდ ჰუშადის** (2476) წინააღმდეგ, ხოლო ნაზი პაიკიძე სომეხ **დავით კალაშინს** (2379) დაუპირისპირდება - შავები აქაც ქართველისაა.

**ზვიად შათირიშვილი**



საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# დღეს ბრინჯაოს მედლები განაწილდება

გლდანის დკდ-ს დარბაზში გრძელდება ახალგაზრდა მოკრივეთა საქართველოს ჩემპიონატი. გუშინ მეოთხედფინალური ორთაბრძოლები გაიმართა, რომლებიც საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. დღეს კი ნახევარფინალები შედგება, რომელში გამარჯვებულებიც ხვალ ფინალში იბრძოლებენ, ხოლო წაგებულებს ბრინჯაოს მედლებით მოუწევთ დაკმაყოფილება. შეგახსენებთ, რომ დღესაც და ხვალაც ორთაბრძოლები დილის 12 საათიდან იწყება და დასწრება უფასოა.

დასასრულ, გთავაზობთ ნახევარფინალისტ წყვილებს.

48კგ: სანდრო ტულუში (ბათუმი) - სევერიან ჭილაძე (დკდ), ლაშა კაციტაძე (გარდაბანი) - ლევან კაჟაშვილი (დკდ)

51 კგ: ირაკლი ქალდანი (დკდ) - დავით გასვიანი (ფოთი), რამაზ მნაცაკანიანი (თბილისი) - გიორგი კაპანაძე (ქუთაისი)

54კგ: ვლადიმერ ფცქიალაძე (ქუთაისი) - ადილ ასლანოვი (დკდ), დავით ტაბატაძე (დკდ) - თორნიკე კოტრიკაძე (ქუთაისი)

57 კგ: აივაზ ვალიევი (რუსთავი) - ლევან ქობულაშვილი (თბილისი), უჩა ჩიხლაძე (ქუთაისი) - თამაზ რიკრიკაძე (გორი)

60 კგ: ზვიად გოგია (თბილისი) - ალექსი ვახტანგაშვილი (გორი), ზაალ კვაჭატაძე (თბილისი) - ბექა ხერგიანი (გარდაბანი)

64 კგ: ბაჩუკი ტოროშელიძე (ზესტაფონი) - ირაკლი ფიფია (ფოთი), ბესიკ შუბითიძე (მარნეული) - გიორგი ჯაყელი (თბილისი)

69 კგ: გიგა გოგოლაძე (ჭიათურა) - ტატო ქადაგიშვილი (გურჯაანი), მალხაზ ჯობავა (დკდ) - ჯაბა ხოსიტაშვილი (თბილისი)

75 კგ: გიორგი გიორგაძე (ქუთაისი) - ბაქარ ყურმაშვილი (თბილისი), რომან თავაძე (ქუთაისი) - დემნა ბუკია (ფოთი)

81კგ: გიგა კოქლამაზაშვილი (სიღნაღი) - იაგო კიზირია (ფოთი), დავით ქოჩქიანი (გარდაბანი) - რეზო ხორავა (რუსთავი)

91 კგ: ლადო ცაციაშვილი (გორი) - ლევან ტყებუჩავა (ფოთი), ბადრი ზურაბიანი (გარდაბანი) - საბა გოგიაშვილი (ზუგდიდი)

+91 კგ: თორნიკე პურიჭამიაშვილი (გორი) - ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი), დიმიტრი ცუხიშვილი (თბილისი) - იოსებ ცეცხლაძე (ბათუმი

**კობა ხატისაშვილი**

სამთო თხილამურები

# დღეს, გუდაურში

16 თებერვალს გუდაურში გაიმართება სამთო-სათხილამურო ტურნირი გიგანტურ სლალომში სტუდენტებს შორის. ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია (პრეზიდენტი ნიკოლოზ ამაშუკელი) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთად.

გიგანტურ სლალომში სულ 60-მდე სტუდენტი გოგონა და ვაჟი მიიღებს მონაწილეობას. სტუდენტები 20 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან შეირჩნენ (მათ შორის თსუ, სტუ, სამედიცინო, „ESM" და სხვები), რომლებსაც საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ტურნირში მონაწილეობისათვის საგანგებო მოწვევა გაუგზავნა. თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს ტურნირზე 4 წარმომადგენლის გამოყვანის უფლება აქვს.

ტურნირში გამარჯვებულთათვის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას სხვადასხვა პრიზი აქვს დაწესებული – მესამე თაობის მობილური ტელეფონები, „აი პოდები" , მედლები, თასები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქარი. სამთო-სათხილამურო ტურნირის ჩატარების შემდეგ, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას კიდევ არაერთი სპორტული ღონისძიება აქვს დაგეგმილი.

სპორტის დეპარტამენტის პრესცენტრი

## თავისუფალი ჭიდაობა

# მსოფლიო ოსეთში

ამ უქმეებზე ვლადიკავკაზში ძალიან საინტერესო ტურნირი ტარდება თავისუფალ ჭიდაობაში - მსოფლიო თასი, თუმცა მასში ჩვენები არ მონაწილეობენ. მოგეხსენებათ, ამ ტურნირის მონაწილეებს მსოფლიო პირველობის შედეგებით არჩევენ, ამჯერად კი რუსეთის, თურქეთის, უზბეკეთის, აშშ-ს, კუბის და უზბეკეთის გუნდები გამოვლენ.

ცხადია, ტურნირის ფავორიტებად მასპინძლები რჩებიან, რომლებმაც ლამის უკლებლივ ყველა ლიდერს უხმეს. მათი შემადგენლობა ასეთია: **ბესიკ კუდუხოვი** და **ოსიპ მიხაილოვი** (55), **ალან დუდაევი** (60), **ირბეკ ფარნიევი** და **შამილ ბატიროვი** (66), **ბუვაისა საიტიევი** და **დენის ცარგუში** (74), **გიორგი კეტოევი** და **ადამ საიტიევი** (84), **ჰაჯიმურატ გაცალოვი** და **იბრაჰიმ საიდოვი** (96), **ბილიალ მახოვი** და **სოსლან გაგლოევი** (120).

როგორც ვხედავთ, შემადგენლობაში ძმები საიტიევებიც მოხვდნენ და გაცალოვიც, რომლებმაც იარიგინის ტურნირი წააგეს და მათი გუნდში შეყვანაც სათუო მას შემდეგ გახდა.

**ირაკლი თავაძე**

## ხელბურთი



# დათუკაშვილი ერთს ასცდა

გერმანიის სახელბურთო ბუნდესლიგაში, მორიგი ტურის მატჩი გამართა **სერგო დათუკაშვილის** "ლიუბეკემ". თუკი ლიუბეკელებმა წინა ტურში მერვეადგილოსანი "გოპინგენი" დაამარცხეს, ამჯერად მეექვსეადგილოსან "გუმერსბახს" ველარაფერი მოუხერხეს და 23:34 წააგეს.

წინა 2 მატჩში, დათუკაშვილმა თითო გოლი გაიტანა. ამჯერად კი 3 ბურთი შეაგდო. შესაბამისად, მან ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში ერთი საფეხურით ზემოთ აიწია და მე-13 ადგილზე მოკალათდა. ქართველ ხელბურთელს 21 მატჩში 116 გოლი მოუგროვდა. რაც შეეხება "ლიუბეკეს" სატურნირო მდგომარეობას, იგი 15-16-ე ადგილებს იყოფს "მინდენთან".

**კობა ხატისაშვილი**





გამოვიდა ორნაწილიანი წიგნი „ცხელი ზაფხულის 40 დღე". წიგნში მოთხრობილია 2005 წელს, უშბასა და შხელდაზე დატრიალებული ტრაგედიების რეალური ისტორია. იმ ავბედით წელს, 40 დღის შუალედში დატრიალებულმა ორმა ტრაგედიამ შეძრა ქართული ალპინისტური და არა მხოლოდ ალპინისტური საზოგადოება. წიგნის პრეზენტაცია-გაყიდვა გაიმართება 2008 წლის 18 თებერვალს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაეცემა ამ ტრაგედიის დროს დაღუპული ორი მთამსვლელის, **მერაბ ხაბაზისა და მიხეილ ჩაჩანიძის** (კასალაპას) ოჯახებს.


## ძიუდო

# ვიცე-პრეზიდენტი გუბერნატორი აღარაა

მოსახდენი მოხდა - კახეთის გუბერნატორი **გია ნაცვლიშვილი** თანამდებობაზე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ლევან ბეჟაშვილმა** შეცვალა. ამ ცვლილებას რამდენადმე ადრე - საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებისთანავე ელოდნენ, მაგრამ ნაცვლიშვილი რწმუნებულთა შეცვლის პირველ ტალღას გადაურჩა, თუმცა არა საბოლოოდ. ეს ფაქტი სპორტული გაზეთის ყურადღებას იმდენად იპყრობს, რომ აწ უკვე ექსრწმუნებული ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტიც გახლავთ და ძალზე წარმატებულიც.

ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ბედი ელის ამ პოლიტიკური ცვლილების შემდეგ ძიუდოს სამყაროს, ეს საკადრო ცვლილება უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ძიუდოს ნაკრების მომავალზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაცვლიშვილთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ამდენად, წარმოქმნილ კითხვებზე ზუსტად ვერ გეტყვით, სად მიდის და რა სფეროში გაგრძელებს საქმიანობას; მაგრამ მისი სახელი ბოლო ხანებში რამდენიმე საინტერესო კონტექსტში გაისმა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობა რომ სურს, ეს ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში თავად განაცხადა, მოარულმა ხმებმა კი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეობაც უწინასწარმეტყველეს. ჩანს, ეს ვარიანტი ამ ეტაპზე გამოირიცხა, ვინაიდან სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** თანამდებობას ინარჩუნებს.

გია ნაცვლიშვილი სპორტზე პასუხისმგებელ საპარლამენტო ჯგუფში შედიოდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მისი პერსონა სპორტს მჭიდროდ დაუკავშირდა, თუმცა მან მაინც უფრო ვიწრო სპეციალიზაცია არჩია და ძიუდოთი შემოიფარგლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ძიუდოს წინსვლისთვის უდიდესი ნაბიჯებიც გადადგა. სწორედ მისი დამსახურებაა ნაკრებში ჯანსაღი კონკურენციის შექმნა, ასაკით მანიპულაციებთან ბრძოლა, შიდადაპირისპირებების აღკვეთა საკუთრივ ძიუდოს ოჯახში. დიდწილად სწორედ ამ მიდგომებმა განაპირობეს ჩვენი ძიუდოისტების წარმატებები - ისინი ყოველ სეზონს გამორჩეული წარმატებებით ამთავრებენ, მაგრამ ნაცვლიშვილმა მთავარი გარღვევა მაინც ფინანსური კუთხით გააკეთა.

თამამად შეიძლება ითქვას, ამდენი სპონსორი არც ერთ მის კოლეგას არ მოუძიებია და ძიუდოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე დალხენილი იყო. ბუნებრივია, ფედერაციას ოლიმპიური ფონდიც ძალიან ეხმარებოდა და მოგვიანებით სახელმწიფომაც მკვეთრად გაზარდა დაფინანსება, მაგრამ ამ ფედერაციას ფული მაშინ გაუჩნდა, როცა მათი დახმარება ასე ინტენსიური არ იყო. თანაც, ოლიმპიური ფონდი მხოლოდ ეროვნულ ნაკრებს აფინანსებდა, დეპარტამენტი სხვა საფეხურებსაც მოიცავდა, მაგრამ მისი დახმარება მთელ რეზერვს მაინც ვერ მოიცავდა.

ფედერაციას სწორედ აქ წაადგა ნაცვლიშვილის მოძიებული სპონსორები - ხელფას-სტიპენდიებს მეორე-მესამე, ზოგჯერ კი მეოთხე ნომრებიც იღებდნენ, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ძიუდოს მის მიერ დაარსებული კლუბი "საგარეჯოც" ძალიან შეეხიდა. ეს კლუბიც ერთგვარი ნოვაციაა ქართულ სპორტში - საკლუბო სისტემა ჩვენთვის ჯერ კიდევ შორეული მომავლის პერსპექტივაა. მართალია, კლუბმა მთლად ბოლომდე ვერ გაამართლა დანიშნულება, რაშიც დიდი როლი ევროპული ფედერაციის ბიუროკრატიზმმაც ითამაშა - იქაურმა დიდმოხელეებმა ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ მას ევროპულ ელიტაში არ შეეღწია. მსაჯთა მიკერძოებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველას გახსოვთ ცნობილი ფაქტი, როცა პირადად რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმირ პუტინის** დიდი ზეწოლით შარშან საკლუბო ტურნირის ფინალური ეტაპის მასპინძლობა ჩამოგვართვეს, აქაოდა, საქართველოში არასტაბილური ვითარებაა და და იქ ჩასვლა საშიშიაო, სანაცვლოდ კი მასპინძლობა ბუდაპეშტს გადაულოცეს, სადაც სწორედ იმ პერიოდში ხდებოდა მასობრივი გამოსვლები.



გია ნაცვლიშვილი

ასეთმა მიდგომამ ნაცვლიშვილსაც გაუქრო ენთუზიაზმი, თუმცა მას კლუბი არ დაუშლია - მხოლოდ ევროტურნირებში გამოსვლა იუარა, კლუბის წევრებს კი ძველებურად უხდის ხელფასს, რაც ისევ ქართულ ძიუდოს არგია. ეს კლუბი თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით, მაინც ძალიან შეეშველა აქაურ ძიუდოს, რადგან მისი წევრების ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ სპორტულ ფედერაციებში სამთავრობო კანდიდატურების მომრავლებას შევეჩვიეთ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაცვლიშვილია ერთადერთი პრეზიდენტი, რომელმაც ფული არა უბრალოდ მოიტანა, არამედ სახეობის განვითარებაში, ახალგაზრდების და ბავშვთა სპორტში ჩადო. ზემოხსენებული შედეგებიც ამან მოიტანა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაცვლიშვილს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძიუდოისტებთან მაინც დაეძაბა ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ მაშინ სპორტსმენებმა პოლიტიკურ ბატალიებში ჩარევა არ ისურვეს, რაც თავად ნაცვლიშვილს სასიხარულოდ არ დარჩენია. თუმცა ის მაინც არაა იმ ტიპის ჩინოვნიკი, ადამიანებს საკუთარი აზრის ამოთქმა დაუშალოს და ფედერაციას საბოლოოდ არ გამიჯვნია, მაგრამ კულუარებში იმთავითვე ამბობდნენ, რომ მას ძიუდოისტების პოლიტიკაში ვერჩაბმას არ აპატიებდნენ.

რატომ და რისთვის გადააყენეს ნაცვლიშვილი, ახლა ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, სად წავა იგი - ისევ პოლიტიკაში დარჩება თუ არა, რადგან ზემოხსენებულ ფინანსების მოზიდვაში მისი ფაქტორიც დიდ როლს თამაშობდა. ბუნებრივია, უმნიშვნელო არც ძიუდოს პოპულარობა გახლდათ და არც - ოლიმპიადაზე ზვიადაურის გამარჯვება, მაგრამ ლოკომოტივის როლს მაინც მისი, როგორც გავლენიანი და უმაღლეს წრეებთან დაახლოებული პარლამენტარის ფაქტორი ასრულებდა. დღეს ნაცვლიშვილი პარლამენტარი არაა და არც სახელმწიფო სამსახურშია. სამაგიეროდ, რჩება ძიუდოს ფედერაციაში, სადაც, იმედია, ძველებურად უნარიანად გააგრძელებს მართვას.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

## კობი ნოვიცკიმ შეცვალა

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, საეჭვოა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერის, **კობი ბრაიანტის** თამაში - მცველს თითის ტრავმა აწუხებს.

უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ბრაიანტი მონაწილეობას არ მიიღებს სამქულიანების კონკურსში. ლიგამ უკვე გამოაცხადა მისი შემცვლელი - "დალას მავერიქსის" გერმანელი ფორვარდი **დირკ ნოვიცკი**, რომლისთვისაც ეს კონკურსი მეხუთე იქნება კარიერაში. სხვათა შორის, ნოვიცკის ამ შეჯიბრში მთავარი პრიზი 2006 წელს აქვს მიღებული.

## ბრაიანტი საოპერაციოა, მაგრამ...

რაც შეეხება **კობი ბრაიანტის** ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამ მხრივ საქმე სერიოზულადაა. გუშინ, "ლეიკერსის" ექიმებმა კალათბურთელს ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. თუ კობი ქირურგიულ ჩარევას დათანხმდება, მაშინ მას ექვსი კვირა იძულებითი დასვენება მოუწევს.

*"ბოლო დროს, თითი დიდ პრობლემებს მიქმნის, მაგრამ მინდა უმაღლეს დონეზე გავაგრძელო თამაში, მიუხედავად იმისა, მაწუხებს თუ არა ტკივილი. იმ აზრზე ვარ, რომ ახლა ოპერაციაზე უარი უნდა ვთქვა, NBA-ში სეზონი ჩავამთავრო და ოლიმპიადაზე ვითამაშო. იქნებ მოგვიანებით დავთანხმდე ქირურგიულ ჩარევას. მანამდე კი, "ლეიკერსის" ექიმებს მივენდობი. ვნახოთ, რას იტყვიან ისინი ჩემს გადაწყვეტილებაზე"*, - აცხადებს კობი ბრაიანტი.

## ოლაჯუონს ჰიუსტონში ძეგლს უდგამენ

11 აპრილი მნიშვნელოვანი დღე იქნება "ჰიუსტონ როკეტსის" ლეგენდარული კალათბურთელისთვის, **ჰაკიმ ოლაჯუონისთვის**. კლუბის ყოფილ ცენტრალურ თავდამსხმელს "ჰიუსტონის" საშინაო არენის ახლოს ძეგლს დაუდგამენ.

*"ამით ჩვენ მადლობას გადავუხდით ქალაქის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილ სპორტსმენსა და NBA-ის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს"*, - განაცხადა "როკეტსის" მფლობელმა **ლესლი ალექსანდერმა**.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ოლაჯუონის დიდი წვლილია იმაში, რომ 90-იან წლებში "ჰიუსტონმა" ორჯერ მოიპოვა NBA-ის ჩემპიონის ტიტული, თავად ცენტრალური თავდამსხმელი კი, ორჯერ აღიარეს პლეიოფის ეტაპის საუკეთესო კალათბურთელად.

## კანადელი მწვრთნელის დებიუტი

"ტორონტო რეპტორზის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ჯეი ტრაიანო** პირველი კანადელი გახდა, ვინც კლუბი NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის მატჩზე სათამაშოდ გაიყვანა. კანადის ნაკრების ყოფილი დამრიგებლის დებიუტი წარმატებული გამოდგა - "რეპტორზმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა "ნიუ ჯერსი" (109:91).

ტრაიანო დროებით ჩაუდგა სათავეში "ტორონტოს", ვინაიდან კლუბის მთავარი მწვრთნელი **სემ მიტჩელი**, მამინაცვალის გარდაცვალების გამო, ატლანტაში იყო წასული.

*"რა თქმა უნდა, ეს სემის გუნდია. არაფრის შეცვლა არ მიცდია და ყველაფერი ისე დავტოვე, როგორც ადრე იყო"*, - განაცხადა ტრაიანომ.

## იარიჩმა გაცვლა მოითხოვა

"მინესოტა ტიმბერვულვზის" სერბ ლეგიონერს **მარკო იარიჩს** გუნდის შეცვლა სურს. მცველმა გუნდის ხელმძღვანელობას სხვა კლუბში გაცვლის ვარიანტის მონახვა სთხოვა.

29 წლის იარიჩს არ მოსწონს იმ სათამაშო დროის ოდენობა, რომელსაც მას "მგლების" დამრიგებელი **რენდი უიტმანი აძლევს**. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა რეაქცია ჰქონდა სერბის მოთხოვნაზე "მინესოტას" გენერალურ მენეჯერს, **კევინ მაკჰეილს**.

წლევანდელ სეზონში მარკო იარიჩმა 46 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 8.4 ქულა, 4.3 შედეგიანი პასი და 3.0 მოხსნა დააგროვა. ის საშუალოდ მოედანზე 27 წუთს ატარებს.

## ბარსამ მწვრთნელი დაითხოვა

ესპანეთის "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის, **დუშკო ივანოვიჩის** პოსტიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სერბი სპეციალისტი თანამდებობიდან ესპანეთის ჩემპიონატში ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს. ამ მომენტისთვის, "ბარსელონა" ქვეყნის ჩემპიონატში მეხუთე ადგილს იკავებს, ხოლო ესპანეთის თასის გათამაშებას მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ივანოვიჩის გუნდიდან წასვლა, გენერალურ მენეჯერ **ზორან სავიჩთან** კონფლიქტმაც დააჩქარა.

50 წლის ივანოვიჩი "ბარსელონაში" 2005 წლიდან მუშაობდა. ჯერჯერობით, კატალონიურ კლუბში მის მოვალეობებს მეორე მწვრთნელი, **ხავიერ პასკუალი** შეასრულებს.

## ტურის რჩეული გრირი გახდა

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველის ტურის შემდეგ, ULEB-მა საუკეთესო მოთამაშე დაასახელა.

ტურის MVP-ის ტიტული თელ-ავივის "მაკაბის" მცველმა **ლინ გრირმა** მოიპოვა. ამ კალათბურთელმა "ოლიმპიაკოსთან" მატჩში 26 ქულა, 5 შედეგიანი პასი, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა, მისმა გუნდმა კი, საბერძნეთში დაამარცხა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი - 75:67.

სხვათა შორის, ეს მატჩი ისრაელის ჩემპიონმა თავისი ერთ-ერთი ლიდერის, ცენტრ **ნიკოლა ვუიჩიჩის** გარეშე ჩაატარა. სერბმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ფეხი დაიზიანა და როგორც სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, კალათბურთელს დაახლოებით 10-14 დღე არ მოუწევს მოედანზე გასვლა.

აღსანიშნავია, რომ ვუიჩიჩისთვის ეს მესამე ტრავმაა სეზონში. ადრე მას მარჯვენა მუხლთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა.

ფორმულა 1

## დენისი ცოლს გაეყარა

"მაკლარენ-მერსედესის" შეფი **რონ დენისი** თავის მეუღლეს, **ლიზას** დაშორდა. ამის შესახებ ინფორმაცია ორი დღის წინათ, შვეიცარიულ გაზეთ Blick-ში გავრცელდა, გუშინ კი, ის ოფიციალურად დაადასტურა დენისმა.

*"იმის გამო, რომ ინფორმაციამ პრესის ფურცლებზე გაჟონა, მისი დამალვა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ და ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ 22-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მე და ლიზა ერთმანეთს ვეყრებით. ბუნებრივია, ეს პროცესი ჩვენთვის და ჩვენი სამი შვილისთვის რთული იქნება, ამიტომაც, პრესას ვთხოვ პატივი სცეს ჩვენს პირად ცხოვრებას. არც მე და არც ლიზა, ამასთან დაკავშირებით კომენტარს აღარ გავაკეთებთ"*, - განაცხადა "მაკლარენის" ბოსმა.

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სასწრაფოდ ჯეისონი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დასავლეთში მაგარი ამბები ხდება. მხოლოდ ძირითადის ხუთი კაცის ხარჯზე ლამის წელში გაწყვეტილი "ნიუ ორლეანი" ერთ-ერთი ლიდერია, "დალასი" რეგულარულზე მეტად **ჯეისონ კიდის** ჩაშლილ ტრანსფერზე ღელავს, "ფინიქსში" კი ერთი სული აქვთ, როდის გავა მოედანზე **შაკილ ონილი**. "სან ანტონიოში" **ტონი პარკერს** ელიან, "ჰიუსტონში" **ლუის სკოლა** სასტარტოს უცვლელ წევრად იქცა, ხოლო "დენვერი" და "იუტა" კი დივიზიონის გამარჯვებულის ვინაობას, ალბათ, ბოლო სათამაშო დღემდე ვერ გაარკვევენ.

ვინ ვისთან დაწყვილდება პლეიოფის პირველ წრეში და საერთოდ, აწყობს კი ზოგიერთ გრანდს თავისი დივიზიონის მოგება? ხომ გახსოვთ, "დალასმა" შარშანდელი რეგულარულის ბოლო შეხვედრაში **დონ ნელსონის** "გოლდენ სტეიტს" მოაგებია, მერე კი კალიფორნიელებმა პირველივე წრეში დაიფრინეს მანამდე 67 მატჩის მომგები **დირკ ნოვიცკი** და კომპანია.

მოკლედ, მაგარი ამბებია. უბრალოდ, გასაკვირია "დალასის" მფლობელის, გადარეული **მარკ კიუბანის** ცხოველური სიყვარული და ლტოლვა კიდისადმი, რომლის აყვანის შემთხვევაში, ტეხასელები ლამის ნახევარ გუნდს შეელევიან, საფასურად კი ჯეისონსა და "ხურდას" მიიღებენ.

სურვილი ერთია და **დევეინ ჯორჯის** კონტრაქტი კი - მეორე. უკვე გაცნობეთ, რომ კიდის ტრანსფერი ჯორჯმა დაბლოკა, თუმცა ბოლო ინფორმაციით, კიუბანი დახურულ კარს მიღმა შეხვდა ჭირვეულ ფორვარდს და ამ საუბრის შედეგად, ჯორჯი დათანხმდება სხვა გუნდში გადასვლას. როგორც ამბობენ კიდი "მავერიქსში" უახლოეს ორ დღეში გადავა.

იქამდე კი "დალასმა" ვარსკვლავური უიქ ენდით გამოწვეულ შესვენებამდე უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა. ტეხასელები არიზონაში ჩავიდნენ, სადაც **სტივ ნეშისა** და "სანზის" წინააღმდეგ უნდა ეომათ.

ბრძოლა კი მხოლოდ პირველ ნახევარში შედგა, როდესაც ნოვიცკი და **ჯეისონ ტერი**, ასე თუ ისე, ახერხებდნენ სწრაფი მასპინძლებისთვის პასუხის გაცემას, დიდი შესვენების შემდეგ კი "სანზისთვის" წინააღმდეგობის გაწევა გაჭირდა.

"დალასს" არ ჰყოლია მეორე მექულე და ნოვიცკის მერე, გუნდის საუკეთესო მოთამაშე, მსუბუქი ფორვარდი **ჯოშ ჰოვარდი**, რომელიც მიკროტრავმის გამო ტოვებდა მატჩს. ასევე არ უთამაშიათ კიდის ტრანსფერისთვის შემზადებულ ვეტერან მსროლელს, **ჯერი სტექჰაუზს**, დაშავებულ უკანახაზელ **დევინ ჰარისს** (რომელიც ასევე კიდის ამანათშია შეყვანილი), **ტრენტონ ჰასელსა** და ბებერ ფორვარდ **ჯუვან ჰოვარდს**.

ლამის განახევრებული შემადგენლობით, **ეივერი ჯონსონის** გუნდმა ბოლოში მაგრად აურია და უამრავი შეცდომაც დაუშვა. განსაკუთრებით ნოვიცკი სცოდავდა, რომელიც კვალიფიციური პარტნიორების სიმწირის გამო ძალიან ბევრს ისროდა და ბევრსაც აცილებდა. საბოლოოდ, დირკმა ბლომად ქულები კი დააგროვა, მაგრამ 31 "ცოცხალი' სროლიდან 19 გააფუჭა და შეხვედრა 4 შეცდომითაც დაასრულა.

*"ნოვიცკიმ ბევრი სროლა კი ააცილა, მაგრამ რომ არ ესროლა, იმ ქულებსაც ვერ დააგროვებდა, რაც მატჩის ოქმში მისი გვარის გასწვრივაა ასახული"*, – ფილოსოფიურად შეაფასა გერმანელის გამოსვლა "მავერიქსის" ბებერმა უკანახაზელმა **ედი ჯოუნსმა**, რომელმაც მსაჯთან კამათისთვის ტექნიკური შენიშვნა მიიღო და შეხვედრა 3 ზუსტი სამიანით, 9 ქულით, 6 მოხსნითა და 3 ჩაჭრით ჩაამთავრა.

"ფინიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დენტონიმ** კი, შაკსა და მის შესაძლო დაბრუნებაზე ისაუბრა.

*"უნდა ნახოთ, როგორ ემზადება შაკი და როგორი მონდომებულია ეს ვეტერანი, რომელსაც არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი. მან უკვე შეისწავლა 8-10 კომბინაცია და მალე, მთლიანად გაერკვევა ჩვენს სათამაშო სქემებში"*, - ამბობს დენტონი, რომლის თქმითაც, ახლადშეძენილი ონილი თავის პირველ ფინიქსურ შეხვედრას 20 თებერვალს, ყოფილი გუნდის, "ლეიკერსის" წინააღმდეგ გამართავს, რის შემდეგაც "ფინიქსს" კიდევ ორი ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს - ჯერ ორ დღეში სრულიად ლიგის ლიდერს, უკვე **კევინ გარნეტით** გაძლიერებულ "ბოსტონ სელტიქსს", კიდევ ორ დღეში კი დიდებულ ფორმაში მყოფ "დეტროიტ პისტონზს" დაუპირისპირდება.

"დალასი" კი ამ წაგების მერე, დივიზიონში მესამე ადგილამდე დაეშვა და თანაშტატელ "სან ანტონიოს" მცირედით, მაგრამ მაინც ჩამორჩა. მომდევნო შეხვედრაში, ნოვიცკი და მისი საძმო გასვლაზე დივიზიონის ლიდერს, "ნიუ ორლეანს" შეხვდება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ჩიკაგო-მაიამი 99:92**

28:28, 20:15, 22:20, 29:29

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (24 ქ. 7 მ. 4 პ), ჯო სმიტი (19 ქ. 11 მ. 2 პ), ნოჩიონი (18 ქ. 6 მ), სეფოლოშა (17 ქ. 12 მ. 4 ჩ), ტაირუს ტომასი (10 ქ. 12 მ. 4 დ).

**მაიამი:** უეიდი (30 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ), მერიონი (23 ქ. 7 მ. 4 ჩ. 3 პ), ბენქსი (9 ქ).

**ფინიქსი-დალასი 109:97**

23:24, 29:29, 25:20, 32:24

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (26 ქ. 3 მ. 2 დ), ბარბოსა (26 ქ. 6 მ), ნეში (24 ქ. 13 პ. 5 მ), დიაო (19 ქ. 8 მ. 5 პ. 3 დ).

**დალასი:** ნოვიცკი (36 ქ. 12 მ. 4 პ), ტერი (29 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ).

## ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. I ტური

**D ჯგუფი**

**ეფესი-პანათინაიკოსი 74:64**

17:21, 29:14, 17:13, 11:16

**ეფესი:** ნიკოლასი (29 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჰასტონი (10 ქ), გონლუმი (9 ქ. 7 მ), არსლანი (6 ქ. 6 მ. 6 პ).

**პანათინაიკოსი:** იასიკიავიჩუსი (12 ქ), ბატისტე (12 ქ. 5 მ. 3 ჩ), სპანულისი (10 ქ. 5 მ), დიამანტიდისი (5 ქ. 7 მ. 4 პ).

**მონტეპასკი-პარტიზანი 71:54**

16:9, 17:18, 15:9, 23:18

**მონტეპასკი:** კ. ლავრინოვიჩი (18 ქ. 5 ჩ), სატო (15 ქ. 2 ჩ), ილიევსკი (11 ქ), სტოუნრუკი (10 ქ. 5 მ. 5 ჩ), ტორნტონი (9 ქ. 8 ჩ), მაკინტაირი (5 ქ. 5 პ. 5 ჩ).

**პარტიზანი:** პეკოვიჩი (13 ქ. 8 მ. 2 დ), ტეპიჩი (8 ქ. 6 მ), კეჩმანი (8 ქ. 6 მ).

**E ჯგუფი**

**ლ. რიტასი-ტაუგრესი 81:84**

18:18, 15:26, 24:21, 24:19

**ლეტუვოს რიტასი:** პრაისი (23 ქ. 4 პ), პეტრავიჩუსი (18 ქ. 10 მ), ბაირამოვიჩი (15 ქ. 5 მ), ლუკაუსკისი (10 ქ. 2 ჩ), ვრომანი (4 ქ. 7 მ).

**ტაუგრესი:** სპლიტერი (17 ქ. 5 მ), პლანინიჩი (11 ქ. 2 ჩ), ტელეტოვიჩი (11 ქ), მიკაელი (9 ქ. 6 მ).

**არისი-ფენერბაჩე 88:96**

21:29, 22:21, 17:20, 28:26

**არისი:** მასეი (17 ქ. 13 მ. 4 დ), ბ. რაიტი (17 ქ. 2 ჩ), ვაშინგტონი (16 ქ. 5 პ. 2 ჩ), ტერი (17 ქ. 7 მ).

**ფენერბაჩე:** სოლომონი (23 ქ. 3 ჩ), პრელდჟიჩი (13 ქ), ერდენი (12 ქ), ქაანი (10 ქ), კინსი (10 ქ. 2 ჩ).

**F ჯგუფი**

**რეალი-ჟალგირისი 88:85**

22:16, 21:23, 16:20, 29:26

**რეალი:** ბალოკი (17 ქ. 2 ჩ), რეიესი (17 ქ. 7 მ), ჩ. სმიტი (15 ქ), მუმბრუ (11 ქ. 2 ჩ), რ. ლოპესი (8 ქ. 5 პ. 4 ჩ).

**ჟალგირისი:** მაციულისი (21 ქ), მ. ბრაუნი (14 ქ), ნ'დიაიე (14 ქ), პოპოვიჩი (12 ქ. 4 პ. 2 ჩ), კოლინზი (11 ქ. 9 მ. 3 ჩ).

**ოლიმპიაკოსი-მაკაბი 67:75**

17:16, 13:13, 16:29, 21:17

**ოლიმპიაკოსი:** გრირი (26 ქ. 5 პ), ჯექსონი (14 ქ), მავროკეფალიდისი (5 ქ. 11 მ).

**მაკაბი:** ჰალპერინი (16 ქ. 6 პ), მორისი (16 ქ. 11 მ), ბატისტა (12 ქ. 2 ჩ).

**G ჯგუფი**

**ცსკა-რომა 72:71**

15:16, 14:18, 15:19, 28:20

**ცსკა:** ლენგდონი (22 ქ. 4 ჩ), პაპადუკასი (16 ქ. 5 პ), შიშკაუსკასი (10 ქ. 6 მ), ჰოლდენი (6 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), გორე (6 ქ. 9 მ).

**რომა:** ლორბეკი (13 ქ. 7 მ), უკიჩი (13 ქ. 4 პ), ჟააბერი (12 ქ. 6 მ), ჰოუკინსი (12 ქ. 2 ჩ), ფუჩკა (5 ქ. 6 მ).

**ბარსელონა-უნიკახა 64:62**

17:9, 23:22, 13:16, 11:15

**ბარსელონა:** ლაკოვიჩი (14 ქ), ვასკესი (10 ქ. 7 მ), სანჩესი (3 ქ. 6 პ. 2 ჩ).

**უნიკახა:** ჰეისლიპი (15 ქ. 7 მ. 2 დ), კუსი (11 ქ), ნდონგი (6 ქ. 6 მ. 2 ჩ), უელში (4 ქ. 8 მ).

ცურვა

პეკინი 2008

# ახალი ეკიპირება მზად არის

ცურვის საერთაშორისო ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს, პეკინის ოლიმპიადაზე გამოიყენოს რევოლუციური სასტარტო ბლოკები, რომელთა მეშვეობითაც, როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მოცურავეთა შედეგები მინიმუმ, წამის მეათედით გაუმჯობესდება.

ახალი ბლოკები იმით გამოირჩევა, რომ მათზე ფეხის დასადგამი ადგილი პროფილირებულია, უკნიდან კი ისეთივე საყრდენი გააჩნია, როგორიც მორბენალთა სასტარტო ბლოკებს აქვს.

მაგრამ ახალი ბლოკების პეკინში გამოყენებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან ავსტრალიელები. ოზთა მთავარი მწვრთნელი **ალან ტომპსონი** ამბობს, რომ ახალი ბლოკების პეკინში გამოყენება უსამართლობა იქნება, რადგან ბევრი მოცურავე მას შეჩვეული არაა და ეს მათს შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს. ამიტომ, თუ მათ მაინც შემოიღებენ, ეს აუცილებლად პეკინის ოლიმპიადის შემდეგ უნდა მოხდეს.

*"შესაძლოა, ბევრი ფიქრობს, რომ ახალი ბლოკები შესანიშნავი იდეაა. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ასეთ ბლოკებზე ვარჯიშისთვის მეტისმეტად ცოტა დრო რჩება, ეს კი მოცურავეთა გამოსვლის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედებს. მიმაჩნია, რომ ასეთი ბლოკები ჯერ ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, შემდეგ კი შესაძლებელი იქნება შეჯიბრებაზე მათი გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცურავეთა გარკვეული ნაწილი ამ ბლოკების გამოყენებით უპირატესობას მიიღებს, რაც უსამართლობა იქნება"*, - ამბობს ტომპსონი.

სხვათა შორის, ერთი ახალი ბლოკი პეკინის ოლიმპიური საწყლოსნო აუზის მეცხრე ზოლში (ტურნირებზე სულ რვა ზოლს იყენებენ) უკვე დამონტაჟდა. თუმცა, ჯერ ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ კენჭისყრით უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენებენ თუ არა ასეთ ბლოკებს მსოფლიოს მოკლე აუზის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც აპრილში მანჩესტერი (ბრიტანეთი) უმასპინძლებს.

პარალელურად, ავსტრალიელმა მოცურავეებმა საზოგადოებას წარუდგინეს ახალი საცურაო კოსტუმები, რომლებითაც ისინი პეკინში იასპარეზებენ. ახალ ეკიპირებას (LZR რეისერი) კომპანია "სპიდო" აწარმოებს, რომლის სპეციალისტებმაც ის აშშ-ის კოსმოსურ სააგენტო ნასა-ს სპეციალისტებთან ერთად შექმნეს. მწარმოებლის მტკიცებით, "LZR რეისერს", წინამორბედთან შედარებით, 5 პროცენტით ნაკლები წინააღმდეგობა აქვს, რისი წყალობითაც, მოცურავეს უფრო დიდი სისწრაფის განვითარება შეუძლია.

ახალი საცურაო კოსტუმი უკვე ლიცენზირებულია ცურვის საერთაშორისო ფედერაციის მიერ და პეკინში მისი გამოყენება აბსოლუტურად ყველა მოცურავეს შეუძლია.



ცგენც

ტურნირები

# ჯოკოვიჩს ხელი მოეცარა

რაც ავსტრალიის ღიას ჩემპიონი გახდა, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** საქმეები ცუდად მისდის, ამის მიზეზი კი გრიპია, რომლის გამოც, ჯერ დევისის თასზე სერბეთის ნაკრები დაალალატა, მერე კი, მარსელის ტურნირს მეორე წრეშივე გამოეთიშა - მან სამსეტიან დაძაბულ პაექრობაში წააგო ტურნირის მოქმედ ჩემპიონთან, ფრანგ **ჟილ სიმონთან**.

ჯოკოვიჩი თავიდანვე უხეიროდ ირჯებოდა. აშკარა იყო, რომ მას სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. პირველ რიგში, ეს მის მიერ დაშვებულ უამრავ უნებლიე შეცდომაში გამოიხატა. შესაბამისად, პირველი სეტი მან ადვილად დათმო. მეორე სეტში სიმონს მატჩ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც სერბმა იოლად დაჯაბნა მეტოქე.

მაგრამ გადამწყვეტ სეტში სიტუაცია ისევ ჯოკოვიჩის საწინააღმდეგოდ შეიცვალა. სეტის დასაწყისში მან კორტზე ექიმს უხმო, რომელმაც წნევა გაუზომა. ყოველივეს მიუხედავად, სერბმა თამაში მაინც გააგრძელა და როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ იოლად წააგო, რის შემდეგაც განაცხადა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, მარსელში თუ არ ვითამაშებდიო.

*"ალბათ ჯობდა, რომ მარსელში თამაშისგან თავი შემეკავებინა. თავს შეუძლოდ ვგრძნობ, გაციებული ვარ და სრული დატვირთვით თამაშს ვერ ვახერხებ. არადა, დიდი სლემის ჩემპიონების წინააღმდეგ, ყველა გაორმაგებული ძალით თამაშობს. მით უმეტეს, ჟილს შარშან მოპოვებული ტიტული აქვს დასაცავი და მოტივაცია ისედაც არ აკლია. მატჩის დროს განსაკუთრებით ბურთის ხაგრძლივი გათამაშების დროს მიჭირდა. მოსკოვის შემდეგ, მარსელში ჩემს ჩამოსვლას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვცადე. რისკმა არ გაამართლა. როგორც ავსტრალიის ღიას ჩემპიონი, გარკვეულ ზეწოლას ვგრძნობდი, რამაც მარსელში გამოსვლა გადამაწყვეტინა"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

მეოთხედფინალში სიმონი გუშინ თანამემამულე **პოლ-ანრი მატიეს** ხვდებოდა, რომელმაც მეორე წრეს კიდევ ერთი ფრანგი - **მიშელ ლოდრა** გამოთიშა. აღსანიშნავია, რომ ორივე სეტში გამარჯვებული ტაიბრეიკზე გამოვლინდა. ლოდრამ 23 ეისი კი მოაწოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მეტოქის დასამარცხებლად.

მარსელის ტურნირს კიდევ ორი ძლიერი ფრანგი - მეორე ნომრად განთესილი **რიშარ გასკე** და ავსტრალიის ღიას ფინალისტი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** გამოეთიშა. გასკემ შვედ **რობინ სოდერლინგთან** სამ სეტში წააგო (მასთანვე ამ ტურნირზე შარშან, მეოთხედფინალშიც დამარცხდა), ცონგა კი პირველივე წრეში, ტურნირზე უაილდ ქარდით მოთამაშე ხორვატ **მარიო ანჩიჩთან** დამარცხდა.

პირველი ჩოგბურთელი კი, ვინც ნახევარფინალში გავიდა, ბრიტანელი **ენდრიუ მარეია**, ვინც მეოთხედფინალში ორ დაძაბულ სეტში ფრანგი **ნიკოლა მაიუ** დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ მარეი ავსტრალიის ღიას პირველივე წრეში გამოეთიშა და იქ ის ცონგამ დაამარცხა.

## ATP

### ბრაზილიის ღია

კოშტა დო საუიპე (ბრაზილია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 485 000 დოლარი**

#### II წრე

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 2)**-ბორის პაშანსკი (სერ) 6:2, 6:3; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 5)**-გილერმო კორია (არგ) 6:1, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-სებასტიან დეკუ (არგ) 6:1, 6:2; **ედუარდო შვანკი (არგ)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:2, 6:2.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ფონინი-მინარი; ალმაგრო (2)-ვოლანდრი; ლაპენტი-შვანკი; მოია (1)-ერნანდესი.

### Open 13

მარსელი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 534 000 ევრო**

#### II წრე

**ჟილ სიმონი (საფ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:2, 6:7(6), 6:3; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-რიშარ გასკე (საფ, 2) 4:6, 6:3, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 3)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 7:5, 6:3; **ენდი მარეი (ბრიტ, 4)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 3:6, 7:6(5), 6:1; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 6)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:4, 6:4; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 8)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 7:6(4), 7:6(5); **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 6:2.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

მარეი (4)-მაუ; ანჩიჩი-სიოდერლინგი; მატიო (8)-სიმონი; ბაღდატისი (6)-მიხაილ იუჟნი (3).

### Delray Beach International

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 436 000 ევრო**

#### II წრე

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 1)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:1, 6:4; **სემ კერი (აშშ, 3)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 5:7, 6:4; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 7:5, 4:6, 6:2; **ბობი რეინოლდსი (აშშ)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ, 2) 7:5, 2:6, 7:6(3); **ვინსენტ სპეიდი (აშშ, 6)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 7:5, 4:6, 6:3; **მარდი ფიში (აშშ, 8)**-ივან პასტორ-ნავარო (ესპ) 2:6, 7:5, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:7(7), 6:4, 6:2; **იგორ კუნიცინი (რუს)**-მაქს მირნი (ბლრ) 7:6(4), 6:3.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

რეინოლდსი-ნიშიკორი; სპეიდი (6)-კერი; ფიში (8)-ჯინეპრი; ბლეიკი (1)-კუნიცინი.

## WTA

### Proximus Diamond Games

ანტვერპენი (ბელგია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი**

#### II წრე

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1 )**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:7(4), 6:3, 6:1; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 2) 6:3, 7:5; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 3:6, 7:5; **ტიმეია ბაშჩინსკი (შვეიც)**-ჯული დიტი (აშშ) 7:5, 6:4.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

შნიდერი (4)-კნაპი; პანტუხოვა (3)-ბაშჩინსკი; ანენი (1 )-კლეიბანოვა; ნა ლი (9)-არვიდსონი.

### Cachantun Cup

ვინია დელ მარი (ჩილე). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი**

#### II წრე

**ფლავია პენეტა (იტა, 1)**-მატილდე იოჰანსონი (საფ) 6:4, 6:0; **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-სარა ერანი (იტა, 6) 6:2, 6:0; **კაია კანეპი (ესტ, 7)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 1:6, 6:3, 6:4; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 8)**-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ) კოსტანიჩის უარი.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ლაგოსტერა ვივესი-კორიტცევა; ზაკოპალოვა (8)-დომინგეს ლინო; მიულერი (5)-პარმენტიე (4); პენეტა (1)-კანეპი (7).

# TV სპორტი

## 16 თებერვალი. შაბათი

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ბელგიის ჩემპიონატი. გენტი-სერკლი.
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი (LIVE).
20:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლე მანი-ლიონი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-სევილია (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 სპორტდოსიე.
08:24 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ანაჰაიმი.
10:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:22 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
10:50 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. კუკუტა (კოლუმბია)-სანტოსი (ბრაზილია).
12:35 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ლანსი-დინამო (კ).
14:14 სპორტის სამყარო.
14:51 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლამბუსი.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/8 ფინალი. ბრისტოლი-საუთჰემპტონი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ლევერკუზენი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
21:00 სპორტკლუბი.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/8 ფინალი. მანჩესტერ იუნ-არსენალი (LIVE).
23:13 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა.
03:17 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლამბუსი.
05:04 სპორტდოსიე.
05:32 სპორტის სამყარო.
06:03 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ვერდერი-ბრაგა.
07:50 სპორტული ისტორია.

### EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია.
12:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
13:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
15:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია.
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მას-სტარტი. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
18:45 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია.
21:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 15 კმ. ლიბერეცი. ჩეხეთი.
21:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია.
23:00 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ოსტერსუნდი. შვედეთი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
11:30 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. ინდონეზია (LIVE).
12:45 ახალი ამბები.
13:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ლატვია (LIVE).
13:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. ინდონეზია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბრანი-ევერტონი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 15 კმ. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
18:45 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. ინდონეზია.
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური.
20:45 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. ინდონეზია.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. დელრეი ბიჩი. აშშ (LIVE).
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბარსელონა (ესპანეთი)-სელიე (სლოვენია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 სნოუბორდი. შვეიცარია.
03:15 ახალი ამბები.

## 17 თებერვალი. კვირა

### I არხი

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-ენერჯიინვესტი (LIVE).

### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

11:15 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-სევილია.
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლე მანი-ლიონი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-რეალი.
19:05 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო (LIVE).
20:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 სპორტდოსიე.
08:27 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ლევერკუზენი.
10:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა.
12:04 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:32 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-პორტუ.
14:19 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. გუარატინგეტა-პონტე პრეტა.
16:06 სპორტდოსიე.
16:33 სპორტის სამყარო.
17:02 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:29 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-სამპდორია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო (LIVE).
01:56 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-პორტუ.
03:43 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ბირმინგემი. ინგლისი.
06:47 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
07:15 სპორტდოსიე.
07:42 სპორტკლუბი.

### EUROSPORT

11:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ლატვია.
12:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
13:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. გუნდური სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
14:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მას-სტარტი. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
15:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მას-სტარტი. ოსტერსუნდი. შვედეთი.
16:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
19:00 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ანტვერპენი. ბელგია.
21:15 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
22:45 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
23:00 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
03:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მას-სტარტი. ოსტერსუნდი. შვედეთი.
04:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. I ცდა. ლატვია (LIVE).
13:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ლატვია.
13:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. ლატვია (LIVE).
14:30 ავტოსპორტი. აზიური სერია. II რბოლა. ინდონეზია.
15:15 ახალი ამბები.
15:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბარსელონა (ესპანეთი)-სელიე (სლოვენია).
16:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. პიკ ტეგედი (უნგრეთი)-გუდმე (დანია) (LIVE).
20:15 ახალი ამბები.
20:30 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-ფილადელფია.
22:00 ახალი ამბები.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დელრეი ბიჩი. აშშ (LIVE).
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. კილი (გერმანია)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი).
01:45 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
03:45 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| სტოკი-სკანთორპი | 3:2 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| შალკე-ვოლფსბურგი | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კარლ ცაისი-კიოლნი | 1:3 |
| კობლენცი-სტ. პაული | 1:1 |
| ვეენი-აუე | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვოლფსბურგი A-ბაბელსბერგი | 0:0 |

### საფრანგეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-მონპელიე | 2:1 |
| ბულონი-სედანი | 0:1 |
| დიჟონი-რეიმსი | 2:2 |
| გენიონი-ჰავრი | 3:4 |
| გინგამი-ანჟერსი | 1:0 |
| ლიბურნი-ბრესტი | 0:0 |
| ნიორი-ამიენი | 1:3 |
| ტრუა-შატორუ | 2:0 |
| გრენობლი-კლერმონი | 2:0 |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| აიაქსი-სპარტა | 6:2 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ვეენდამი | 5:0 |
| ემენი-დენ ბოში | 0:3 |
| ეინდჰოვენი II-კამბური | 2:1 |
| ომნივორლდი-ფორტუნა | 1:1 |
| მაასტრიხტი-როსენდალი | 1:1 |
| ვაალვიკი-დორდრეხტი | 4:1 |
| ტელსტარი-ჰელმონდი | 2:0 |
| ტოპ ოსი-ცვოლე | 2:4 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| გენტი-სერკლი | 3:2 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| მარიტიმუ-პორტუ | 0:3 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-მატერსბურგი | 4:0 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| რიზე-ფენერბაჩე | 2:4 |

## კალათბურთი

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| დიჟონი-შოლე | 80:81 |
| სტრასბური-ნანსი | 98:73 |

## ჰოკეი

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ამური-ტრაქტორი | 1:2 |
| მეტალურგი (ნ)-მვდ | 3:3 |
| სიბირი-ლადა | 2:6 |
| მეტალურგი (მ)-აკ ბარსი | 1:4 |
| ლოკომოტივი-ცსკა | 4:1 |
| სკა-დინამო | 3:3 |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 2:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰანოვერი | 8:2 |
| ვოლფსბურგი-დიუსელდორფი | 2:5 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 2:2 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 1:3 |
| ფრანკფურტი-ჰამბურგი | 7:1 |
| შტრაუბინგი-დუისბურგი | 1:6 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ჟილინა-ტრენჩინი | 3:1 |
| მარტინი-კეჟმაროკი | 5:3 |
| მიკულაში-პოპრადი | 1:4 |
| სკალიცა-ზვოლენი | 3:3 |
| სლოვანი-ნიტრა | 4:2 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-პელიკანსი | 2:4 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ზლინი-სლოვანი | 5:1 |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 2:4 |
| ზნოიმო-სპარტა | 7:2 |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 2:0 |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 3:1 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 5:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ჟენევა-დავოსი | 3:0 |
| ლუგანო-ბერნი | 3:4 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 5:5 |

## ჩოგბურთი

### ATP. მარსელი

| | |
|---|---|
| მარეი-მაუ | 7:5, 7:6 |
| ანჩიჩი-სიოდერლინგი | 6:3, 6:7, 6:2 |
| მატიო-სიმონი | 6:3, 6:4 |
| იუჟნი-ბაღდატისი | 6:7, 3:6 |

### ATP. კოშტა დო საუიპე

| | |
|---|---|
| ფონინი-მინარი | 6:7, 6:2, 6:3 |
| ალმაგრო-ვოლანდრი | 7:5, 2:6, 6:1 |

### ATP. დელრეი ბიჩი

| | |
|---|---|
| რეინოლდსი-ნიშიკორი | 2:6, 4:6 |
| კერი-სპეიდი | 6:2, 6:4 |

### WTA. ანტვერპენი

| | |
|---|---|
| შნიდერი-კნაპი | 2:6, 7:6, 6:7 |
| ჰანტუხოვა-ბაშჩინსკი | 2:6, 6:4, 1:6 |
| ანენი-კლეიბანოვა | 6:4, 6:3 |
| ნა ლი-არვიდსონი | 7:5, 6:4 |

### WTA. ვინია დელ მარი

| | |
|---|---|
| ლაგოსტერა ვივესი-კორიტცევა | 3:6, 6:7 |
| დომინგეს ლინო-ზაკოპალოვა | 6:3, 5:7, 5:7 |

ჰოკეი

## ბრინდამორმა სეზონი დაასრულა

პლეიოფის საგზურისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ, სერიოზული დანაკლისი განიცადა "კაროლინა ჰარიკეინზმა". გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირი **როდ ბრინდამორი**, რომელმაც "პიტსბურგთან" ბოლო ტურის მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა.

"კაროლინას" გენერალურმა მენეჯერმა **ჯიმ რატერფორდმა** განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ფორვარდს ოპერაციას გაუკეთებენ და აღდგენით პროცესს დაახლოებით 4-6 თვე დასჭირდება.

ამ სეზონში ბრინდამორმა 59 მატჩში 51 ქულა (19 გოლი+32 შედეგიანი პასი) დააგროვა და როგორც გითხარით, კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო. ბრინდამორი "კაროლინას" მეორე წამყვანი ფორვარდია, რომელმაც ამ სეზონში მძიმე ტრავმა მიიღო. დეკემბერში ასევე ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა **ჯასტინ უილიამსმა**.

## ჰოსა ატლანტას დატოვებს

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ უახლოეს დღეებში კლუბს შეიცვლის "ატლანტა ტრეშერზის" ფორვარდი **მარიან ჰოსა**. ამ ჰოკეისტს წლევანდელი სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი და როგორც თვითონ ამბობს, ძალიან მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ მხარეები ხელშეკრულებას გააგრძელებენ.

ბუნებრივია, "ატლანტას" შეფობა არ შეურიგდება ზაფხულში სლოვაკი თავდამსხმელის კომპენსაციის გარეშე დაკარგვას და ამიტომაც, 26 თებერვლამდე (სატრანსფერო ფანჯრის დახურვის დღე) ჰოსას რომელიმე კლუბს გაუცვლიან.

## რეინჯერსმა ძირითადი მეკარე დაიტოვა

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" და მისმა შვედმა მეკარემ, **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. ხელშეკრულების თანახმად, ლუნდკვისტი უახლოესი ექვსი სეზონი ნიუიორკელთა რიგებში ითამაშებს და ამის სანაცვლოდ 41.25 მილიონ დოლარს მიიღებს.

შვედის მიმდინარე კონტრაქტს 1 ივლისს გასდის ვადა. წელს, 25 წლის ჰოკეისტის ხელფასი 4.25 მილიონ დოლარს შეადგენს.

## ჩიკაგომ ხაბიბულინი დაკარგა

"ჩიკაგო ბლეკჰოქსის" ძირითადმა მეკარემ **ნიკოლაი ხაბიბულინმა** მუხლის ტრავმა მიიღო და ექიმების ვარაუდით, ის დაახლოებით 1-2 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. დროებით, ხაბიბულინის ადგილს კარში **პატრიკ ლალიმი** დაიკავებს, გარდა ამისა, "ჩიკაგოს" ხელმძღვანელობამ ფარმ-კლუბიდან გამოიძახა დუბლიორი **კორი კროუფორდი**.

ამერიკული პრესის ვარაუდით, დიდია ალბათობა, რომ "ბლეკჰოქსი" მალე რუს მეკარეს სხვა გუნდში გაუშვებს, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ხაბიბულინს "ჩიკაგოს" რიგებში თამაში აღარ მოუწიოს.

## ტორონტო დარბაზში ვერ ეტევა

"ტორონტო მეიპლ ლივზის" მმართველმა კომპანია, Maple Leaf Sport & Entertainment-მა ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა. კანადელებს სურთ, რომ მათმა გუნდმა რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის მატჩი ღია ცის ქვეშ ჩაატაროს. სავარაუდოდ, ეს საინტერესო შეხვედრა მომავალ სეზონში Rogers Centre-ის არენაზე გაიმართება. ამ სტადიონზე თავის საშინაო მატჩებს ატარებს ბეისბოლის გუნდი "ტორონტო ბლუ ჯეისი".

შეგახსენებთ, რომ "მეიპლ ლივზი" ხუთი წლის წინათ ღია მოედანზე დაუპირისპირდა "ედმონტონ ოილერზს". მაშინ ამ შეხვედრას 70 ათასი მაყურებელი დაესწრო. მსგავსი ექსპერიმენტი წელსაც ჩატარდა. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვარს, ღია ცის ქვეშ ითამაშეს "პიტსბურგ პინგვინზმა" და "ბაფალო სეიბრზმა".

ჩოგბურთი

## შარაპოვამ 2-მილიონიანი სახლი შეიძინა

რუსმა ვარსკვლავმა **მარია შარაპოვამ** ისრაელის ქალაქ ნეთანიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ფეშენებელური ბინა შეიძინა. ეს ადგილი ისრაელის დედაქალაქიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. ნეთანიას ახალ რაიონში აშენებული სახლი მარიას დაახლოებით 2 მილიონი დოლარი დაუჯდა.

სახლი სამსართულიანია, მისი სრული ფართობი 350 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ანალოგიური მეტრაჟისაა ბრტყელი სახურავი, რომელიც საკუთარი საცურაო აუზის დაშენების საშუალებას იძლევა.

ამასობაში კი, ამერიკის სპორტულმა აკადემიამ შარაპოვა 2008 წლის იანვრის თვის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. მსგავსი პატივი მარიას სეზონში "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის, ავსტრალიის ღია პირველობის მოგების გამო ერგო.

## სელეში აღარ დაბრუნდება

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **მონიკა სელეშმა** ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. სწორედ ამ დღეებში, 19 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ყოფილმა სერბმა მოთამაშემ პროფესიული კარიერა დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, 34 წლის სელეშმა დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ ჩამოაგდო სიტყვა, მაგრამ საბოლოოდ გადაიფიქრა ამის გაკეთება. გუშინ კი, სელეშის აგენტმა **ტონი გოდსიკმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ მონიკა დიდ ჩოგბურთს აღარ ითამაშებს.

*"ჩოგბურთს ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. რაღაც პერიოდი, მართლაც ვფიქრობდი დაბრუნების შესახებ, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, ეს არ გამეკეთებინა. გავაგრძელებ საჩვენებელ ტურნირებში გამოსვლას, სხვადასხვა ღონისძიებებში მივიღებ მონაწილეობას, პროპაგანდას გავუწევ სპორტის ჩვენს სახეობას. რაც მთავარია, ამიერიდან დროის უდიდეს ნაწილს ჩემს ორ საყვარელ გატაცებას - ბავშვებსა და ცხოველებს დავუთმობ. მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს იმისთვის, რომ ტრიუმფისა და წარუმატებლობის პერიოდებში, ისინი მუდმივად ჩემს გვერდით იყვნენ"*, - ასე დაემშვიდობა თავის თაყვანისმცემლებს მონიკა სელეში.

## ნადალმა ფონდი დააარსა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** თავის მშობლიურ ქალაქ მალიორკაში საქველმოქმედო ფონდი დააარსა.

ფონდის სახელწოდებაა Rafa Nadal Foundation და მისი მთავარი ამოცანა იქნება სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

როგორც იტყობინებიან, ფონდის პრეზიდენტი იქნება ჩოგბურთელის დედა, **ანა მარია პარერა**. გარდა ამისა, პროექტში მონაწილეობას მიიღებენ რაფაელის მამა, ბიძა და მისი სპორტული აგენტი.

კრივი



პავლიკი (მარცხნივ) და ტეილორი წინასაბრძოლო პრესკონფერენციაზე

საშუალო წონა

## ტეილორი რევანშს ამზადებს

დღეს ლას ვეგასის "MGM გრანდ გარდენის" არენაზე, ერთმანეთს საშუალო წონის ორი გამორჩეული მოკრივე, ორი ამერიკელი, **ჯერმეინ ტეილორი** და **კელი პავლიკი** შეებრძოლება. ხუთი თვის წინათ, პავლიკმა ყველასთვის მოულოდნელად, ნოკაუტით მოუგო საშუალო წონის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს და მას მხოლოდ ერთი, WBC-ს სარტყელი ჩამოართვა.

ახლა კი მათი ბრძოლა არასატიტულო იქნება. რატომ? ორივე მოკრივეს ასე სურს – ტეილორს რინგზე თავისი WBO-ის სარტყელი არ გამოაქვს, პავლიკი კი შინ WBC-ს ტიტულს დატოვებს. ტეილორს რევანში ამოძრავებს, პავლიკი კი, თუ მის მეტოქეს თავისი სარტყელი არ გამოაქვს, თავისის რისკის ქვეშ დაყენებას არ აპირებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოკრივეები საკუთარი თავისა და მით უმეტეს, მეტოქის დაზოგვას აპირებენ.

*"ბრძოლისთვის არანაირი ტაქტიკის შემუშავებას არ ვაპირებ. ეს ნამდვილი ბრძოლა იქნება, სრული 12-რაუნდიანი ბრძოლა. ნოკაუტი გინდათ? ნოკაუტით ბრძოლები ორივეს მოგვიგია, მაგრამ ამჯერად, ასე მოგება ჩემი თვითმიზანი არ იქნება. ჩემი მიზანი გამარჯვებაა. როგორი, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს"*, - ამბობს ტეილორი, ვინც ორი წლის წინათ, საშუალო წონის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება თვით **ბერნარდ ჰოპკინსს** ჩამოართვა, მაგრამ შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად, პავლიკთან (ატლანტიკ სიტიში) დამარცხდა.

პავლიკთან რემატჩის წინ, ტეილორმა თავისი ძველი მწვრთნელი, **ოზელ ნელსონი** მიიწვია, რომელიც ჯერ კიდევ მოყვარულობის დროს ავარჯიშებდა. ეს ის კაცია, ვინც ტეილორი საშუალო წონაში ტრიუმფისთვის მოამზადა. პირველი, რაშიც ჯერმეინი ძველმა მწვრთნელმა დააჯერა, ისაა, რომ პავლიკთან ბრძოლაში ყოველგვარი ტაქტიკა მხოლოდ ტეილორის წინააღმდეგ იმუშავებს (?).

შეგახსენებთ, რომ პირველ ბრძოლაში, ტეილორმა პავლიკს მეორე რაუნდში ნოკდაუნი აგემა, თუმცა ოთხი რაუნდის შემდეგ, თავად იწვნია ნოკაუტი. პრომოუტერი **ბობ არუმი**, ვინც პავლიკის ბანაკშია, ირწმუნება, საშუალო წონაში **ტომი ჰირნსის** შემდეგ, ისეთი ძლიერი დარტყმა არავის ჰქონია, როგორიც კელის აქვსო.

*"ტეილორი ამბობს, რომ ჩემთან გამარჯვებას შეუპოვრობით ეცდება. მაგრამ გარწმუნებთ, მისი შეუპოვრობა შეიძლება ჩემი ერთი დარტყმით დასრულდეს. ჩემი მარჯვენა როგორც კი მოხვდება, ჯერმეინი მაშინვე დაკარგავს ბრძოლის ჟინს"*, - ირწმუნება პავლიკი.

მიუხედავად ამდენი ბაქი-ბუქისა, ბრძოლისწინა პრესკონფერენციაზე მეტოქეთა შეხვედრამ მშვიდობიანად ჩაიარა. სანამ ტრადიციულად, ერთმანეთს თვალებში ჩახედავდნენ, ისინი ერთმანეთისკენ არც კი იხედებოდნენ. მერე კი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ცოტა ხანს ასე ფოტოსეანსისთვის დაჰყვეს, შემდეგ კი უსიტყვოდ დაიშალნენ.

*"მე მანეკენი არ ვარ. მან თქვა, რომ რევანში სწყურია და თავისი ტიტულის დაბრუნება სურს. მას ჰოპკინსი და რამდენიმე ძლიერი მოკრივე ჰყავს დამარცხებული და გასაგებია, რომ ჩემთან ნაგების შემდეგ შოკში იმყოფება, სასწრაფოდ სურს რევანშის აღება. ის ამბობს, რომ ტიტულის დაბრუნებას აპირებს. კარგით, ყველამ იცის ჩემი სტილი, ეს იოლი არ იქნება"*, – ამბობს პავლიკი.

მიმომხილველები ამბობენ, რომ ტეილორი წარმატებას მაშინ აღწევს, როცა ის თავის სოლიდურ ჯებს ინტენსიურად იყენებს და მოთმინებით ელის შანსებს. მაგრამ იმავე მიმომხილველთა აზრით, ის მაშინვე მოსაწყენი მოკრივე ხდება, როგორც კი ერთი დარტყმით მოგებას ცდილობს. ტეილორი თავის ბოლო სამ ბრძოლაში სწორედ ასე, ერთი დარტყმით მოსაგებად ირჯებოდა, მაგრამ ვერც მიზანს აღწევდა და მაყურებელსაც ულიმლამო ბრძოლებით "ართობდა".

პავლიკთან მისი განმეორებითი შეხვედრა უდიდესი რისკის მატარებელია. კიდევ ერთი მარცხი და ჰოპკინსის მძლეველი მოკრივის უძლეველობის მითი დასამარდება. ბევრი მას დაუყოვნებელი რემატჩისგან თავის შეკავებასა და ერთი-ორი მოსათელი ბრძოლის ჩატარებას ურჩევდა. მაგრამ ტეილორმა ამაზე უარი თქვა.

*"არანაირი მოთელვა არ მჭირდება. სასწრაფოდ უნდა დავიბრუნო ის, რაც მასთან ბრძოლაში დავკარგე. ბრძოლით ნაგებული ბრძოლითვე უნდა დაიბრუნო. თუ ამ ბრძოლაში უნდა გადაწყდეს ჩემი კარიერის მომავალი, დაე ასეც იყოს. წინა შეხვედრაში თითქოს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ საბოლოოდ, ნოკაუტი ვიწვნიე. ეს ჩემთვის გაკვეთილი იყო და მის გამოყენებას დაუყოვნებლივ ვაპირებ"*, - ამბობს ტეილორი და დასძენს, რომ აქამდე იღბალი ზურგს არასოდეს აქცევდა, რამაც მასზე უარყოფითად იმოქმედა – იღბალმა და დიდებამ ჩემი საბრძოლო შემართება დააკნინაო, - აღიარებს ტეილორი.

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია–ტამპა ბეი 3:5**

2:1, 0:3, 1:1

**გოლები:** 0:1 პრასპალი-26 (სენტ ლუისი-48), 1:1 ლუპული-18 (მ. რიჩარდსი-41, უმბერგერი-29), 2:1 დაუნი-5 (მ. რიჩარდსი-42), 2:2 დ. ბოილი-3 (ბ. რიჩარდსი-32, სენტ ლუისი-49), 2:3 ჰლავაჩი-8 (ულეტი-13, კუბა-17), 2:4 სენტ ლუისი-21 (დ. ბოილი-6, ლეკავალიე-43), 2:5 ჯ. უორდი-7, 3:5 ჯ. კარტერი-19 (რ. ჯონსი-21, ლუპული-21).

**კაროლინა–პიტსბურგი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ე. კოული-13 (რეი უიტნი-30, ჯ. ჰამილტონი-13), 1:1 ორპიკი-1 (კ. არმსტრონგი-15, ი. რუუტუ-7), 1:2 მალკინი-33, 2:2 ე. სტაალი-28 (ლედი-6, რეი უიტნი-31), 3:2 რეი უიტნი-22 (ე. სტაალი-22, ფ. კაბერლე-13), 4:2 ბაიდა-1 (ს. უოკერი-11, ვესლი-4).

**ტორონტო–აილენდერსი 4:5**

0:1, 2:2, 2:2

**გოლები:** 0:1 ბერარი-5 (მატანი-20, კომრი-26), 1:1 ტაკერი-10 (სტაჩანი-13, ა. სტინი-15), 2:1 სუნდინი-24 (პონიკაროვსკი-11, ტ. კაბერლე-28), 2:2 ფედოტენკო-11 (ვაშიჩეკი-12, ა. ჯონსონი-1), 2:3 კომრი-17 (მატანი-21, ბერარი-7), 2:4 ფედოტენკო-12 (ბერარი-8, ვაშიჩეკი-13), 3:4 სტაიანი-13 (კუბინა-22, ტ. კაბერლე-29), 3:5 მეიერი-1, 4:5 პონიკაროვსკი-14 (ჯ. ბლეიკი-25, ანტროპოვი-24).

**ნეშვილი–ჩიკაგო 1:6**

0:3, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 კეინი-8 (ჰაველატი-16, ლანგი-24), 0:2 ტეუვზი-16 (სოპელი-16, ჰენდრი-1), 0:3 ტეუვზი-17 (კეინი-35, სიბრუკი-12), 0:4 რ. ბერკი-6 (სოპელი-17, ბოლანდი-6), 0:5 ბარკერი-3 (ბოლანდი-7, ვიშნიევსკი-12), 0:6 შარპი-27 (კეინი-36, ტეუვზი-20), 1:6 არნოტი-20 (ჟიდლიცკი-28, დუმონი-32).

**კოლორადო–სენტ ლუისი 1:4**

0:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 კარია-15 (ბექსი-14, ე. ჯონსონი-15), 0:2 მაკლემანი-7 (ჰინოტი-4, კინგი-2), 0:3 რ. ჯონსონი-2 (მაიერსი-13), 1:3 გიტი-8 (სკრასტინსი-3), 1:4 ბექსი-9 (ტკაჩუკი-24, სალვადორი-10).

**ფინიქსი–დალასი 5:2**

2:1, 1:0: 2:1

**გოლები:** 1:0 დოუნი-19 (რაინპრეხტი-23, ვრბატა-19), 1:1 ი. იოკინენი-14, 2:1 კარჩილო-6 (რაინპრეხტი-24, ვრბატა-20), 3:1 ნ. კაპანენი-8 (უელერი-6, ვინიკი-10), 4:1 ვრბატა-25 (დოუნი-37), 4:2 ნისკანენი-6 (მოროუ-31, ლ. ერიქსონი-13), 5:2 ბოინტონი-3 (რაინპრეხტი-25, დოუნი-38).

**ვანკუვერი–მინესოტა 4:5 (ბ)**

0:1, 1:1, 3:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ვეილო-5 (დემიტრა-24, ფედორუკი-7), 0:2 ვეილო-6 (რადივოევიჩი-7, შულტცი-10), 1:2 ისბისტერი-4 (ბაროუზი-13), 2:2 კესლერი-14 (მენონი-1, ედლერი-9), 3:2 ედლერი-4, 3:3 ფოსტერი-6 (კ. იონსონი-18, ბუშარი-37), 3:4 გაბორიკი-30 (კარნი-6), 4:4 ედლერი-5 (ჰ. სედინი-45).

**ბულიტები გაიტანეს:** ბერნსი (მინესოტა), ლინდენი (ვანკუვერი), მ. კოივუ (მინესოტა).

**სან ხოსე–ედმონტონი 2:3**

0:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ჰემსკი-15 (სემ განე-23, პენერი-18), 0:2 ბროძაკი-9 (სტორტინი-4, გლენკროსი-9), 1:2 პაველსკი-12 (ვლასიჩი-9, მ. მიხალეკი-19), 1:3 პიზანი-6 (მორო-4), 2:3 გრირი-7 (რივე-23).

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოზა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოზა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა